

ახალსაუნტე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№6 (60)

ივნისი, 2018 წელი

ფასი 2 ლარი

ნომრის ავტორები

ზურაბ ვოვანიანი
& ჯგუფი „ოქტა“

კოლეგია

დალილა ბაღიანიძე
საბინა თორდუა
მარიამ კაკაშვილი

კრიტიკა

დავით ჩიხლაძე
ლელა კოძალაშვილი

ახალი თარგმანები

ფილიპ როთი
იტალო კალვინო
აკირა მიკიტო
ვლადას ბრაზიუნასი
ფრანგული საჭადრაკო ნოველები



№6 (60) ივნისი, 2018 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წონკოლაური

მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ელისო მეტრეველი, ინა იმედაშვილი, ზურაბ გოგიძე, ნენე გიორგაძე, დალილა ბედიანიძე, ხატია თორდუა, მარიამ კაკაშვილი, დავით ჩიხლაძე, ლელა კოდალაშვილი, დალილა გოგია, მანია ტურაბელიძე, ბექა ბარქაია, ნანა დევიძე, მარიამ წიკლაური, ბაჩანა ჩაბრაძე

გამომცემლობა «საუნჯე»

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje-saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;

www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

ზურაბ გოგიძე

ელისო მეტრეველი – ზურაბ გოგიძის ხელწერა და „დაძველებული“ ტექსტები

ზურაბ გოგიძე მოულოდნელი პასუხების ავტორია, მოულოდნელი ტექსტების და ფინალებისაც. მოულოდნელობის გარდა, მის ტექსტებში კიდევ იუმორია, ირონია, სარკაზმიც და ზოგჯერ სასტიკი გამოუსავლობაც, თუმცა მგონია, რომ ყველაზე ხშირად მათში მაინც „ღია კარი“ და „კიდევ ერთხელ გაღვიძების“ შანსია. მოთხრობები, ილუსტრაციები, დეკორატიული ნივთები, აქსესუარები, ფოტოები და ლექსიც – ეს არის თითქმის ყველაფერი, რასაც ზურაბ გოგიძე ბოლო წლებში ქმნის. ჰო, კიდევ არის მებაღეობა, ეს მისი სამსახურია.

დღემდე, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სივრცეში გამოქვეყნდა ზურაბ გოგიძის „კეიროშიის ჯეელობანი“, „მთვარის მჭამელები“, „სამთავიანი სიზმარი“, „მუშა და ფეხსაცმლის ბონარი“, „ოინბაზი სულიერება“, „Sister of the Moon“, „ჩემი ‘სომნოგრაფია‘“, „თეთრი ბუს ნაამბობი“, „ჭამახანა „მწვანე რაინდი““ და სხვა... წიგნი „ელმო და შარმაზი“ საქართველოში დაიბეჭდა; „მოგზაური სათამაშოები“ და „ოქროს თევზი და პირლო“ კი „ამაზონზე“ დევს, ორივე ინგლისურ ენაზეა, ავტორისვე ილუსტრაციებით.

ზურაბ გოგიძე ლონდონში ცხოვრობს, წერს და მებაღედ მუშაობს. ორი გვერდი აქვს ფეისბუკზე – Malvern Gasperon-ი და Zurab Gogidze. კაპიტანი გასპერონი მისი პირველი ტექსტი და პირველი პერსონაჟია, რომელიც დაახლოებით ათი წლის წინ გაჩნდა, Malvern-ი კი, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში უამრავი ასეთი გეოგრაფიული თუ სხვა დასახელება არსებობს, ჩემთვის მაინც Marvel-ის

ალიტერაციაა და იმ დროს დაველოდები, როცა ზურაბ გოგიძე კიდევ ერთხელ და ხანგრძლივად მიუბრუნდება ილუსტრაციებს, უფრო სწორად, ილუსტრირებულ ტექსტებს. ერთი წლის წინ ლონდონში გამოფენაც ჰქონდა სახელწოდებით – „told and untold“.



Zurab gogidze-ს დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე ვწერდი და ათას რამეს ვეკითხებოდი; გვიან – სამუშაო საათების დასრულების შემდეგ. იუმორი და ცოტა სარკაზმი ამ მიმონერასაც ახლდა. ერთ საღამოს „საბჭოთა სკოლასა და ბავშვობაზე“ ვკითხე, რაზეც მიპასუხა: „დიახ, სკოლაში დავდიოდი, იქ წერა-კითხვა მასწავლეს. მერე აკი გამომადგა კიდევ ეს ცოდნა“. ზოგჯერ გამოგვდიოდა ეს მიმონერა, ზოგჯერ არა. ზოგჯერ

ძალიან „ახლოს“ იყო, ამ დროისა და სოცქსელების უშუალოების „ჟანრში“, ზოგჯერ კი ძალიან „შორს“ – გეოგრაფიის შესაბამისად.

„ლონდონი, სამუშაო...“ - ვარაუდებით, გამოცნობით და შეცდომებით სავსე სინამდვილე

**“... დავდივარ, ფიქრები მეზარება, / ქუჩებში სიცოცხლე
მესმის, / ოფლი და მინა შუბლზე მენებება, / პურსა ვჭამ
ტურტლიანი ხელით. / ღობეზე ვჯდები და ფეხებს
ვაქანავებ, / თამბაქოს ვუკიდებ ეშხით. / როიალ ბორო,**

გესმის, კენზინგტონი, / როიალ ბორო ჩელსი.” („ სიმღერა ლონდონზე“, ლექსი)

ზურაბ გოგიძე პირველად ლონდონში 2006 წელს აღმოჩნდა, მერე საქართველოში დაბრუნება მოუხდა, ახლა კი ოჯახთან ერთად ისევ ლონდონში ცხოვრობს. ამბობს, რომ იქიდან უფრო მეტი შეხებაა სამყაროსთან, თითქოს იქ მეტი სივრცე და თავისუფლებაა, თუმცა იქაურობა მკაცრიცაა. კიდევ არის ჰამპსტედის ყავახანა და ტემზის ნაპირები ქალაქის აღმოსავლეთში. იქ შეიძლება დასვენება და წერა, ხატვაც.

– მოდი, ლონდონით დავიწყოთ – ლონდონამდე გზასა და ლონდონის გზებზე, და ლონდონზე როგორც გზაზე – როგორი უნდა ყოფილიყო და როგორია? შენს „რუკაზე“ თუ იყო ლონდონი, პარალელური გზა და სამყარო, რომელიც ბოლოს შეერთდა?

მაშ, ასე: იმ კლასს არ წარმოვადგენ, ვისაც მართლა აქვს ფართო და თავისუფალი არჩევანი. ლონდონში მოსვლაც უფრო მეტად ბედისწერას უნდა დავაბრალო, ვიდრე მართლა არჩევანს. ვაღიარებ, ძალიან გამიმართლა და ბედისწერის მაღლობელი ვარ ამისთვის. მთელი ოჯახი აქ ვართ – მეუღლე, შვილი. სანდრო 9 წლისაა, მე-4 კლასში. ჰენდონი ჰქვია ჩვენს რაიონს, ჩრდილოეთშია. ჩემთვის ამ ქალაქის მთავარი ხიბლი ის არის, რომ აქედან თითქოს უფრო ფართო შეხება გაქვს მთელ სამყაროსთან, მეტ სივრცეს და თავისუფლებას ხედავ. პირველად თორმეტი წლის წინ ჩამოვედი, და ვაღიარებ, იმაზე უფრო მკაცრი დამხვდა, ვიდრე მოველოდი. დიახ, ზოგადად რომ ვთქვათ, სინამდვილე ყოველთვის და ყველგან მკაცრია. უკვე აღარ მიკვირს რომ აქაც ბევრს ვხედავ იმედგაცრუებულ ადამიანს, მუშებს ძირითადად. მაგრამ მაღლობა ღმერთს,

მე თვითონ ახლა სამუშაო მაქვს, მთავარი კი ეს არის თავის გადარჩენისთვის, ოჯახისთვის. კარგი ადგილებია ქალაქში, რომლებიც დროთა განმავლობაში გიყვარდება და მერე, როცა კი დრო გაქვს, მოგიხარია “გულის გადასაყოლებლად”, სულის მოსათქმელად, გონების გასანიაველად, სამუშაო კვირის მანძილზე დაგროვილი ნაგვის და სიმძიმისგან გასათავისუფლებლად. ჩემთვის ერთი ასეთი ძვირფასი ადგილია ჰამპსტედი, ჩრდილოეთშია, ერთი ყავახანით, რომელშიც ხშირად ვწერ ხოლმე ჩემს მოთხრობებს. კიდევ ტემზის ნაპირები, განსაკუთრებით ქალაქის აღმოსავლეთში, სადაც მდინარე უფრო ფართოა და უფრო მძლავრი. წერა, ხატვა, ჩემს თავში ხეტიალი და მოგზაურობა, ესენია ჩემთვის საუკეთესო დასვენება და განტვირთვა.

– არჩევანი რომ გქონდეს, სად იქნებოდი, არის ასეთი, „შენახული“ ადგილი? საქართველოში ჩამოდიხარ ხოლმე?

ვიქნებოდი აქ, არაფერს ვემდური აქაურობას. კიდევ ახალ ადგილზე გადაწყობა მართლა არ მინდა. საქართველოში არდადეგებზე ჩამოვდივარ, ვიყავი ამ გაზაფხულზეც. აბა, რა გითხრათ, იდეალურ სამყაროში შენი სურვილით აირჩევდი ადამიანი, სინამდვილე კი ვარაუდებით, გამოცნობით, შეცდომებით არის სავსე. იქით “ირჩევ”, საითაც გადარჩენას და შემოსავალს ვარაუდობ და წარმოდგენაც არა გაქვს, სინამდვილეში გარემოებები სად მიგიყვანენ. საქართველო კარგიც არის და ცუდიც, უცხოეთიც – კარგიც და ცუდიც. თუმცა ახლა აქ ყოფნა მჭირდება. დიახ, ადგილები მახსენებენ სხვადასხვა ამბავს, კარგს, ცუდს, როგორც ხდება ხოლმე. მაგრამ წარმოსახვითი ადგილი, თავშესაფარი, დანიშნულების ადგილი არა მაქვს. ყველაზე ძვირფასი ადგილი ის არის, სადაც ამ საღამოს ჩემი ოჯახი მელოდება, გეოგრაფიის

მიუხედავად. ამაზე უფრო მეტი წარმოსახვაშიც არ მოიძებნება. ლონდონში პირველად 2006-ში ჩამოვედი, სანდრო აქ გაჩნდა, მერე საქართველოში ვიყავით კაი ხანს და ორი წლის წინ ისევ აქ დავბრუნდით. სულ ხუთი წელი გამომდის აქ ყოფნის.

– ლონდონამდე? სტუდენტობა, „საბჭოთა სკოლა“, ურთიერთობები, როგორი იყო ეს გზა?

დიახ, სკოლაში დავდიოდი, იქ წერა-კითხვა მასწავლეს. მერე აკი გამომადგა კიდეც ეს ცოდნა. მაშინდელ ამხანაგებთან აღარ ვურთიერთობ, მარტო რამდენიმესთან ვარ ფბ-ში, იშვიათი და შორეული მოკითხვებით. ისე, ამ დროში მართლა ადვილია კავშირის შენარჩუნება. იმ დროიდან და დღემდე ყველაზე ნათელი, მართალი, სამაგალითო და სანდო პიროვნება ჩემთვის არის ჩემი ძმა. მართალი გითხრა, გულის სიღრმეში იმედი მქონდა, გადავრჩებოდი ამაზე წერას. არ მიყვარს ბავშვობაზე წერა, ბიოგრაფიები, ასეთი რამეები. მით უმეტეს, ჩემს თავზე წერა – ძნელი ყოფილა. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ვითომ? მე რომ მკითხველი ვიყო, ძალიან მომბეზრდებოდა „ზურას ბავშვობაზე“ კითხვა.

– ზურას რომელ ამბავს წაიკითხავდა მკითხველი?

დიახ, მართალია, ბავშვობის მერეც მოსაწყენი ამბები მოდის, ახლანდელის ჩათვლით.

– არა, სინამდვილეში ხომ ასე არ არის? მგონი, არასდროს არ არის ასე – ის და ეს ამბებიც ამბებია, რომლებიც გვანერინებს, გვალაპარაკებს, დაგვატარებს, გვანადგურებს კიდეც, მაგრამ სულ უნიკალური ამბებია.

იქნებ ახლანდელეები ვცადოთ?

– ახლა რას აკეთებ, რაზე მუშაობ?

სამუშაო? მებაღედ ვმუშაობ. წერით ჯერ არაფერი დამინწყია.

– მძიმეა?

არა. ძირითად არა. ზოგჯერ სახალისოცაა ბაღებში მუშაობა, ჰაერზე, სიმწვანეში. თანაც თუ კარგ ბრიგადაში ხარ.

– ვინ არიან ბრიგადაში? იქ შეგიძლია წერა, თუ მკაცრად განსაზღვრული სამუშაო საათებია?

მუშები ვართ, ჯგუფის ხელმძღვანელი გვყავს ხოლმე. დავდივართ ბაღიდან ბაღში, მთელ ქალაქში. კერძო კომპანიაა. ძალიან შერეული შემადგენლობაა, სხვადასხვა ეროვნების. მუშებს არა გვიშავს, ძირითადად არა ვართ ცუდი ხალხი, უმეტესობასთან კარგა მეგობრულად ვარ. სამაგიეროდ, უფროსობა გვყავს, ბოდიში, მაგრამ განავალი, სხვა სიტყვა მაგათზე არ მოიძებნება. რა თქმა უნდა, იქ ვერ დავწერ. თუ მაიცდამაინც რაღაცის ჩანიშვნა დამჭირდება, შესვენებაზე შემიძლია ბლოკნოტში ჩავწერო, რომ არ დამავინწყდეს.

– რომ წერ, იციან?

ზოგმა იცის, საუბარში სიტყვა ხან ერთს მოიტანს, ხან მეორეს, მეც ჩემზე ვიტყვი ხოლმე. ხანაც მხედავენ, შესვენებაზე ბლოკნოტში რომ ვკანრავ რაღაცებს.

– ხვალ ორშაბათია, როგორი იქნება ემიგრანტ, მებაღე, მწერალ ზურაბ გოგიძის ერთი ორშაბათი?

არ იქნება კარგი ორშაბათი, არც სამუშაო კვირა. აღარ არის კარგი დღეები. უფროსობამ სამუშაო განრიგი ძალიან გამიფუჭა და მეც გული ავიცრუე, ყელშია ამოსული, მაგრამ

ვუძლებ. ვითმენტ და ვუძლებთ ერთმანეთს მე და ჩემი ბოსი, სანამ სხვა სამუშაო არ გამომიჩნდება ან იმას არ მიეცემა კარგი საბაბი, რომ გამაგდოს.

– როგორია ეს ემიგრაციის ამბავი – ალბათ, სანდროსთვის უფრო იოლი იქნება, ხომ? უბრალო ყოფაში ძალიან განვსხვავდებით ჩვენ, პოსტსაბჭოთა ადამიანები, ევროპელებისგან?

განვსხვავდებით. ამათთვის კლასობრიობა და ქონებრივი უთანასწორობა ძალიან ბუნებრივი და გარდაუვალი ჭეშმარიტებაა, საბჭოელები კი ბავშვობიდან თანასწორობის ტყუილებით გაბრიყვებულები მოვდივართ. მე ასე ვხედავ განსხვავებას.

„ზღაპრები და მეზღაპრეობა“ - ჟანრი, კანონზომიერება და ავტორის ამოუწურავი არჩევანი

“არ მესიამოვნა იმისი სიმკვდარე. რა უნდა ვუყო ამას? მე სადღა დავიძინო მამაძალი?! არც ბევრი მიფიქრია, ფეხებში დავავლე და ძირს გადავათრიე მკვდარი მე. დაბრაზუნდა, დაეგდო იატაკს. წამოვწევი იმის ჩემს ადგილზე, მაგრამ რა დაიძინებს ამ ყოფაში!.. ჯანი გავარდეს მაგრამ, რაც არის არის, ერთხელაც გავიღვიძებ...” („ჩემი ‘სომნოგრაფია’“, მოთხრობა)

ზურაბ გოგიძეს არ უყვარს ჟანრები, დახარისხება, მიკუთვნება. თავის ნაწერებს მოთხრობებს ეძახის, მაგრამ სინამდვილეში ზღაპრები მგონიაო, ამბობს. მე თუ მკითხავთ, “დოკუმენტური ფენტეზია” – ეს ერთმანეთის გამომრიცხავი და ჩემთვის მაინც თანაბრად მნიშვნელოვანი ორი მიმართულება. ერთი მხრივ, ამ ტექსტებში არიან დოკუმენტური სიცხადის ლოთები და მანანნალები, სიმაღლიდან მოწყვეტილი მუშები; მეორე



მხრი
 ვ კი –
 საკუ
 თარი
 სიკვ
 დილ
 ის
 დამკ
 ვირვ
 ებლე
 ბი და
 მთხრ

ობელები, მრავალჯერ მკვდრები და გაცოცხლებულები;
 ამოების ომის მაყურებლებიც და მონაწილეებიც.



– ეს დღეები „ელმო და შარმაზს“ ვეძებდი, აღარ იყიდება?

რალა დროს „ელმო და შარმაზია“? ეგ საბავშვო წიგნად გასაღდა. „ახალ საუნჯეში“ უფრო სხვა შინაარსი და ხასიათი იბეჭდება.

– „გასაღდა“? საერთოდ აღარ წერ ბავშვებისთვის?

არა. „შარმაზის“ მერე დავწერე მოკლეები – „მოგზაური სათამაშოები“ და „ოქროს თევზი და პირლო“, მაგრამ ესეც დიდი ხნის წინ იყო.

– დაიბეჭდა? ილუსტრაციებიც შენია, ხომ? რატომ დარჩა “საბავშვო” დიდი ხნის წინ?

ესენი არ დაბეჭდილა, მაგრამ ნახატებით გავტენე, ვთარგმნე და სურათებიან, ელექტრონულ წიგნებად ავტვირთე „ამაზონზე“. ილუსტრაციებსაც მე ვხატავ, ერთი წლის წინ ლონდონში გამოფენა მქონდა ილუსტრაციებისა და ნახატების, „told and untold“ ერქვა.

– კარგად იყიდება? როგორია საბავშვო ლიტერატურა დღეს, რა იცვლება ტექსტის და ილუსტრაციის თვალსაზრისითაც? აპირებ, მიუბრუნდე ისევ “საბავშვოებს”?

არ ვიცი, თუ იყიდება, მართლა არაფერი ვიცი, პაროლიც კი დამავიწყდა, „ამაზონზე“ გაყიდვას რომ მივაღებო თვალი. ვიცი, რომ დევს, მეტი არაფერი. საბავშვოს შეიძლება როდისმე დავუბრუნდე კიდევ, მაგრამ ახლა არაფერზე ვფიქრობ, ეს-ესაა მოზრდილი ნაწერი დავამთავრე და შემდეგ რას წამოვიწყებ, ჯერ არ ვიცი. მეეჭვება საბავშვო იყოს. სამწუხაროდ, არც ვიცი და არც მაღარდებს ბაზრის ტენდენციები, წიგნის მოდები და მიმართულებები.

– ილუსტრაციებზე მითხარი: რა უფრო ადრე მოდის – ტექსტი თუ ილუსტრაცია?

ხან ისე, ხან ასე, მაგალითად, “ელმო” თავიდან მარტო ნახატი იყო, ადამიანი-ორთქლმავალი. დავხატე და მერე ვიფიქრე თავგადასავლებზე, წერაზე. Sister of the Moon-იც თავიდან ნახატი იყო და მერე მოთხრობა. სხვა დროს პირიქით, დავწერ და მერე ვხატავ. საერთოდ, ქალაქებზე მიყვარს წერა. კომპში მერე გადამაქვს ხოლმე იმ შავად ნაწერებიდან.

– რა დროს გამოდის ხოლმე უფრო კარგად წერა, უფრო მოსაწონად, თუ როგორ ვთქვა, შედეგიანად?

დილით კარგია, როცა არის ამის საშუალება, უფრო შაბათ-კვირას, თავისთავად. ჰო, თითქოს დილით მირჩევნია.

– ემოცია? რა ემოცია განწყობინებს, თუ ეს უფრო სავალდებულო სამუშაოსათვის არის?

ემოცია სხვადასხვაა შეიძლება იყოს ახალი ამბის დაწყების დროს, გინდაც დაწყებულის გაგრძელების დროს. ხომ შეიძლება ცუდ ხასიათზეც წერდე და კარგზეც. უფრო სურვილი მანერინებს, ვიდრე განწყობა. როცა მუდმივად გაქვს ამისი სურვილი, დროდადრო აუცილებლად გაგიჩნდება აღსაწერი მასალა, საგნები, გარემოებები, ტიპები, ეპიზოდები, თითქმის ცოცხალი სურათები წარმოსახვაში და თანდათან ამათგან კრავ და აწყობ მთლიან ისტორიას – მოკლეს, ისე-რა მოკლეს, გრძელს, ოღონდ მთლიანს, დამთავრებულს. შეიძლება ძალიან მხიარულ ხასიათზეც ვიყო, მაგრამ მიმდინარე თემად კაი უჟმური გარემოებების თხრობა მქონდეს აღებული და იმას მივყვები, მთავარია, მიზანს და საგანს ვხედავდე სანერად.

– ხელნაკეთ ნივთებზე რა დროს მუშაობ? სახელოსნო გაქვს?

კაი იყო მაგის კეთება. აღარ ვაკეთებ. დრო უნდა, თორემ ადგილი ბევრი არაფერი – ერთი ციციქნა ნივთებია. დრო კი მართლა ჭირს, სამუშაო, ოჯახი, როგორც ყველას. ცოტა ხანს ვაკეთებდი, ისე ხელი მოვსინჯე. ერთხელ სანდროს ჰქონდა სკოლიდან დავალება ფეხსაცმლის ყუთში ბალი გაეშენებინა და ჰატარა „სკამეიკა“ უნდა ჩაგვედგა, მასალები ვუყიდე. მერე იქიდან მორჩენილი მასალით

ჩიტის სახლი გავაკეთე, მივყევი და გავერთე. მომწონს ეგ ნივთები.

– რას კითხულობ სიამოვნებით, ხშირად, ყოველთვის?

ბევრს არ ვკითხულობ. კითხვა კარგია, გატაცებითაც წამიკითხია ხოლმე, და როგორც ავტორისთვის, მით უმეტეს სასარგებლოა კითხვა. საერთოდ, გოგოლი მიყვარს, განსაკუთრებით “მკვდარი სულები”. ბოლოს დროს ვკითხულობდი აქაური ავტორის ცნობილ წიგნს, მაგრამ როგორღაც არ წავიდა. მივატოვე შუა გზაზე. მგონი, უფრო ეთიკური და კოლეგიალური იქნება, არ გავთქვა ვისზე ვამბობ. ისე, ცუდი მკითხველი ვარ. თუ წიგნი მომწონს და გატაცებით ვკითხულობ ბოლომდე, მერე ერთი სული მაქვს კიდევ რამე წავიკითხო, სხვა წიგნი. მაგრამ თუ კითხვა არ „წავიდა“, იმ წიგნს ხომ თავს ვანებებ, და მერე კიდევ დიდხანს არც არაფერს ვკითხულობ, თითქოს იმის შიშით, რომ არც შემდეგი წიგნი მომეწონება.

– არ მიყვარს ტექსტების წინასწარ სახელშერქმეულ ვიტრინებში გამოკეტვა, მაგალითად, “ფენტები”, “დეტექტივი”, “ფანტასტიკა”, “დოკუმენტური პროზა” ან “რომანი”, “მოთხრობა”, “ნოველა”... ეს „საზღვრები“ ძალიან პირობითი იყო და მგონი, უფრო პირობითი გახდა ახლა. არქმევ ხოლმე „სახელებს“?

არც მე მიყვარს ჟანრები, კატეგორიები, დახარისხება და მიკუთვნება. ოღონდ ჩემი გასაჭირი ცოტა სხვაა: არ ვიცი, ამათგან რომელი რას ნიშნავს და რას მოიცავს. ჩემებს მოთხრობებს ვეძახი, მაგრამ სინამდვილეში ზღაპრები მგონია.

– “ზღაპრები” დიდებისთვის?

საქმეც ესაა, ზღაპარს რომ ამბობ, ძალაუნებურად საბავშვოდ მოისმის, ამიტომაც მოთხრობებს ვეძახი.

– მოთხრობებს როცა ამბობენ, მცირე ზომასაც გულისხმობენ. ზომა, ჟანრი, ფორმა გაფიქრებს ხოლმე? ანუ ამაზე წინასწარ ფიქრობ?

არა. არ ვფიქრობ ამაზე. ოთხგვერდიანი გამოდის თუ ოთხმოცგვერდიანი, მაინც მოთხრობას ვეძახი. ჟანრიც, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ არ ვფიქრობ და არ მაწუხებს, თუ რა ჟანრს ვწერ. თავისით, თითქოს თავისით არსებობს მსგავსი აღქმა პროცესისა. წერ, ფიქრობ, და თითქოს რაღაც კანონზომიერება გკარნახობს, რა იყოს შემდეგ.

– ცოტა მეტი მითხარი მაგ კანონზომიერებაზე, აი, კონკრეტულად რომელიმე მოთხრობის დაწერის დროს როგორ იყო. მაგალითად, “პურსა ვკბიჩავდი ორივე ყბაში და თავ-ხახვსა ვჭამდი დაფცქვნილს, მარილს ვაყოლებდი...” და მერე? როგორ გამოკიდე ის „მკვდარი“ ორ ცას შორის? იქნებ სულაც პირიქით იყო, მრავალჯერადი გამოღვიძების მერე დასვი პურის საჭმელად და დაიწყე...

შევეცდები. თავიდან თხზავ, აღწერ, ადგენ საწყის განწყობილებას, სურათს, მთავარ მოქმედს, იმის მიზანს, იმის განზრახვაში შესაძლო მონაწილე ან ხელის შემშლელ ტიპებს, საგნებს, გარემოებებს და ამ პირველი მოცემულობის მერე უფრო ცხადი ხდება, თუ საით მიგყავს ყველაფერი და თანდათან ძლიერდება იმ კანონზომიერების მუშაობა შენზე, ავტორზე.

“სომნოგრაფიაში” დაახლოებით მახსოვს ეპიზოდების თანმიმდევრობა, მაგრამ ვერ გავიხსენებ, აი, იმ კანონზომიერებას მერამდენე სურათზე “მივინდე”.



–
გარემო?
არ
მოქმედებს
ს
გარემო?
ქუჩა,
სახლი,
ი,
ხმები
,
ტიპა
ჟები?
გარემო?
ვერ
მივხვ
დი,

ჩემ გარშემო წერის დროს არსებული გარემო, თუ ნაწერში აღწერილი გარემო?

– ამ შემთხვევაში – რეალური. რამდენად შემოდის ნაწერში ეს გარემო, ტიპაჟები – შეგხვედრია „უკვე დაწერილი“? აქ პერსონაჟს, ამბავს ვგულისხმობ და არა მწერლის შრომას და შესაძლებლობას, რომლის გარეშეც მკითხველამდე არაფერი მივა, ზუსტად ისე, უკვდავების წყალი რომ იპოვო, მაგრამ საცერით წაიღო ავადმყოფთან.

გარემო შემოდის, რა თქმა უნდა, სინამდვილიდან. ახლა ვცდილობ გავიხსენო რომელიმე ეპიზოდი, რომელიც ცოცხალი ყოფიდან მაქვს გადმოხატული (ანუ გადმოწერილი). ვერ ვიხსენებ, მაგრამ იქნება ასეთები. წერა სინამდვილით იკვებება, ყველაზე უფრო არარეალური ამბავიც კი ჩემ გარშემო სინამდვილის წაკითხვით იკვებება. ტიპაჟებიც, გარემოებებიც... წარმოსახვას სინამდვილე კვებავს და სინამდვილე მკარნახობს თემებს. ოღონდ ნაწერში ყველაფერი ხშირად ისე ვითარდება, როგორც სინამდვილეში შეუძლებელი იქნებოდა. ავტორის არჩევანი ამოუწურავია, წერა მეზღაპრეობაა.

“ტინგიცობის აღმსარებლობა” - ენა, ხელწერა და ლიტერატურა სიძველის ელფერით

“მყრალი განცდის ერთი წამია, როცა გარდაუვალ ხიფათს თავ-პირით აწყდები. როცა სიმაღლიდან მოწყვეტილი თავდაყირა ფრენ დასანარცხებლად, ან გინდაც, როცა უტვინო ქოფაკი თუ მტაცებელი მხეცი დაღებული ხახით, კბილების გაელვებით იფრენს შენზე, ანდა კიდევ კუნძზე კისერდადებულს ჯალათის მოქნეული ბასრი ფოლადის პირი დაგიქროლებს თავზე. ჯერაც საღ-სალამათი სულ მოკლე დროში ხვდები მარცხის გარდაუვალობას, დროის შეუქცევადობას და სრულ უმწეობას ამათ წინაშე...” (“მუშა და ფეხსაცმლის ზონარი”, მოთხრობა)

“შიგნით ბინადარი სული” ზურაბ გოგიძის ბოლო ნაწარმოებია, ახლახანს დაამთავრა და ჯერ არ გამოუქვეყნებია. ესეც “ზღაპარია”, ილუსტრაციების გარეშე. წერს მხოლოდ ქართულად, ამბობს, რომ მისი ცნობიერება ქართულად არის შედგენილი და მის გამოხატვასაც მარტო ქართული შეუძლია იყოს. მისი

დამოკიდებულებით, ლიტერატურას „სიძველის ელფერი“ უნდა დაჰკრავდეს, ხოლო “თხრობის ენაზე” მუშაობა ყველაზე ხანგრძლივი საქმეა.

– ზემოთ მითხარი, ხან ჯერ ილუსტრაციას ვხედავ და მერე მოდის ტექსტი, როგორ იყო ბოლო ტექსტის შემთხვევაში და როგორია ბოლო ტექსტი, რომელიც სულ ახლახან დაამთავრე, გამოვიდა?

ნახატებს ყველა ტექსტისთვის არ ვაკეთებ, უმეტესობას საერთოდ არცერთი ნახატი არ ახლავს. ისე არ წარმოვიდგინოთ, თითქოს წერა ხატვაზე იყოს მიბმული ან პირიქით. ბოლო ნაწერსაც არ ვუპირებ მოხატვას. როგორი გამოვიდა ბოლო ნაწერი? ალბათ „ისე-რა“ გამოვიდა. ან ცოტა უარესი ან ცოტა უკეთესი, მაგრამ კარგად მთავრდება. სანამ ამისი შინაარსის გამხელა-გამომზეურებას გადავწყვეტდე, მანამ ერთი ჩემი მეგობრისგან მიხდა მოვისმინო აზრი და შეფასება.

– რა მოცულობისაა? “ზღაპარია”?

ოთხმოცდაერთი გვერდია. “შიგნით ბინადარი სული” ჰქვია. „ზღაპარია“. არ არის საბავშვო.

– წიგნად გამოცემას აპირებ?

კი, ვისურვებდი, მაგრამ წიგნად გამოცემა ჩემს სურვილზე არ არის დამოკიდებული.

– “გასპერონს” რა ბედი ეწია?

“კაპიტან გასპერონის ჩანაწერები” ჩემი პირველი ნაწერია, მოზრდილი ზომისაა, ერთი წიგნის მასალა. წელს ათი წლისა გახდება. არაფერი ბედიც არ ეწია, არის თავისთვის. და ჩემთვის.

– ჩვენ, ჩვენს ენას არ აქვს ის “ფუფუნება”, რომ მილიონობით ადამიანმა წაიკითხოს. სადღაც მოვისმინე, მომავალი მწერლები, ალბათ, პირდაპირ ინგლისურად დაწერენ, ან სხვა ენაზე, რადგან თარგმნის დროს ბევრ ბიუროკრატიულ თუ ფინანსურ დაბრკოლებებს აწყდებიანო. „ამაზონზე“ შენი ორი ილუსტრირებული წიგნი დევს. ინგლისურადაც წერ?

ინგლისური ძალიან ცუდად ვიცი, ის სურათებიანი ელექტრონული წიგნაკები ქართულიდან არის თარგმნილი, სხვების დახმარებით. წერა მარტო ქართულად შემოძლია და სულაც არ მეცოტავება, კარგია ქართულად წერა. ჩემი ცნობიერება ქართულად არის შედგენილი და ჩემს გამოხატვასაც მარტო ქართული შეუძლია იყოს.

– არა, “ენის სიცოტავეს” არ ვგულისხმობ, მკითხველის სიცოტავე ვიგულისხმე, ვინ ან რამდენი კითხულობს დღეს?

არ ვიცი, თუ კითხულობენ. კი, მაინტერესებს, მაგრამ როგორ უნდა გავარკვიო, არ ვიცი.

– ეს პერსონაჟები – მუშები, მანანწალები, კაპიტნები, უფროსები, ლოთები, ღარიბები; მომაკვდავები ან სულაც მკვდრები – რას დაეძებენ? ვფიქრობ, იმედგაცრუებისა და ხელმოცარულობის მიუხედავად, მაინც აქვთ “კიდევ ერთხელ გაღვიძების” შანსი, ვცდები?

ხსნას დაეძებენ ჩემი მანანწალები, შვებას. მაგრამ სად არის? კიდევ ერთხელ გაღვიძებაც შესაძლებელია, მაგრამ ესეც ხომ არ არის გამოსავალი – გაიღვიძებ და ისევ ხელახლა უნდა იბრძოლო ყოველი დღის გადარჩენა. აღსასრულია ბოლო გაჩერება, შვებაც, განკურნებაც, დასვენებაც.

– როგორც კეიროშის სამი ახალგაზრდობის ამბავში? ასეთი იღბლის – სამჯერ გაახალგაზრდავების – მიუხედავადაც რომ ვერაფერს ცვლის? კეიროშს ყველა ადამიანის ოცნება აუსრულე, სამჯერ ჯეელობაში ჩაიყვანე, ზერელედ თუ შეხედავ, “საშობაო სიზმარს” ჰგავს, მაგრამ უფრო “სასტიკია”, არა?

დიახ, ყოფა სასტიკია და უსასტიკესი. დიახ, გვჯერა, თითქოს კეთილდღეობა იღბალზე და ხელსაყრელ გარემოებებზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს გარდაუვალობის განცდაც მუდამ არსებობს, შუბლზე რაც განწერილია, რომ ვიტყვით ხოლმე. ძველი თემაა, რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერაც მახსენებს თავს.

– ანუ კეიროშს შანსი არ ჰქონდა? იქნებ შეგუებოდა, აი, “რელიგიური მორჩილებით” რომ მიეღო ყველაფერი და ერთი ახალგაზრდობაც ეკმარა?

ზოგი რამეც ჩვენ-ჩვენთვის დავიტოვოთ გადასაწყვეტად, ანუ მკითხველმა სათავისოდ ივარაუდოს, მაგალითად, რა იქნებოდა, მეოთხე წრეზეც რომ წასულიყო, ან გაუთავებლად წრეებზე ეკატავა ჯეელობიდან სიბერემდე და უკან. მგონი, პირველი ცხოვრების მიწურულს შიმშილით სიკვდილს აპირებდა, არა მგონია, „რელიგიურ მორჩილებაზე“ ეფიქრა იმ დროს. ანუ რაც ტექსტში არ არის, დაე, თავისუფალი განმარტებისთვის დარჩეს, ვისაც როგორ სურს.

– „მთვარის მჭამელებზეც“ მითხარი, საიდან გაჩნდნენ – პატარა შურისძიებაა “ტინგიცობის აღმსარებლების” მიმართ? “მუცელსავსე და თავბედნიერი მოკვდავების” მიმართ? ფოკუზნიკი და მეზლაპრე რჩებიან, ჭამის უფლება რჩება ქალსაც. პროფესიულ და ახლანდელ „მინიშნებებს“ ფემინისტური ხაზისკენ მივყავარ, თუმცა... როდის და

როგორ დაინახე მთვარის ირგვლივ ჩამომსხდარი “მჭამელები“?

„მთვარის მჭამელებში“ ჩემთვის მთავარი და უპირველესი იყო თვითონ სურათი, მთვარესთან შემომსხდარი, დარბაისელი მჭამელი საზოგადოებისა. ფიროსმანს რომ აქვს ქეიფის სურათები, გაშლილ სუფრას ცალი მხრიდან რომ უსხედან პურისმჭამელები, ზუსტად ისე ვხედავდი მთვარის მჭამელებს. სამნუხაროდ, არ მახსოვს აქაც, პირველად ნახატი გავაკეთე თუ წერა დავიწყე, მაგრამ გულის გულში ეს სურათი იდო და სხვა ყველა მოქმედება მეორეხარისხოვანი იყო. როგორც მახსოვს, ბოლომდე დამრჩა გრძნობა, თითქოს მოუწესრიგებელი ნაამბობი გამოვიდა. არ ვიცი, შურისძიებაც არა მგონია, უბრალოდ, ხშირად მეჩვენება, რომ ჩვენ, “ტინგიცობის აღმსარებლებს” (არა ყველას, არა ყოველთვის, მაგრამ ჩვენს ამქარში ხდება ასეთებიც) ზედმეტად დიდი წარმოდგენა გვაქვს საკუთარ ღვანლზე და მნიშვნელობაზე, ეს კი სასაცილოა.

– „ენაზეც“ მომწერე, როგორ მოვიდა ეს „თითქოს არქაული“, თუმცა პერსონაჟებსა და ამბებზე ზუსტად მორგებული ლექსიკა, რომელიც არ გბებრდება, არ გაღიზიანებს, არ გიჩენს უადგილობისა და ნაჯახირების განცდას. როგორ არჩევ და პოულობ ამ სიტყვებს?

ეს ენაზე მუშაობა მუდმივი რამეა, ალბათ. ერთი მიზეზი ის არის, რომ უბრალოდ არ მომწონს უამრავი ის სიტყვა, რომლებიც დამკვიდრებულია და ფართოდ გამოიყენება ქართულში. და ასეთ სიტყვებს გვერდს ვუქცევ, ვცდილობ, შემცვლელი მოვუძებნო. რა თქმა უნდა, ენის “სინმინდეს” და გრამატიკის უზენაესობას არა ვგულისხმობ, უბრალოდ, ზოგი სიტყვა მომწონს, ზოგი არა, იმის მიუხედავად,

უცხოური წარმომავლობისაა თუ არასალიტერატუროა. მეორე მიზეზი ის არის, რომ თხრობის ენა გამოხატვის ხერხი და ავტორის ხელწერაც უნდა იყოს. ყველა ენას თავისი მუსიკა აქვს, ენის არჩევით ადგენ იმ ჟღერადობას, რომელიც გინდა, რომ აუდიტორიას შესთავაზო. და მესამე: სულ მაქვს ასეთი დამოკიდებულება, თითქოს ლიტერატურას სიძველის ელფერი უნდა დაჰკრავდეს. ხომ არის ნივთები, რომლებზეც ვიტყვით, რომ სიძველე უხდება, ან თუნდაც დაძველების ეფექტი იყოს.

– და მკითხველი, უფრო ახალ თაობას ვგულისხმობ, როგორ იღებს ტექსტებს “სიძველის ეფექტით”? შეიძლება მითხრა, ვინც „გემოს გაუგებს“ მისთვის იქნება, ყველას ხომ არ მოსწონს ძველი ნივთები, ზოგს ფობიაც კი აქვს. რა ადგილი აქვს მკითხველს შენს ტექსტებში, როგორი მკითხველი გყავს ან გინდა, გყავდეს?

ავტორს და მკითხველს ერთმანეთთან ვალდებულებები არ აქვთ. არ უნდა ჰქონდეთ, ასე მჯერა. მკითხველს ყოველთვის აქვს არჩევანი სხვა წაიკითხოს, თავისთვის უფრო ახლობელი. ავტორი კი თვითონ ადგენს და გამოიმუშავებს თავის სტანდარტს – ასე უფრო გულწრფელი რჩება. ეს არ ნიშნავს, თითქოს მკითხველს მნიშვნელობა არ ჰქონდეს, პირიქით, რაკი საბოლოოდ ნაწერი წასაკითხად უნდა შესთავაზო, ძალიან სასურველია პროცესშივე მუდამ გახსოვდეს მკითხველი და მის მიერ დანახვა შენი ნაწერისა. ფართო განმარტებით მკითხველი პიროვნებათა განუსაზღვრელი რაოდენობაა, ყველას ვერ მიერგები, უმრავლესობასაც ვერ. ამიტომაც ის შენი წარმოსახვითი მკითხველიც შენივე დაწესებული სტანდარტია, რომელიც წერის პროცესში გეხმარება, რომ ზედმეტად ვრცლად და მოსაწყენად არ გამოგივიდეს, ან კიდევ ნაჩქარევად და გაუგებრად – თუ რას გულისხმობდი.

„...სანამ მთელს სიგრძე-სიგანეში კაი ლაზათიანად გაიშოტებოდა, ბალიშის ქვეშიდან ტომარა გამოაძრო, პირით პირზე მიიღო, საძაგლად დაიჭინთა, მუცლიდან ამოდევნა მთლიანი თავისი სული და იმაში ჩაჰბერა. ტომარას თავი საგულდაგულოდ მოუკრა, ბოქლომიც დაადო, გასაღები ბალიშში შეინახა და მაშინღა გაიშოტა გულალმა, მოკვდა და ისე დაიძინა...“ („ოინბაზი სულიერება“, მოთხრობა)

არ ვიცი, რატომ მომინდა „ოინბაზი სულიერებით“ დამთავრება, ამაზე მოულოდნელი ამბებიცაა ზურაბ გოგიძის ტექსტებში. შეიძლება, იმიტომ რომ წაკითხვისთანავე ვიფიქრე, ზოგჯერ ცუდი არ იქნებოდა უძილობისა და შფოთვის ასე „მკურნალობა“-მეთქი, მაგრამ აქაც ყველაფერს თავისი საფასური აქვს – „სულიერებამ“ ოინბაზური შურისძიება იცის. დამთავრება კი ასეც შეიძლება: **“უთვალცრემლიანო უღიმოდა თავის ხომალდს გულქვა კაპიტანი, რომელმაც თავისი ტყავით იცოდა სიკვდილ-სიცოცხლისა და სასწაულებრივი გადარჩენების გემო”**.

ინა იმედაშვილი – მომაჯადოებელი ამბების დიდოსტატი

„ელმო იყო მარადიული მუშა და ამის გადაფიქრებას არც ახლა აპირებდა“.
ზურაბ გოგიძე

„ცუდათ ცოცხალი მკვდარი“ რომ თავის მოკვლას გადანყვეტს და თოკიც კი არა აქვს, რომ ჩამოკიდოს და თავი ჩამოიხრჩოს, არც ფული აქვს და საკუთარი თავის ჯოჯობეთში გასასტუმრებლად თოკს რომ მოიპარავს, თოკი რომ გასანთლული და კარგად დანწული აღმოჩნდება, ჩამოკიდებს ხეზე, გაჰყოფს თავს და ტოტი მაშინვე ჩამოტყდება, „ცუდათ ცოცხალი“ კი ძირს დაეზღვარება, აი ეს ყოფილა ნამდვილი უიღბლობა! და სწორად აქ ეხსნება „ბედი“ ჩვენს მკვდარსა თუ ცოცხალსა, ერთი ჩამოძონძილი მანანნალა პაპიროსს მოანევინებს და თან საიდუმლოსაც გაუმხელს: ყაზიმორტალო ჰქვია და ქვესკნელში, თავის პატრონთან ეპატიჟება. უხეირო ცოცხალ-მკვდარს, მეტი რა დარჩენია და აი, აქედან იწყება ნამდვილი, სულისშემძვრელი, აღმაფრთოვანებელი თავგადასავალი. სისხლი რომ გაგეყინება ძარღვებში და თავს ერთ ამოსუნთქვად წაგაკითხინებს.

ყაზიმორტალო ფერია ნამდვილად არ არის, როგორც ავტორი შენიშნავს, ფერიები ხომ გოგოები არიან, და იგი ამ უხეიროს მეგზურია ქვესკნელში, სადაც, როგორც ხდება ხოლმე, ჩვენი გმირები ჭის გავლით მოხვდებიან. ჭა – ამ შემთხვევაშიც ლიმინალური ზღურბლია რეალურსა და ირეალურს შორის, რეალურ ცხოვრებაში საკუთართავამონურული, ცხოვრებამოყირჭებული ცუდად

ცოცხალი ირეალურს მიმართავს („ცუდათ ცოცხალი მკვდარი“).

ზურაბ გოგიძე ის ავტორია რომელმაც, საკუთარი თავი, როგორც მწერალი, თავისი განუმეორებელი სტილითა და ენით შექმნა. მისი ტექსტების ენას მხოლოდ არქაულს და ძველებურს ვერ დავარქმევთ, ეს არის ახლებური არქაული, შეიძლება ითქვას, „თანამედროვე-ძველებური“, რომელიც მისივე შექმნილია და მწერლის ფანტასტიკურ არსებებს თუ ჯადოსნურ გარემოს კიდევ უფრო მეტ მომხიბვლელობას სძენს.

რადგან სიტყვა ფანტასტიკური ვახსენეთ, არც კი იფიქროთ, რომ ზურას მოთხრობები (როგორც მათ თავად უწოდებს), კეთილი დასასრულებით გამოირჩევა ან გულუბრყვილო ბრჭყვიალებით, სულ პირიქით! ისე ახდის ფარდას ამყრალებულ რეალობას, რომელსაც ჩვენ დიდის ამბით ვმალავთ და ვჩქმალავთ, ისე მოგახლის სიმართლეს, ისე ჩამოგგლეჯს ვარდისფერ სათვალეს, თავადაც ვერ მიხვდები – გაბრუებული ზღაპრული პასაჟებითა და სტილით. „*ამათი მრეწველობის რაობას სრულად და დაწვრილებით გვამცნობდა შესასვლელის თავზე დამაგრებული აბრა: სამაილო თარაქუმოვის სავეჭილო საზოგადოება. სიმართლით ვაჭრობა, მრწამსისა და სინდისის გაქირავება, სამართალი და უფლებები, უბრალოება და უდანაშაულობა ყოველგვარი საჭიროებისთვის, კაი ფასებად.*“ („ბინადარი სული“).

ზურა საკუთარი ტექსტების გამოცდილი კაპიტანია, ძალიან კარგად მართავს საჭეს, იცის, როდის უნდა შემოატრიალოს და საით წაიყვანოს, რომ მკითხველი „არ გაუშვას“, ბოლომდე ჩაითრიოს და საბოლოოდ იმხელა ემოციები დაუტოვოს, შემდეგ კარგა ხანს რომ გაჰყვეს.

მწერლის მოთხრობები თუ ზღაპრები ზრდასრულთათვის, სცდება ყოველგვარ ჟანრობრივ ჩარჩოებს, სცდება მიმდინარეობებს, და შედეგად ყველაზე ცოცხალ და თანამედროვე ლიტერატურულ მიმდინარეობად ყალიბდება, სადაც ცოტა-ცოტას ყველაფერს მოუყრია თავი ერთად: ხალხური ზღაპრებისთვის დამახასიათებელ სტრუქტურასა და კანონზომიერებებს (გმირი მიდის სახლიდან, გადის ინიციაციას – ჭიდან ქვესკნელს ეწვევა, აქვს საოცარი თავგადასავალი, მოიხილავს ჯოჯოხეთს, თუმცა ზღაპრისგან განსხვავებით უკან არ ბრუნდება, სწორედ ამიტომაც ამბავი ზღაპრის ზედაპირულ ილუზიას ქმნის და ბოლომდე არ მიჰყვება მის წესებს), კლასიკური რომანისთვის დამახასიათებელ თხრობა/აღწერას, ფენტეზის – მაგიას, ჯადოსნობას და ზებუნებრივ მოვლენებს, თუმცა ვერ იტყვი რომელიმე მათგანი დომინირებს. სწორედ ეს არა ჩვეულებრივი მიდგომა და სინთეზი ხდის უნიკალურს ზურას შემოქმედებას.

მისი პერსონაჟები არ არიან ბოლომდე ბოროტები ან/და ბოლომდე კეთილები, შავსა და თეთრს შორის ეს ზღვარიც წაშლილია, აქ შეიძლება ჯოჯოხეთიც კი მშვიდად განსასვენებელი ადგილი აღმოჩნდეს, ან გაქნილმა, მატყუარა ვექილმა მკითხველის სიბრალული დაიმსახუროს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი სახე-სიმბოლოები, რომლებმაც შეიძლება ისე გაგაოცოს, რომ სანამ არ დაასრულებ კითხვას, გონს ვერ მოხვიდე და სამუდამოდ მეხსიერებაში ჩაგებეჭდოს, სწორედ რომ ჩაგებეჭდოს და არა ჩაგრჩეს. ეს სახეები ზედაპირული, საყველპუროდ მოფიქრებული კი არაა, არამედ მათ არსში თუ უკან უამრავი რამ დგას და მოიაზრება, დაწყებული სამყაროს დაარსებიდან – დღემდე, უძველესი არქეტიპები თითოეულ

სახე-სიმბოლოში იჩენს თავს და მკითხველს ათასობით წლის წინანდელ მითებისა და ლეგენდების განწყობას უქმნის.

ზურაბ გოგიძე სიტყვებით თამაშის დიდოსტატია, პირდაპირი გაგებით ნუსხავს მკითხველს მისი სიტყვათა შეთანხმებები თუ პერსონაჟის მახასიათებლები: „სასწაულის მზეთუნახავი“, „ქათქათა ფრთებიანი მონაზანი“, „მუჭამოჭერილი სიძუნწე“, „ადამიანი-ორთქმავალი, კაც-მანქანა“, „ლორდინგი მხეცი“ და სხვ.

უნდა ვთქვათ იმ ლექსებზე თუ ბალადებზე, მწერლის ამბებს ფონად რომ გასდევს. თავად სიმღერებს უწოდებს, მართლაც რომ მათი კითხვისას სიტყვების პარალელურად მელიოდიაც ჩაგესმის ყურში და წარმოსახვაც შუასაუკუნეობრივ ბალადებს სწვდება, საგმირო ამბებია, ნაღვლიანად გარითმული: „*მაშრიყის ქვეყნის ტრამალებს მიღმა / ტაშტისარაის ყორღანებიდან / მოისმის იგი საზარელი ხმა / გაუსაძლისი ღრიანცელისა / იქა ბინადრობს ტულიაკბაი / კაცი-ურჩხული დაუძლეველი / განთქმული თვისი ბოროტებითა.*“ („ელმო და შარმაზი“).

ზურაბ გოგიძეს ტექსტები, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი პორტალია უამრავ სამყაროს შორის, სადაც ცხადად შეიგრძნობ ქვესკნელის წყლების მღუმარებას, უიღბლო მელექსეს ნაღვლიან სიმღერებს, წიგნიდან გათავისუფლებული სულის მწუხარებას თუ ადამიანის იმგვარ უიღბლობას, გულს რომ მოგიკლავს და დარდს გაგიჩენს.

და ყველა ეს ჯადოსნური, საოცარი ამბავი არ იქნებოდა ავტორის სრულყოფილი, განსაკუთრებული ილუსტრაციების გარეშე. თითქოს რაც თხრობას დააკლდა, სურს რომ მკითხველს ილუსტრაციებით გაუცოცხლოს,

კიდევ უფრო ცხადად რომ წარუდგინოს ის პერსონაჟები, რომლებსაც რთული ბუნება აქვთ და მათ წვდომას გარკვეული მკითხველური გამოცდილება სჭირდება. მხოლოდ ილუსტრაციებიც კი ერთი ამბავია – ფერადი და მომხიბვლელი.

ვფიქრობ, რომ ქართველი მკითხველისთვის უდიდესი საჩუქარი იქნებოდა ზურას წიგნების ხილვა, დიდი ფორმატით, საკუთარი ილუსტრაციებით, სურათებიანი წიგნების მსგავსად – ოღონდ მოზრდილებისთვის. იმ ყოფას, სადაც ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა ყოველდღიურ საზრუნავშია ჩაფლული, გაახალისებდა და გაამრავალფეროვნებდა.

რალა თქმა უნდა ამ პატარა წერილში შეუძლებელია ბოლომდე ჩატიო ზურაბ გოგიძის სამყარო, რომელზეც საუბარი და წერა უსასრულოდ შეიძლება, ზემოთ ნათქვამი, მის შემოქმედებაზე საუბრის უბრალოდ პატარა შესავალი ან/და დასაწყისია.

დასასრულს კი, ზურას მის ერთ-ერთ პერსონაჟს შევადარებდი, უძველეს, უცნაურ, ჯადოსნურ წიგნში ბინადარ სულს, რომელსაც ერთი სული აქვს, საუკუნეებია იცდის, გადაშალონ და წაიკითხონ. ახალ მკითხველს წიგნის კლიტის ჭუჭრუტანიდან, ცალი თვალით უცქერს და აკვირდება, ღირს კი მასთან საკუთარი ამბების მოყოლა? გაუგებენ და მოეწონებათ? იქნებ ყავლგასულად ჩათვალონ? თუკი მისით დაინტერესდებიან, საკუთარ სამყაროს უშლის, ხიბლავს, თავს აყვარებს და სამუდამოდ მათთან ერთად რჩება. მთავარი კი ამ ამბავში ერთია, ზურას ტექსტებს წაკითხვა სჭირდება, რომ გაცოცხლდნენ და მკითხველის გონებაში განაგრძონ არსებობა.

სიმღერა ლონდონზე

(ლექსი)


გახსნილ შნურუკებს ქვაფენილს ვაფრატუნებ,
გზა-გზა ვილუკმები სენდვიჩს.
როიალ ბოროა, გესმის, კეზინგტონი,
როიალ ბორო ჩელსი.

ტუფლები ყელამდე ტალახში მოსვრილი,
შარვალიც დასვრილი და ძველი,
გარშემო სუფთა მოქალაქეები,
ყველა ლამაზი და თეთრი.

დავდივარ, ფიქრები მეზარება,
ქუჩებში სიცოცხლე მესმის,
ოფლი და მინა შუბლზე მენებება,
პურსა ვჭამ ტურტლიანი ხელით.

ღობეზე ვჯდები და ფეხებს ვაქანავებ,
თამბაქოს ვუკიდებ ეშხით.
როიალ ბორო, გესმის, კენზინგტონი,
როიალ ბორო ჩელსი.

მკვდარზე დამღვრელი



ერთი ქალიც იყო ერთ ქალაქში, არც მდიდარი, არც წარჩინებული. სულაც პირიქით, შრომით უწევდა თავისი წილი სარჩოს მოპოვება და ხშირად მდიდრების სახლებში კარდაკარ სიარულიც კი, საქმისა და გასამრჯელოს ძებნაში. რეცხავდა, გვიდა, ასუფთავებდა, აწკრილებდა თითო-ოროლა კაპიკ გასამრჯელოდ.

და ერთხელაც იყო, ზამთრის ყინვიან საღამოში შინ

ბრუნდებოდა კარგა დაღლილი, შეციებული, მთლად გათოშილი და კიდევ მშიერი, რომ, როგორა ვთქვათ და, ჩვეულებრივი საჭიროება დაუდგა. ვის არ დამართნია, მაგრამ ალბათ სიცვიის ბრალიც თუ იყო, სულ მალე გაუსაძლისად გაუხდა საქმე. მოაწვა და აატკივა შიგნეულობა. რა უნდა ქნას? ქალაქია, ქუჩაა, გარშემო ჯერაც ხალხი დადის. სად შეეფაროს, სად მოითქვას სული? ძლიერ შეწუხდა, ნაბიჯს უჩქარებდა, მაგრამ სახლამდე კიდევ შორი იყო და გასაჭირი ყოველ წუთს უფრო აუტანელი უხდებოდა.

არჩევანი ბევრი არ იყო: გზაზე სასაფლაოს უნდა ჩაუაროს. ამ ბნელ საათზე და ამ ყინვაში იქ არავინ იქნება. მიაღწია როგორც იქნა სასაფლაოს კედელს, იმის გარღვეულ ადგილთან შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, გამვლელ-

გამომვლელს გაცლა აცადა, დრო შეარჩია და სწრაფად იქ შევიდა. იქაც სწრაფი მოთვალეობით ბნელი კუნჭული აარჩია, იქით ჩჰყვა კედელს და სრულ წყვდიადში დაიმალა. ჩაიძრო ზედმეტები, როგორც წესი და რიგია ყოველივე, ჩაიკუზა და დაღვარა მტანჯველი ზედმეტობა. ეამა, შვება მოეცა, ღრმად ამოისუნთქა.

როგორცა ჩანდა, არც არავის დაუნახია, სირცხვილს გადარჩა. მოიწესრიგა მოსილება, დაიფარა შეციებული ადგილები და თავდალუნულმა ისევ გარღვეული კედლისკენ იარა აჩქარებით და, ცოტა არ იყოს, შიშით. ღამის სასაფლაოს გამოუცნობი, ბნელი ზრახვების გამო უნებლიე შიშით.

აბა, იმან რა იცოდა და, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც წუთის წინ თავს აფარებდა, მიწაში, ერთი მკვდარი ყოფილა თურმე. ღარიბი, უპატრონო, უხსოვარი. გათლილი ქვა იმას არ ღებია და არც სხვა რამ ნიშანი ჰქონდა იმის სამყოფელს. მიწა იყო ადგილი და მეტი არაფერი, განა რას მიხვდები ასეთ ადგილში თუკი ვინმეც არის დაფლული.

რამდენი დაღვრია თავზე იმ მკვდარს, რამდენ ძალღსა და მანანნალას დაუფსამს იმაზე, უხსოვარ დროიდან მოყოლებული. მაგრამ აქამდე დარდი არა ჰქონდა, ყურსაც არაფერზე შეიბერტყავდა. მხოლოდ ხანდახან თუ მიაყურადებდა მიწისზედა ამაოებას და გადაბრუნდებოდა, კიდევ მოხერხებულად მოეწყობოდა და არხეინად განაგრძობდა თავის სიმკვდარეს. არც კუბო ჰქონია, არც საკუბოე ღამაზი შარვალ-კოსტუმი. არც ვინმეს როდისმე დაუფლია და არც როდისმე ცოცხლადა ყოფილა ქვეყანაზე. მკვდარი იყო სულ თავიდანვე, სულ ყოველთვის, უხსოვართაგან და მუდამ ასეც უნდა ყოფილიყო. მაგრამ მოულოდნელად გამოაფხიზლა, გული

დაუღობო ახლანდელმა სითბომ, მასზე დადენილმა, სხვანაირმა. სხვა ხიბლი იყნოსა ცოცხალთა ყოფის, მძაფრი, დაუძლეველი მიზიდულობა, სხვა აღტაცება, იმ ქალით აღტაცება. ცქვიტა, წამოყო, ვერც მოიფიქრა, რასა თმობდა და რისთვის ტოვებდა მარადიულ შვებას და მოსვენებას. დაუფიქრებლად აჰყვა ველურ ძახილს, წამოხტა, ამოამტვრია მინა და იარა. მაგრამ ვერც იარა: აკი პირველად იყო ცოცხლეთში, მიუჩვეველი, გაუნაფავი, პირველად დგებოდა აღმა, ორ ფეხზე. აიბლანდა, აიხლართა, იქანავა, წაიქცა.

ქალი კი, ის იყო კედლის გარღვეულსაც მიუახლოვდა ისევ ქუჩაზე გასასვლელად, რომ სწორედ წელანდელი ადგილიდან მოესმა ხმა მტვრევისა და ფართხალებისა. რა უნდა იყოს? რა შემზარავია ღამის სასაფლაოდან უეცარი ხმის გაგონება! გაშრა, გაოგნდა, მაგრამ ვიდრე შეშინებასაც გვარიანად მოასწრებდა, დაძახილიც იქიდან გაიგონა ადამიანის ენაზე:

– მოიც! დამელოდე!

აი, მაშინ კი შეეშინდა. თვალთაგან ხედვა წაეშალა, ძარღვებში სისხლი გაეყინა და გადარჩენის გაუცნობიერებელი ძახილით ირბინა ქუჩაში, სამშვიდობოს. მაგრამ არ მოეშვა მკვდარი. ირბინა იმანაც არეული, ნამკვდარევი ნაბიჯით. გაიქცა ისიც ქუჩაზე, მიიხედა, მოიხედა, დაინახა ქალი და დაედევნა, თან კიდევ დასძახოდა:

– მოიცა, ქალო, დამელოდე!

ადგილზე გაჩერდა ის თითო-ოროლა გამვლელი მოქალაქე, შემსწრე ამბისა, თვალს აყოლებდნენ, ისინიც, ცოტა არ იყოს, შეშინებულნი. ქალი ბარემ შველასაც დაეძებდა,

მაგრამ აბა, ვინ გამოესარჩლებოდა, ვინ გადაუდგებოდა ამისთანა მღევარს? დარბოდა დამფრთხალი, წამოიკივლებდა დროდადრო და გზიდან ერიდებოდა ყოველგვარი სულიერი, გინდა იმას და გინდაც იმას დადევნებულ მკვდარს. მკვდარი კი ჯერაც კარგად ვერ იმორჩილებდა საკუთარ ფეხებს, კარგა მძიმე მთვრალივით ქანაობდა და თავის თავში იხლართებოდა, წაიქცეოდა, დასძახებდა დამელოდეთ და ისევ მისდევდა.

აი, ასე, ერთგვარი თავგანწირული მხიარულებით მიირბინეს ქალის სადგომ ბინამდე. და გაასწრო ქალმა, სიჩქარე არ ეყო ახლადფეხადგმულ მღევარს. გასწრებით კი გაასწრო, მაგრამ უკვე თვითონვე ჰგავდა მკვდარს. ბინის კარი უმაღლ შიგნიდან ჩარაბა და დარჩა ერთ ადგილზე, გაოგნებული, ფერწასული, დამუნჯებული და პირგაღებული.

– სადა ხარ ქალო, ამდენ ხანს! – ოთახიდან ეგებებოდა თავისი კაცის ხმა – რამდენი უნდა გელოდო? – ერთი-ორი კიდევ შეუკურთხა – შენ რომ ქუჩა-ქუჩა წანწალს უნდები, მე პური ვინ უნდა მაჭამოს!

კაცი მთვრალი იყო, რაღა თქმა უნდა. ქალი მხოლოდ გაშტერებით აჩერდებოდა, აკანკალებდა და ვერაფერს ამბობდა. კიდევ იღრიალა კაცმა, იჯაჯღანა, ილანძღა. ქალი ხმას ვერ იღებდა და ის კიდევ ამაზე უფრო ბრაზდებოდა, ქამარი გამოიძრო – ქალს გადაუჭიროს, რომ ამ დროს კარზე კი არ დააკაკუნეს და, დაუკითხავად შემოამტვრიეს. კაცმა ერთი გაქაჩვა იქით გაიწია თვალების ბრიალით, მაგრამ მაშინვე ადგილზე გაშეშდა: კარში არც მეტი, არც ნაკლები, მკვდარი იდგა. უშარვალკოსტუმო, გამშრალი, შემოდონძილი შავი ხორცებით, ამოღამებული თვალის ღრუებით და დაკრეჭილი, ტალახიანი კბილებით.

მკვდარი ადვილად მიუხვდა კაცის მომარჯვებელი ქამრის განზრახვას, მივიდა, თავში ჩააფარა, დაავლო მკვდარი თავისი ხელები, კარში გაიტანა და კიბეზე მოისროლა, თავიდან მოიშორა აბეზარი კაცი. ოთახში დაბრუნებულს კი ქალი გულნასული დახვდა. ახლა იმასთან დაიხარა მკვდარი, დაეშვა იატაკზე. უყურა, ათვალიერა. აი, თურმე რანაირი ყოფილა ამისი ქალი, ახლა ნახა ახლოდან. ყველგან არა, და ზოგან დასუნა კიდეც, თითიც დაადო. ქალი ცოცხალი იყო, ამას ადვილად მიხვდა.

ფრთხილად ხელში აიყვანა, ტახტზე დააწვინა, საბანიც კი ნახა და დააფარა. ტახტის კიდეზე ჩამოუჭდა, დალოდება დაუწყო იმისი გონების დაბრუნებას. უყურა, უყურა და მოიფიქრა: დაიარა ბინა, წყალი მოძებნა, სახეზე მიუსვ- მოუსვა და თანდათან ქალმაც დაიწყო გონზე მოსვლა. შეშინებული, ხმაგაკმენდილი უყურებდა.

– განა არ ვიცი, როგორიცა ვარ, – წუთით თვალი მოარიდა მკვდარმა – მაგრამ რა საჭიროა მეც მაინცდამაინც ლამაზი ვიყო, – თავის თავზე გაეცინა, როგორღაც უხერხულად.

ქალი ჯერაც გაოგნებული უყურებდა და არა სჯეროდა რომ ცხადში იყო.

– ხშირად გცემდა ისა? – მკვდარმა ჰკითხა გაგდებულ კაცზე – აბრაზებდი ხოლმე?

– დიახ, – მორჩილად, სწრაფად და ძლივს გასაგონად უპასუხა ქალმა.

თვალს შეავლებდა მკვდარი იმის უმწეობას და თვითონვე ვერ გაეგო, რატომ ახლავე არ დანაფებოდა სასურველს, რატომ ბარემ არ დაეუფლებოდა მნიფე სხეულს, სრულიად მორჩილს, ბედს დანებებულს. ხვდებოდა კი, რომ ვერაფრით ჩაიდენდა, თავისივე ნება არ დაჰყვებოდა

უმწეობაზე გასამარჯვებლად. ამის მაგივრად საუბარს შეეცადა, დასამშვიდებლად, ნუგეშის საცემად:

– ნუ შეშინდები. ჩემი ალტაცებით განა შენი ტკენაც გამეხარდება. შენ გამაღვიძე, შენ ჩამბერე ყოფის სურვილი, აკი შენამდე არც არასდროსა მდომებია ცოცხლად ყოფნა და ანდაც რად მომინდებოდა, რა დამრჩენოდა სააქაოს რომ შენ არ გიცოდი. სულ ზეპირად ვიცი თქვენებური ყოფის ამაოება და ამიტომ. მაგრამ ახლა ცოდნაც რილას მაქნისია, როცა გული და სული მომიხმობს და მომარბენინებს! რალა დამაოკებს, რომ ახლა ვიყნოსე ჭეშმარიტებაზეც მეტი, გარდაუვალზეც მეტი, თვით ამაოებაზეც უფრო მეტი. შენ გამოგიცანი, თორემ მარადიულ მკვდარს სხვა რა გამრჯიდა მიწიდან ამოსვლად.

უსმენდა ქალი იმ უცნაურ, მკვდრულ აღსარებას და ვერაფერს გებულობდა, რა უნდოდა მკვდარს, რა ხდებოდა მის თავს. ოღონდ ცოტ-ცოტას მაინც მშვიდდებოდა, აღარ მოუჩანდა უცხო მკვდარი უწინდებურ, უეცარ საფრთხედ. აკი განზრახვა რალაც უფრო სატრფიალოდ მოუჩანდა იმას, ვიდრე ქალისთვის ტყავის გაძრობა, ხორცის ფლეთა, სისხლის სმა თუ საფლავში ჩათრევა ეშმაკების საპურმარილოდ.

– ჰმ, განა არა, მე თვითონაცა ვხვდები რანაირად უნდა გიხაროდე, – მკვდარი განაგრძობდა – მაგრამ ნუ გეშინია, მოვრიგდებით, სულ ესე კი არ შეგეშინდები. არც არასდროს განყენინებ, არცა გცემ, რაკი შენც არ გამაბრაზებ ხოლმე. დავფუძნდებით, დავსახლდებით, ავეწყობით. რაც არის არის, ცოცხლობას შევუდგები, რაკი ჩემი წერა შენა ყოფილხარ.

ესეც ახალი ამბავი! თურმე წასვლასაც არ აპირებს. მაშ ასე დაუკითხავად შემოვარდნილი მკვდარი უნდა გაუხდეს დარჩენილი ყოფის და ცხოვრების კაცად! ქალი ბუნდოვნად ხვდებოდა ახალ-ახალ ჭეშმარიტებებს მის თავს და იმ დაფეთებულ გუნებაზე შეკამათებასაც ვერა ფიქრობდა.

მაგრამ ამ დროს ხმები გაისმა შემოსასვლელ კართან:

– აით, უფროსო. აქეთ მობრძანდი და თვითონა ნახეთ, – წელანდელი გაგდებული კაცი იყო, მილიციელი მოყვანა – ოჯახი ამიოხრა, გარეთ გამისროლა. სად გაგონილა ასეთი ამბავი!

დადგა, დაეყუდა მილიციელი, პირდაღებულმა უყურა მკვდარს. თან ძალაუნებურად ხელს სასროლზე იდებდა, გეგონება, მკვდარი მოკვლით უნდა შეაშინოსო. მკვდარმაც აქეთ უყურა ამას. გაგდებული კაცი კი მილიციელის ზურგს უკან იმალებოდა და ელოდებოდა. მაგრამ ამაოდ, თანაც კაი დიდ ხანს.

– რას დამყუდებიხარ პატივცემულო? – ბოლოს მკვდარმა ამოთქვა და გაშტერებიდან გამოაფხიზლა მილიციელი – აკი საქმეები გაქვს: ქურდობა არ იყოს ქალაქში, ავაზაკობა, – თან ხელით კარისკენ აჩვენებდა – ჩვენთან კი მშვიდობა სუფევს როგორცა ხედავ. აი, ჩემი ქალიც უკვე უკეთესად არის, – ახლა ქალზე უჩვენა ხელით.

– დიახ, – დაილულულა მილიციელმა და ჩქარა გავიდა, უკან-უკან სიარულით, სასროლის ტარის ბლუჯვით. გაეცალა იქაურობას.

იმას აედევნა განბილებული გაგდებული კაცი, როგორ იქნებო, აკი ოჯახი დამიქციაო, შინიდან გამაგდოო, შესჩიოდა. მილიციელი კი ნატკენი თავმოყვარეობის

გამთელებას უკვე სწორედ მის დამწყვრევასა და გასილაქებაში ხედავდა. შენ მე დამაცადეო, თავის გულში ემუქრებოდა, ხმამაღლა კი ცოტა სხვანაირად უმხელდა თავის განზრახვას:

– კარგად წამობრძანდი შენ ჩემთან, იქ გავარკვევთ ყველაფერს.

და დარჩა მკვდარი ქალთან, ახალ გამართულ, თავისად დაპატრონებულ ოჯახში. შემტვრეული კარი როგორღაც ისევ შეტენა ჩარჩოში და ქალზე ზრუნვას დაუბრუნდა:

– კინალამ არ დამავინწყდა? შენ აკი ცოცხალი ხარ, გეშიება-იქნება, გენყურება, გეციება, – აფუსფუსდა.

დაიარებოდა ბინაში სასაცილო, ფართო ნაბიჯით და ქალის თავთან ზიდავდა პურსა და წყალს, მარილს, ხახვებს, წინაკებს, ბოთლებს, ქოთნებს, რა იცი, რომელმა ივარგოს. ქალი კი ჯერაც გაოცებული, მაგრამ უკვე ცოტად თუ ბევრად გონებადამჯდარი აღევნებდა თვალს. ეს კი არა და, ეცინებოდა და ცოტა კიდევ უხაროდა მკვდრის ალაღ-მართალი ზრუნვა.

– დაიძინე, როცა გეძინებოდეს, – კიდევ ეუბნებოდა მკვდარი ღამისპირულ საათზე – დარდი არა გქონდეს და შიში ჩემო წერავ და ცოცხლეთში ჩემო მეგზურო. მე გიყარაულებ.

მერე დიდხანს, თითქმის მთელი ღამე დახურულ ფანჯარაზე იჯდა მკვდარი. რაფაზე. და გარეთ გაჰყურებდა ღამის სიშავეს და სინაცრისფერეს. თავთავიანთ ფიქრებში ათენებდნენ. ქალს რა დარჩენოდა, ბედს ურიგდებოდა და იმ ფიქრებში ცდილობდა, ახალი ყოფის რომელიმე უკეთესობები მოეფიქრებინა და დაეჯერებინა. მკვდარი კი

იმასა ფიქრობდა, თუ რანაირად გადაედგა და დაედლია საწადელის მიჯნა ისე, რომ ქალსაც არა სწყენოდა.

– აკი ცოცხალი ხარ, აკი უნდა გეძინოს ახლა? – ბოლოს და ბოლოს ხმადაბლა უთხრა მკვდარმა, რაკი ესმოდა იმისიც უძილობა.

– დიახ, – ისევ მოკლედ, ისევ მორჩილად უპასუხა ქალმა.

მკვდარს კი აღარა უთქვამს, ჩამოვიდა ფანჯრიდან და განთიადის საათის დადგომამდე უკვე ერთმანეთისანი იყვნენ და იცოდნენ ერთმანეთი.

ხვალ დილით შრომაში არ გაუშვა მკვდარმა თავისი ქალი. სულ ერთად ყოფნა უნდოდა, ეშურებოდა და ეხარებოდა იმის სიკარგეს, საუკუნო წყურვილის დაოკებას. და ახალი და უცხო ხდებოდა მისთვის გარემოება, მოკვდავს ემსგავსებოდა თვითონ, მანამდე მარადმკვდარი. პური მოშივდა, იცინოდა, მღეროდა, სუფთა ჰაერი და დღის სინათლე უხაროდა. ჭამა პური და მთლად ეუცხოა თავისი თავი. კარგად არ ენიშნა. სიბნელემ, სისუსტემ, სიმძიმემ დაქაჩა დაბლა და დაბლა. დაიძინა. მკვდარივით ეძინა, როგორც იტყვიან ხოლმე.

ზეგ დილით იხტიბარს არ იტეხავდა, თავი მხნედ ეჭირა წუხანდელისაც ნაამებ გუნებაზე. ქალისთვის აღარ დაუშლია შრომაში წასვლა. თავის თავზე კი უკვე ხედავდა მოკვდავის მსგავსებას: ახალი ხორცი იწყებდა იმის ძვლებზე გამოსვლას, თვალის ბნელ ღრმულებშიც კი რალაც მრგვალები უწყებდა ზრდას. მაგრამ ხედვა უბნელდებოდა, იოფლებოდა, ქოშინებდა, ბნელი სიმძიმე ქენჯნიდა და დაბლა ქაჩავდა. და შიოდა. თვითონაც წავიდა საქმის საძებნელად, შრომის გასაჩენად. მაგრამ ვერაფრით დაბრუნდა. დამშეული, განამებული. ქალმაც

ვერ მოიტანა კარგი ამბავი: გუშინდელი გაცდენისთვის სხვისთვის მიუციათ იმისი დღევანდელი საქმე და ახლა ისევ კარდაკარ უწევდა საშოვარზე სიარული. მკვდარს საღამომდე გაბეჯრებოდა ახალგამოსული რბილი, სძვრებოდა ის შავი, მკვდარი, ძველი ხორცები. უფრო დამრგვალებოდა ბუდეებში ახალი თვალები. ქალს კიდევ უხაროდა, თანდათან ესეც ადამიანს დაემსგავსებო, მაგრამ მკვდარს აშინებდა ეს ცვლილება.

მაზეგ დილით ისევ გაუდგნენ თავთავიანთ მოღვაწეობას. უარესი გამოვიდა: გუშინ თუ აღმაცერად, რიდით და შიშით უყურებდნენ დამქირავებლები, დღეს მთლად სასაცილოდ იგდებდნენ, და სასაცილო იყო მართლაც. ბალღივით ქორფა ჰქონდა ახლად დაფენილი გარე ბედაპირი და ბებრულად დარღვეული მთლიანი მკვდარი აღნაგობა. ისევ ვერაფრით დაბრუნდა შინ, ისევ მშვიერი.

ძალა არაფრისა ჰქონდა მკვდარს. გულის სიღრმეში უკვე ნანობდა მიწიდან ამოსვლას. მახინჯი თავისა აღარაფერი შერჩენოდა კიდევ მეტ სიმახინჯედ გამხდარს. თანდათან ხელი ჩაიქნია შრომის ძებნაზე, ყველგან მხოლოდ ფურთხისა ჰოულობდა საკუთარ თავზე და ტრაკში პანჩურებს. მივიდოდა სასაფლაოზე, თავის მიწაზე დაჯდებოდა და ტიროდა. ვერ კი კვდებოდა, ვერ ბრუნდებოდა თავის სამშობლოში, სიკვდილში. და დამშეული და უმუშევარი ბოლოს მაინც შინ მივიდოდა. ქალი ამხნევებდა, ამშვიდებდა, მოეწყობო, მიეჩვევიო, აკი ჯერაც სულ ახლახან გაცოცხლებულხარ, მოითმინე და ნუ გეშინიაო. თვითონვე სჯეროდა თავისი ახალი კაცისა, დიდხანს იმედით უყურებდა იმის გაახლებულ იერს.

მაგრამ თანდათან ისიც ხედავდა, მკვდრის ის ახალი იერი არა და არ შეიკრა ცოცხალ სახედ, ფერი ვერ დაიდო,

სიმართლეს ვერ მიემსგავსა, ნაკლულად რჩებოდა.
სინანულით აღიარებდა ქალი: ხათაბალად აჰკიდებოდა
მკვდარი. კიდევ ებრალებოდა, ითმენდა, საშველს კი
ვერსაით ხედავდა. თვითონ მკვდარმა გულის სიღრმეში
აკი ზედმიწევნით იცოდა თავისი მოწყობილობა,
დასაკარგად განწირულის დანიშნულება პირველივე
ქმნიდან, არსაცოცხლებლობა. აკი ამიტომაც არ მოდიოდა
ცოცხლებში, აკი ცოცხლობამდევე ასეთად იყო
დაწესებული და იქვე დარჩენა იყო მისთვის ერთადერთი
გონიერება. ახლა კი რაღა, ვერ გაუმთელა ის უკუღმა
მოწყობილობა ვერც აღტაცებამ, მარადიულზე და
გარდაუვალზე უძლიერესმა! ყოველდღე ჩუმჩუმად ტიროდა
სასაფლაოს თავის კუნჭულში და საღამოებზე შინ
ბრუნდებოდა, ქალის ბინაში, ყოველდღე შერცხვენილი.

ამასობაში კი, აბა მკვდარმა რა იცოდა და, იმისი
გაგდებული კაცი თურმე ჯერაც ფხიზლადა ყოფილიყო.
მილიციაში გატარებული ღამეების მერე, ნაცემი და
დამჟავებული, ძველცოდვებშეხსენებული და მუქარით
შეშინებული ჯერ დედიმისისას წალასლასდა
თავშესაფრისთვის. და რაკი ცოტა რამ სული მოითქვა და
ელდა გადაატარა, წავიდა და ფრთხილად დაიწყო
წართმეულ თავის ბინასთან ბოდიალი და მიახლოება.
ქალს კიდევ რა უშავს, მაგრამ იმის ბინას როგორ შეელიოს
ესე ადვილად? უყურა, უთვალთვალა ჩრდილის
კუნჭულებიდან და რა დაინახა! ის მრისხანე და
ძღვევამოსილი მკვდარი საცოდავ არარაობად
გამხდარიყო, მთლად დალეულიყო. ადვილად გაბედა
მაშინ გაგდებულმა კაცმა, უჩუმრად მიუთვალთვალა იმის
სავალ გზებს, სულ დაისწავლა იმისი მოძრაობა.

და ერთ ჩვეულებრივ, უბედურ დღეზე იყო, როცა მკვდარი
ისევ თავის მიწაზე მისული ტიროდა, სასაფლაოს

საფარებიდან გამოეცხადა და მიუახლოვდა იმას
გაგდებული კაცი, ხელში ხანჯლით. დასცა ბოლომდე.

– აესეც შენ! – ჩაულაპარაკა ალტაცებით. გამოაძრო და
კიდევ დასცა – ჯერ სადა ხარ. შენ მე მიყურე, დედაკაცსაც
რა დღე დავმართო!

დასცა და დასცა, შენ მე მიყურეო, ნაზად დასჩურჩულებდა.
აყურადებდა მკვდარი მკვლელის დარტყმებს და
წამლერებას და აგრემც ვერ გაეგო, უნდა გახარებოდა
სამშობლო სიმკვდარეში დაბრუნება თუ სულაც სულერთი
უნდა ყოფილიყო სიმკვდარე-სიცოცხლე, მისთვის რომ
ერთიმეორეზე უფრო ამაოდ და სიცარიელედ დაწესებული.
მორჩილად კი კვდებოდა და.

რვაფეხა და გათენებათა ანგელოზი

– რატომ ესე გვიან გამოგვივიდა შეხვედრა, რატომ ესე ამოდ გვიტარებია ამოდენა სიცოცხლეები, – სინანულით ამბობდა ელიზაბელა და უპასუხებდა იმას თავისი მეინაარდი:

– რა სასწაულ იღბალზე მივაგენით ერთმანეთს, გინდაც რომ ეხლა, გინდაც რომ გამოვლილი ცხოვრების მერე. რომ სულ არასდროს არ გვეპოვნა, არ შევხვედროდით, რომ აღმა-დაღმა ყიალში აქეთ მოსვლას, ერთიც სხვაგან გადამეხვია და სამუდამოდ აგცდენოდი. რა წერამ მიბიძგა, რა სასწაულმა! რაღას დავეძებ გასულს და გალულს.

ნავსაბმელის ფიცარნაგზე ისხდნენ ხანდაზმული მიჯნურები გვერდიგვერდ, დასცქეროდნენ არემარეს, ქვიშა-ნაპირზე გამოთრეულ, აქა-იქ დაყუდებულ ნავებს.

– თავიდან რომ შეიძლებოდა, თავიდან და სულ ერთად, – ქალი თავისას ამბობდა და კაციც, იმ თავის ნათქვამში აკი გულწრფელიც იყო და თანაც იხტიბარს არ იტეხავდა: ეთანხმებოდა ქალისას და თანაც სჯეროდა ამ სასწაულის, რომ თუნდაც მხოლოდ ეხლა, თუნდაც როდისღაც, მაგრამ თავის ყოფაში მოესწრო ნამდვილთან შეყრას, სიმართლედ გამთელებას, გავსებას და ყოფის უცნაური, აქამდე მიუწვდომელი სინამდვილის გამოცნობას. აკი დაგროვილი ყოველი მარცხის და იმედგაცრუების მერე აღარც არაფერს მოელოდა და აქამდე მხოლოდ დღიური გასამრჯელოსთვის შრომაღა იყო ერთადერთი აზრი და მოღვაწეობა.

მხოლოდ სულ ბოლო ხანს გამოვიდა, რაკი თავის სამშობლოში შრომაც გაძნელდა და სადგომის ქირის

გასტუმრებაც, მაშინ გადანყვიტა და სასონარკვეთილმა ზღვისპირეთს მოაშურა – ნავსადგურში ნახოს საქმე და შრომა. ზღვისა ბარემ ყოველთვისაც ჰქონდა დილიხორი და ალტაცება, მაგრამ გადმოხვენას ადრე არა ფიქრობდა, სამშობლოში ეჭიდებოდა დღიურ ლუკმასა და გადარჩენას. ვიდრე ამ ბოლომდე, ვიდრე ყველაფრის გამოლევამდე და ხელის ჩაქნევამდე.

და ესე ალაღბებდზე მოსულმა მართლაც ნახა საქმე ნავსადგურში, მოძებნა სადგომი კუთხეც ღამისთევისთვის, და ნახა ელიზაბელა. და უცხო სიკარგე გამოიციხო იმაში, აკვირდა, აყურადა, თავის თავსა ჰკითხავდა და ვერ იჯერებდა. სულ გადაქეჯა მესხიერებაში, ყველასგან სხვა იყო ეს სიკარგე. პირნათლად გაუმხილა ყოველივე. და რაკი იმან ყური მოუგდო, კიდევ თანდათან დაჰყვა და მასაც საამისოდ აუძგერდა გული. და ერთმანეთში იამებდნენ მანამდელ სიცარიელეს და გაუსაძლისობას. ყოველი ერთად გათენება დღესასწაული იყო მათ თავს და ყოველ საღამოს შინ დაბრუნება კიდევ მეტი დღესასწაული.

გათენებისა ხარო ნამდვილი ანგელოზი, რაკი გამათენეო ეს დაღეული ყოფა, ეტყოდა ხოლმე მეინაარდ ელიზაბელას, და შენი ნათელი მგვრისო ყოველ ცისმარე ახალ გაცოცხლებას.

– მაინც ესე მეჩვენება თითქოს შორეული ბაღლობიდანვე გიცოდე, – ეტყოდა უქმე საათზე, ნაპირზე სეირნობისას – თითქოს ამ ზღვის ქალაქში მეც ერთ ქობმას სახლში ვიზრდებოდი, აქვე შორიახლოს, შენს მეზობლად. თითქოს სასწავლებლის მერე ზუსტად ამ სანაპიროზე მოვდიოდით და აბეზარი ამხანაგების მერე საამურ სიმშვიდეს და მხიარულ თამაშებსაც აქა ვპოულობდით ჩვენ ორი. გეგონება შენი მონაყოლიდან კი არა, ჩემი თვალით და

ყურით ვიცოდე შენი გამოვლილი წლების ყველა სიძნელე და ტკივილი.

და ქალი გამჭვირვალე, ზღვასავით სველი და ნათელი თვალებით შეჰხაროდა იმის ნათქვამებს.

– ყოველივე კეთილი და შესანიშნავი, ოღონდ ნეტავ რად არ ვიქნები მე რვაფეხა, – გულში იკრავდა მეინაარდ და ამას ეტყოდა – ზღვის ის დაჯღანული ბინადარი უამრავი ხელებით. აი რასაც მართლა ვისურვებდი! რადა და, ჩემი ორი ხელი მეცოტავება შენზე მოსახვევად, არა მყოფნის. აბა წარმოიდგინე, რვაფეხა რომ ვიყო ორი ფეხით ჩვეულებრივ, ორ ფეხზე ვიდგე და დანარჩენი ყველა ხელებით გულში გიკრავდე, მთლიანად გფარავდე იმ ჩახუტებით.

გაიცინებდნენ ამაზე. ათასნაირს იტყოდნენ, სატრფიალოს, სამიჯნუროს, საუდარდელოს.

– იცი რა მოვიფიქრე? – ესეც მეინაარდმა თქვა, იქ, მაშინ, ნავსაბმელ ფიცარნაგზე – ოღონდ კი არ გაგეცინოს, მართლა გეუბნევი. რა და, აბა ეხლა რალა იქნება და, მეორე ცხოვრებაში უნდა ვიყოთ სულ ერთად. სულ თავიდან.

თვალში უყურა ელიზაბელას, გეგონება-და აზრიანი სახით, არა ხუმრობდა.

– მეც მიფიქრია, – მზადყოფნით, იმედით პასუხობდა ქალიც, მოლოდინით თვალში უყურებდა ისიც – მეც როგორ მინდა! სულ თავიდან და სულ ერთად, ვიდრე აქამდე და ამის იქითაც. ოღონდ მართლა გჯერა განა? გვჯეროდეს გგონია?

– თუკი ოღონდაც ყოფის დანესებაში ბენჯი სიმართლე ურევია, მაშ უნდა იყოს, – დაბეჯითებით ამბობდა

მეინაარდი რომ სხვანაირად დაჯერება არა სურდა – როგორ ვფიქრობ და, როცა მოვკვდები მაშინვე მივიხედ-მოვიხედავ, მოვიკითხავ, გავარკვევ, რანაირადა ხდება მეორე ცხოვრებისთვის გამწესება, იქვე დარჩენა თუ ხელახლა აქეთ მოსვლა, რაც უნდა იყოს. სადა და როგორ დაგელოდო და რანაირად გავმიზნოთ ერთად და ახლოს მოხვედრა უთვალავთა შორის. მთავარია იქ შეცდომა არაფერი გამომივიდეს, რომ ღმერთმა არა ქნას, როგორღაც არ ავცდეთ ერთიმეორეს, ხელახლა უმიზნოდ არ ამოვიდე დედამინაზე.

უყურებდა ქალი ამის მთქმელს და არ იცოდა რა ეფიქრა. სახეზე კი იმედი გამოუჩნდა.

მართლაც სულ მალე მოკვდა მეინაარდ. ნავსადგურში უცხოური გემის გადმოტვირთვაზე ბაგირი გაწყდა, უზარმაზარი ტვირთი გადმოვარდა და ოთხი მუშა გაჭყლიტა. იმათგანი იყო ხანდაზმული მიჯნური მეინაარდიც. სწრაფად გაბრტყელდა, გაფართხალეზაც ვერ მოასწრო. მოკვდა.

და სრული დაბინდებიდან, ვიდრე ცნობიერება დაულაგდებოდა და რამეს მოიფიქრებდა, იმას მიხვდა რომ ბრბოს შერეული შევარდა რაღაც შემობლუდულ, ვინრო სივრცეში და ანგარიშმიუცემლად, ჩქარა იარა იმ ბრბოსთან ერთად იმ ვინრო სამყოფელში და წუთის მერე დაიწყო გარკვევა, გამოცნობა, მოფიქრება. ცდა მაინც. მაშინვე გაახსენდა რომ უნდა მიიხედ-მოიხედოს, გზები მოძებნოს. ყალბი, ყვითელი შუქით განათებულ ჯურღმულ გვირაბში ხედავდა თავის თავს უამრავ სხვა მკვდართან ერთად. მიიჩქაროდა იმათთან ერთად მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონაც მთლიანი ნაკადის ნაწილი იყო. გამოფხიზლებასთან ერთად თანდათან შენიშნა, რომ

თვითონაც და მისი ამხანაგი სხვა მკვდრებიც მთლად უხორცოდ გამჭვირვალენი ყოფილიყვნენ და ამიტომაც ერთმანეთში ისე გაივლიდნენ, არამც და არამც ერთმანეთს მხარს არ გაჰკრავდნენ და თავზე ფეხს არ დააბიჯებდნენ. და რაკი თვითონ საჭიროებათა გარკვევა მართებდა, მაშ უმჯობესად ჩათვალა დაეყოვნებინა და ყოველივე მშვიდად ეფიქრა ვიდრე ბრბოს გაყოლილი კიდევ სადმე ამოჰყოფდა თავს და რა იცი, იქნებ კიდევ გვიანი გამხდარიყო გზების გამორჩევა. ჩამორჩა მაშ, გადაატარა თავისნაირი მკვდრების დასტა.

თრგუნავს სივინროვე, გაქცევად უბიძგებს, მაგრამ არ მირბის, ნელა მიუყვება წრიული კვეთის, ყალბი სიყვითლით განათებულ დერეფანს. მოპირკეთებულია დერეფანი ისეთივე ყვითელი ფილებით, იყოფა, იკვეთება, მრავლდება იმისი გასასვლელები. გზათა მაჩვენებელი დაფებიც არის მოსახვევებთან, ზედ დახატული საჩვენებელი თითებით და განმარტების წარწერებით. მაგრამ უცხო ენაზე წერია, ვერაფერს გაიგებ. იქით ნახა, აქეთ ნახა და რაკი გვირაბის განაყოფებიდან გზა ვერაფრით აირჩია, ისევ უკან დაბრუნება სცადა. და ბოლოს, ერთგან, კარგა ფართო, გრძელ დერეფანში მიიყვანა სავალმა. იქ კი, არც მეტი, არც ნაკლები, ლიანდაგი დაუხვდა დაგებული. ლიანდაგის გასწვრივ, ზედ ბაქანზე, აქა-იქ მკვდრები დაინახა, თითქოს ღამისთევად წამოწოლილი, დაბანაკებული, ან იქნებ სამუდამო სუფევად დაფუძნებული. გაეხარდა მეინაარდს, იმათთან იკითხავს რა და როგორ. მივიდა, უყურა, დააკვირდა მოურიდებლად.

– ძმობილო, – პირველივეს უთხრა – შენს გახარებას, აქედან მეორე ცხოვრების დამიზნება როგორა ხდება?

დახლი სად უდგათ, სადა სხედან გამწესებლები?
გეცოდინება რამე, რაკი აქაური ხარ.

რატომღაც არ მოეწონა იმას ეს საუბარი, დაიჭლანა,
ადვილზე მოძრაობა დაიწყო, თითქოს საჭიდაოდ
ემზადებო, თვალი თვალში გაუყარა მუქარად,
ბოროტებად და მეინარდმა დაინახა როგორ სიბნელედ
აემღვრა იმას შეფერილობა. გეგონება იმისი
მოწყობილობის შიგნით შავი ბოლი ავარდაო. ამყრალდა,
აიჭრა, დაიძაბა. რამდენიმე წამს თავს იკავებდა და ბოლოს
აღმოხდა მყრალი გინება აქეთ.

მეინარდმა ყურადღებით და ადვილად უყურა იმის
აყროლებას. ზუსტად ვერა ხვდებოდა რა, მაგრამ თითქოს
უხაროდა კიდევ. თვითონვე უხორცოდ დარჩენილს შიში
არც გახსენებია იმისი მრისხანებისა. თვითონაც თვალში
უყრიდა მზერას და თვითონაც საამური ბრაზი ეუფლებოდა
გამოვლილი ყოფის გზაზე ნანახი ყოველი უწმინდური
სულის გამო. ამანაც მყრალად შეაგინა, წრფელად,
ალაღად. და ველარ დაიტია უწმინდურმა, აღმოხდა
ყვილი, ეძგერა, ეკვეთა. კრიჭა კბილები, იქნია მუშტები,
წიხლები, რაცა ჰქონდა, და იქნია სულ ამოდ:
გამჭვირვალე სულზე ზიანი ვერ მოჰქონდა იმის
გამჭვირვალე მუშტებს და ამის გამო ბრაზი კიდევ
ემატებოდა.

გაიცინა მეინარდმა, ბოროტი გაცინებით დასცინა უკვე
მთლად მასშივე შესულ უწმინდურ, ამო მებრძოლს. განა
უწმინდურმაც არ იცოდა ვერას გახდებოდა, მაგრამ იმის
მყრალ ბუნებას სხვანაირად არ შეეძლო. უკიდურესად
ამწარებდა თავისი მრისხანების სრული ამოება,
დორბლები სდიოდა, ჰყიოდა საზარლად და იბრძოდა
მიუწვდომელ სამსხვერპლოში შებიჯებული. სანახაობა

იქმნა მართლაც წარმტაცი და გასაოცარი:

ერთიერთმანეთში ჩამდგარი ორი სულის ბრძოლა.

მეინაარდ უმოწყალოდ განაგრძობდა იმის დაცინვას, იმისნაირებისთვის თავის მიუწვდომლობას ზეიმობდა და გაცლას არცა ფიქრობდა. და გარდაუვალი მარცხისთვის განწირული უფრო და უფრო საზარლად ყიოდა უწმინდური და ფართხალებდა. კაი ხანს ასე, ვიდრე თანდათან არ გამოილია, არ შენეღდა და ძირს დამხობილი ღმუილზე არ გადავიდა. მეინაარდსაც მოუნდა დამხობილისთვის ყბაში წიხლის ამორტყმა, მაგრამ წიხლისაც ამაოება იცოდა და აღარ გაისარჯა, აღარც შეუგინებია. გამოაბიჯა უწმინდურის უსუსურობად დამხობილი, უსახური მოხაზულობიდან და მიიხედ-მოიხედა – სხვებსაც დააკვირდეს, სულეებს, იქნებ-და ვინმემ რამე მიასწავლოს.

ამას უყურებდნენ თურმე ახლო-მახლო მოცლილი სულეები.

– ნუ შეგეშინდება უწმინდური სულის, ახალმოსულო ცოდვილო, – ერთმა უთხრა გასამხნევებლად, ჭალარაბალნიანი, გვამისფერმა – ვერაფერს მოგჭამენ ეგა და მაგისნაირები. აქ ეგენი ვერავის ვერაფერს სჭამენ.

– მე განა მაგათი დარდი მაქვს ძმობილო.

– ნუთუ დაეძებ რამეს? ან იქნებ ვინმეს? – ჰკითხავდა ისევ ჭალარაბალნიანი.

– რა და, გზა უნდა ვიპოვო. მეორე ცხოვრებაში უსათუოდ უნდა დავემთხვიო ჩემს ელიზაბელას. მე კი აქ ვერა გამიგია, საით ვიარო, სად დაველოდო.

– მკვდრეთის გამგე უნდა ნახო ვინმე, იმას უნდა უთხრა, მარტო იმათ იციან გამწესებათა საიდუმლო.

– სადა ვნახო ეგეთი?

– გამოივლიან ხოლმე ზოგჯერ, დაგვხედავენ მეთვალყურეებად. ადვილად მიხვდები, გამოსაცნობად აცვიათ.

– აქვე დაველოდო განა?

– ანდაც წამო, ვიაროთ, მოვძებნოთ. იმათი ნახვა ძნელი არ არის, მაგრამ იმათი წყალობისა კი დიდი მოლოდინიც არა გქონდეს. მაინცა სცადე, აუხსენი.

– უსათუოდ უნდა მოვახერხო. მე სხვა გზა არა მაქვს.

– ცოდვილ სულს ბევრს არ გკითხავენ და მოგისმენენ მკვდრეთის გამგეები. მაგრამ აი თუ ვინმე მართალი სული დაგემოწმება და იშუამდგომლებს შენთვის, მაშინ შეიძლება გამოვიდეს, ვინ იცის.

მართალი სული? მართალი სული ხომ ელიზაბელაა! იმაზე მეტი მართალი ვინ უნდა იყოს? ისიც ხომ თავისას იტყვის რაკი ჰკითხავენ, ისიც ხომ იმავეს ისურვებს, მეორე ცხოვრებაში ერთად მოვიდნენ!

– მაშ ვნახოთ გამგე. წამო, წავიდეთ.

ამ დროს გვირაბიდან ხმაური მოისმა, მატარებელი მოდიოდა. დადგა და ცნობისმოყვარეობით უყურა მეინაარდმა, იმას დაელოდა, რას მოიტანდა, ვის მოიყვანდა. და გამოცვივდნენ იქიდანაც ახალი მკვდრები, ბლომად. და აჩქარებით იარეს ბაქნიდან, ჯოგად, ბრბოდ, აქა-იქ დამაგრებული, გამოუცნობი მაჩვენებლების კვალად.

– ნეტავ სად მიდიან, საით მიიჩქარიან ესოდენ მონადინებით?

– გამწესებაში. მეორე ცხოვრებაში.

– მაგრამ თვითონ რა იციან. მე რომ იმათსავით გამოვედი, არც არაფერი ვიცოდდი და არც რამე მახსოვდა.

– არც მაგათ იციან. არც არავინ ჰკითხავს ცოდვილ სულებს. მისდევენ გზათა ჩვენებას, იქ კი დაუკითხავად შესტენიან ახალ სხეულებში, ახალი ამაოების საცოცხლებლად.

– შენ კი რანაირად ხარ რომ აქ ჩარჩენილხარ, მეორე წრეზე რომ არ წასულხარ. გინდაც სხვები, აქ დაყუდებულები.

– აკი შენსავით, გზაზე ჩამოვრჩი, განვუდექი იმათ გადარბენას. ხორციელება გვეზარება. ისევ თავიდან შიში და ტკივილი გვეზარება ყოფის. ამიტომაც აქა ვდგევართ უშფოთველად, უზრუნველად, უარაფროდ, სიცარიელედ. გადასარბენებში დავიბანაკებთ რამდენსაც გავძლებთ. ბოლოს კი მაინც მონატრება იცის მზის შუქმა, ყოფის ხმაურმა და მოძრაობამ. იქაურმა აღტაცებებმა. დიდი ხანია აქა ვარ და მეც უკვე გული მიმიწევს. მეც ადრე თუ გვიან იქით ვივლი, ალალ ბედზე ახალ ყოფაში შევეტენები... მაგრამ აგერ გამგეც, – უცებ თქვა ჭაღარაბალნიანმა და მეინაარდს დაანახვა ვინმე არსება, საჯდომზე ხელებდაკრეფილი რომ დააბიჯებდა დერეფანში. გამგეს გამოსაცნობად ეცვა მართლაც, ლურჯი ფერისა, წითელი ბოლით და შიგნი ნაცრისფერი საყელოთი.

– თქვენა და, პატივცემულოთ! – მეინაარდმა ჰკადრა.

– განვედ ცოდვილო სულო, – გულგრილად მიუგო იმან და სვლა განაგრძო.

– როგორ იქნება! არაფრის დიდებით არ იქნება! მე სიმართლე მერგება. აკი მართალი სული დამემოწმება!

გამგე გაჩერდა, ეჭვით უყურა ცოდვილს.

– თქვენ რომ გისმინოთ კაცმა, ყველას თითო მართალი სული გყავთ მოწმედ და ქომაგად. ვინ მართალზე ამბობ, რად არ დამეხსნები?

– აკი ელიზაბელაზე, ზღვისპირა ქალაქის ბინადარზე, – მეინაარდს სჯეროდა რასაც ამბობდა – მაგაზე მეტი მართალი აკი არც არსებობს!

ერთ წამს უყურა მკვდრეთის გამგემ. ბარემ ეზარებოდა, მაგრამ ესე იოლად უარსაც ვერ ეტყოდა.

– დავთრებში უნდა ვნახო. წამო.

არ გაჰყოლია მეინაარდს ჭალარაბალნიანი მკვდარი. იქვე დაემშვიდობა და თვალითლა გააცილა. დიდხანს უყურა კვალში. იმათ კი იარეს და მკვდრეთის გამგემ რალაც კანტორაში მიიყვანა მეინაარდ. საქალაქდიდან ფურცელი ნახა, იმაში ჩაიხედა, ისა ყოფილიყო მართალი სულების ნუსხა, ვინც ჯერაც ცოცხლეთში დარჩენილიყო. მხოლოდ ერთი გვერდი სახელებისა მთლიან ცოცხლეთზე, მაშინ როცა იქიდან ცოდვილი სულების ზიდვას მკვდრეთის მატარებლები ძლივს აუდიან! მაშ ჩაიხედა გამგემ და ადვილად იპოვა ელიზაბელა იმ სიაში.

– გაგიმართლა ძმობილო. მაშ დაელოდე, ვიდრე ისიც ამოკვდება. მაშინ გამოჩნდება, მართლა დაგემონმოს თუ არა.

გაეხარდა მეინაარდს:

– სულ ეგრე ვიზამ გამგევ. როგორც დამარიგებ, სულ ეგრე.

მიასწავლა იმან სად, რომელ დერეფანში დაბანაკდეს და დაელოდოს ძვირფასი ელიზაბელას ამოკვდომას. მაშინ გამოიძახებენ ამასაც და გამწესებაში გადასცემენ. გამგემ თვითონაც ჩაინიშნა მეინაარდის სახელწოდება, რაობა,

ვინაობა, რაც იყო. დადგა მეინაარდ და დაეყუდა.
დაელოდება რამდენიც საჭირო იყოს. ვერაფრით
ახალისებს ვინრო ჯურღმულის სუფევა, მაგრამ რას
დაეძებს, რაკი რწმენა და იმედი მოსცემია ელიზაბელას
ხილვის.

და განა კიდევ დიდხანს დარჩებოდა ცოცხლეთში
ელიზაბელა მარტოდ დარჩენილი? რაკი მეინაარდის
დალუპვის ამბავი გაიგო, უცებ დაუბნელდა და ჩაუქრა ყოფა.
გამოელა მოლოდინი ერთად მომავლისა, გამოელა
დარჩენილი წლების ხედვით სიხარული და იმედოვნება.
აღარაფერი იყო იმისთვის ცოცხლად დარჩენის საბაბი.
ილეოდა და კვდებოდა დღითიდღე, ვიდრე ბოლომდე არ
ამოკვდა და ამოიღია.

და იმის მერე გამოვიდა რომ ზღვის ქალაქის ახლოს,
ფართო ყურეში, ყოველ მზიან დილით, ფრთიანი ანგელოზი
ჩამოდის ხმელეთზე, ტურფა ასული, ღარიბული, სადა
სამოსით. დიდ ლოდზე დადგება და ზღვას დაჰყურებს
ზუსტად თავის წინ, სად უსათუოდ მოცურდება და
გაუჩერდება ზღვის ერთი რვაფეხა ბინადარი. სინანულით,
სიყვარულით, ალერსით დაჰყურებს იმას ასული, კიდევ
რალაცას ეტყვის ხოლმე ადამიანურის ენით, თბილს,
ტკბილს, საამურს. მაგრამ ნათქვამისა არაფერი ეყურება
საბრალო არსებას. სულაც არაფერი გაეგება იმ თავის
ბრიყვულ, რვაფეხა გონიერებაში. ვერ გაუგია, რად
მოუხარია ესე ძლიერ ანგელოზის ნახვა, რატომ მოელის
მოუთმენლად ყოველ მზიან გათენებას. მარტო იმასა
ხვდება რომ ერთი შვება, ერთი ამხანაგი, ერთი სამშობლო
მისთვის აქ არის, იმ უცხო, სხვანაირ არსებასთან და ესეც
ყოველ გათენებაზე აქეთ მოაშურებს.

აბა რას გამოუცნობ მკვდრეთის და ცოცხლეთის გამგეთ განგებას, რომ მართალი სული ელიზაბელა გათენებათა ანგელოზად მოუვლენიათ საკუთარ სამშობლოში და მისი ცოდვილი, გულითადი მეინაარდი თუმცა კი მისივე დამონებით მის სიახლოვეს, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ზღვის უსახურ მხეცად დაუნესებიათ.

და ესე გრძელდება. და ესე გაგრძელდება მანამ, ვიდრე ერთხელაც თევზსაჭერ ბადეში არ გაიხლართოს მეინაარდ, ვიდრე მოხერხებულმა მზარეულმაც ოსტატური გაკვრა-გამოკვრით ჩინურ ხინკლებში არ ჩასტენოს იმისი ხორცის დაკეპილი ნაფლეთები. და ამით ერთხელ და სამუდამოდ არ ასცდეს ცოდვილი სული მეინაარდ თავის მართალ ელიზაბელას.



ጠቅላይ

ნენე გიორგაძე

შესავალი



„ორბიტა“
ლატვიან
მცხობრე
ნი
რუსულენ
ოვანი
ნი
პოეტებისა
და

არტისტებისგან შემდგარი მულტიმედიური ჯგუფია, რომელიც 1999 წელს შეიქმნა. დღეისათვის მის ბირთვს შეადგენენ: სერგეი ტიმოფეევი, არტურ პუნტე, ვლადიმირ სვეტლოვი და სემიონ ხანინი. „ორბიტას“ პროექტებში პოეტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ფოტოგრაფები, მუსიკოსები, ვიდეო-არტისტები. განსხვავებული მედიუმები – პერფორმანსი, ფოტო, საუნდტრეკი, ვიდეო – ფონის როლს კი არ ასრულებს, არამედ თანაბარუფლებიანი მონაწილეა. ამგვარი კომბინაციით „ორბიტას“ ტექსტები სხვა ჭრილით იხსნება და ახალი შრეები ემატება. საუნდტრეკში, მაგალითად, შეიძლება მოიაზრობოდეს ოცამდე რადიომიმღებიდან შემოსული ხმები მოკლე თუ გრძელ ტალღებზე. ვიზუალური ელემენტი შესაძლებელია იყოს ტექსტის გრაფიკად ქცევა, როცა თითოეული სტრიქონი ჩარჩოშია ჩასმული და

კედელზე არა ერთმანეთის ქვეშ, არამედ პარალელურად არის განთავსებული. „ეს გამოფენა, სახელწოდებით „მოდრაჟი პეიზაჟები“, არის მცდელობა ტექსტის სხვაგვარად წაკითხვისა, მასთან კონტაქტის სხვა ფორმაა“, – ამბობს სერგეი ტიმოფეევი. „ჩვენ შევეჩვიეთ ლექსის აღქმას, როგორც სტრიქონებისაგან შექმნილ ვერტიკალურ კონსტრუქციას. რა მოხდება, თუკი წარმოვიდგენთ მას, როგორც გრაფიკულ ხაზს, ცალკეული სტრიქონებისაგან შემდგარ ლინეარულ კომპოზიციას, სადაც თითოეულს თავისი ვიზუალური ხასიათი ექნება“.




პერფორმანსი: „რა ხდება, როცა არაფერი ხდება“

რიგაში, თანამედროვე არტ-ცენტრის, NOAS-ის სცენაზე ეკრანი ოთხ ნაწილადაა გაყოფილი, რომელზეც ლაივში გადმოიცემა ოთხ სხვადასხვა

წერტილში დამონტაჟებულ სათვალთვალ ვიდეოკამერაზე აღბეჭდილი. ოთხი პროექტი სცენის შუაგულიდან მონაცვლეობით აკეთებს კომენტარს ეკრანზე ასახულ სტატიკურ თუ დინამიკურ კადრებზე. კომენტარების შუალედებში ისინი კითხულობენ თავიანთ ტექსტებს, დროდადრო ისმის მუსიკა, შიშინებენ რადიოტალღები. ეს ყველაფერი იმდენად გაჟღენთილია იმპროვიზაციით, რომ თავი ცნობილი ჯაზ-კვარტეტის კონცერტზე გგონია, სადაც მუსიკოსები ერთმანეთთან სხვადასხვა ინსტრუმენტის ენაზე ბაასობენ, სადაც თითოეული მუსიკალური წინადადების დასასრული შემდეგი წინადადების დასაწყისი და ინსპირაციაა. ეს ლაივის დაუვინწყარი შეგრძნებაა, როცა ენერგეტიკა უშუალოდ გადმოგეცემა ყოველგვარი მედიუმის გარეშე.



FM Slow Show



FM
Slow
Show
„ორ
ბიტა
ს“
ერთ
-
ერთ

ი პოპულარული პერფორმანსია. ჩემთან ინტერვიუში მასზე საინტერესოდ ისაუბრა სერგეი ტიმოფეევმა. მე კი გადავწყვიტე, პერფორმანსის შესახებ ჩემი ლექსი შემოგთავაზოთ.

ანგელოზების ჩრდილები

რიგის სახელოვნებო წრეებში კარგად იცნობენ 4 არტისტისაგან შემდგარ პოეტურ ჯგუფს კოსმიური სახელით „ორბიტა“. მათ ეკუთვნით პოეტური პერფორმანსი FM Slow Show:

ოციოდე ძველებური რადიო გრძელი ანტენების დახმარებით სხვადასხვა რადიოტალღებზე იჭერს ხმებს, () სიტყვებს, () ხმაურს, () შიშინს (). ამ რადიოტალღების ფონზე „ორბიტას“ წევრები რიგრიგობით კითხულობენ თავიანთ ტექსტებს.

FM Slow Show-ს უჩვენებენ ფესტივალებზე სხვადასხვა ქვეყნებში. 4 პოეტი აეროპორტიდან აეროპორტში მიემგზავრება ძველებური რადიოებით გამოტენილი ჩემოდნებით. დაცვის პოლიცია იბნევა მათი სკანირებისას. თითქოს არცერთი არ ჰგავს ტერორისტს, არც ინტერნეტის

უსასრულო ლაბირინთებში დაბორიალობენ მათი აჩრდილები.

„რაში გჭირდებათ?“ – ეკითხებიან მათ საემიგრაციო ოფიცრები. პასპორტების ტრიალის ფონზე „ორბიტელები“ პასუხობენ.

ეს მათი ყველაზე მაგარი პერფორმანსია, მაგრამ ფორმიანმა ადამიანებმა არ იციან ამის შესახებ.

ფრთაგაშლილი რადიოტალღები კი დაუბრკოლებლად კვეთენ სასაზღვრო ზოლს თავიანთი რადიოანტენებისკენ და „ორბიტას“ ხმებს შეერევიან, როგორც ჩრდილებს ანგელოზების



პოეზიის ენერგეტიკული დამოუკიდებლობა

„ორბიტას“ ეკუთვნის პროექტი „პოეზიის ენერგეტიკული დამოუკიდებლობა“, რომელიც პირველად წარადგინეს 2009 წელს რიგაში თანამედროვე

კულტურის ფორუმზე “თეთრი ღამეები“. „გადავწყვიტეთ, რომ მაყურებელი მომხმარებელი კი არ ყოფილიყო, არამედ – კოლეგა.“ ასე შეიქმნა სერგეი ტიმოფეევისა და არტურ პუნტეს პროექტი, რომელიც აგრძელებს „ორბიტას“ მულტიმედიურ ექსპერიმენტებს სიტყვასთან.

4 ხელნაკეთი ველოტრენაჟორი აღჭურვილია ელექტრონული დენის გენერატორებით, რომლებიც ენერგიას გადასცემენ ოთხ დიაპროექტორსა და ოთხ კასეტის პლეიერს. მაყურებელი, რომელიც ველოტრენაჟორის პედლებს ატრიალებს, პროექტის

თანამონაწილე ხდება – კონკრეტულად მის ფიზიკურ ძალისხმევაზე და მოკიდებული, ძაბვის რამდენად ძლიერი სიგნალი გადაეცემა დიაპროექტორს, რომელიც კედელზე აღბეჭდავს სლაიდებს ამგვარი პოეტური ტექსტებით:

„როცა შენი სიტყვები აღარ გადაფარავს გარემომცველ ხმაურს... როცა კონკურენტი ფირმის მენეჯერები ერთად მიდიან ბარში... როცა ტელევიზორები ამოცურდებიან ყველა ფანჯარაში როგორც აკვარიუმები ახალი ამბებითა და სერიალებით... როცა სამზარეულოში ანთია გაზი და გაზზე დგას მილიონი ჩაიდანია... როცა ხვდები, რომ დღეს ისეთი ამინდია, ნებისმიერ კონცერტს რომ აჯობებს და უბრალოდ, ვიღაცას აძლევ შენს ბილეთს... როცა სუპერმარკეტის სალაროსკენ მივბიან ალკოჰოლის უკანასკნელი მყიდველები და მათ ურიგოდ უშვებენ... როცა იმის გამო, რომ დღე აუცილებლად უნდა დასრულდეს, ბავშვებში პატარა და სასონარკვეთილი ამბოხი იფეთქებს ხოლმე... როცა ბიძია აივარი განზე დებს გაზეთს და სათვალეს იხსნის... როცა მხცოვანი ქალბატონი ამ წელიწადს ბრუნდება პირველი ლექციით, რომელზეც უკვე მერამდენედ იმეორებს: „ფსიქოლოგია არის...“, – თუმცა მრავალი წელია, რაც სხვაგვარად ფიქრობს...“ და ა.შ.

ამ დროს პატარა დინამიკებიდან ისმის ხმები რუსულად და ლატვიურად: „Начинается ночь... Sakas nakts...“.

ინსტალაცია „საიდან მოდიან ლექსები“

რა არის ეს – მექანიკური კონსტრუქციების თუ შთაგონების თავისებური ჯაჭვი, განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელშიც შეგიძლია შეხვიდე და შემდეგ დატოვო იგი? „ორბიტას“ წევრები შეეცადნენ განსხვავებული პასუხები გაეცათ ამ ტრივიალურ კითხვაზე, რომელსაც ხშირად



უსვამენ პოეტებს, და რიგის არტ-ცენტრში NOASS დამთვალიერებლებს შესთავაზეს თავიანთი ინსტალაციები ოთხ სხვადასხვა ოთახში.

ინსტალაციის ვიდეო

შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://vimeo.com/278500826>




Pixel Mirror

Pixel Mirror “ორბიტას” ონლაინ-ინსტალაციაა, რომელიც აირეკლავს ნებისმიერი ქალაქისთვის მნიშვნელოვან, მაგრამ უხილავ პულსს – ინფორმაციის ნაკადს, რომელიც ინტერნეტის

საშუალებით გადაიცემა. პროექტში ჩართულ მომხმარებელთა მონაცემები ტრანსფორმირდება დინამიურ აბსტრაქტულ ვიდეოში, რომელიც წარმოადგენს უზარმაზარ პანელს ქაოსურად მოძრავი ფერადი პიქსელებით, და რომლის ფერთა გამა იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რომელ ვებ-გვერდებს ხსნიან ინტერნეტ-მომხმარებლები იმ მომენტში. ამ ვებ-გვერდების ფოტოები ანალიზდება ფერთა კოდის მიხედვით. პროექცია ნაჩვენები იყო უზარმაზარ LED-ეკრანებზე, და ესპანეთის დედაქალაქის ცენტრში ორი კილომეტრის რადიუსში უზრუნველყოფილი იყო უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა. მადრიდში ინსტალაციისათვის გამოყენებული იყო ტელეკომუნიკაციური გიგანტის Telefonica-ს შენობაზე დამონტაჟებული ვებ-კამერები.

ადამიანთა ნაკადი, რომელმაც ღონისძიების დროს შენობა გადაკვეთა, კამერების საშუალებით რეალურ დროში გარდაიქმნებოდა დინამიურ ფერთა გამაში.



გამომცემლობა

„ორბიტა“ საგამომცემლო საქმიანობითაც არის დაკავებული და იმდენად, რამდენადაც სხვა ენასა და კულტურაში თანაცხოვრობს, გამოცემული წიგნების დიდი ნაწლი ბილინგვაა, უმეტესად

რუსულ და ლატვიურ ენაზე.

გამომცემლობა „ორბიტამ“ 2008 წელს გამოსცა 500 გვერდიანი „ლატვიის თანამედროვე რუსული პოეზიის ანთოლოგია“, სადაც 17 რუსულენოვანი ლატვიელი პოეტის ლექსებია თავმოყრილი. თითოეული პოეტი წარმოდგენილია დაახლოებით ათი ლექსით. შემდგენელი რედაქტორები არიან ალექსანდრე ზაპოლი (იგივე სემიონ ხანინი) და არტურ ჰუნტე. შესავალი წერილი ეკუთვნის სერგეი ტიმოფეევს. ანთოლოგიაში წარმოდგენილია ავტორების შესახებ ლიტერატურის ვრცელი სია, ბიოგრაფიული მონაცემები და საარქივო ფოტომასალა. წიგნში გამოყენებულია სამი ენა: რუსული, ლატვიური და ინგლისური. პოეტური თარგმანი ისეა გაფორმებული, რომ ტექსტი ერთი ენიდან მეორეში გადასვლისას ახალ გრაფიკულ განზომილებას იძენს. ანთოლოგიის დიზაინი წარმოდგენილია, როგორც თავისებური პირადი არქივი-მისტიფიკაცია ფსევდოდოკუმენტური არტეფაქტებით – აქ შეხვდებით ხელით შევსებულ საბჭოთა ბლანკებს, სასკოლო რვეულებზე მინაწერ ლექსებს, ელექტრონული

წერილების ამონაბეჭდებს, საბეჭდი მანქანით დაწერილ ტექსტებს, რომლებიც ტრაფარეტად იქცევა სახლის კედლებზე... გამოცემის მხატვრული რედაქტორია ილვა კლავინია.



„ორბიტა“
უშვებს
ს
ყოველწლიურ
ლიტერატურ

რულ ჟურნალს «TALKA». რედაქტორების პოზიციაა, რომ ფურცელზე დაბეჭდილი მასალა უნდა იყოს ღირებული და რაც შეიძლება დიდხანს გაუძლოს დროს. ამიტომ ჟურნალში ისეთი ტექსტებია თავმოყრილი, რომელთაც არ გააჩნიათ ნიუსის ფუნქცია. მასში ნახავთ ფოტოებს, ინტერვიუს, მოკლე პიესას, სცენარს, ნაწყვეტს რომანიდან და, რა თქმა უნდა, პოეზიას.

„ორბიტას“ გამოცემებს შორისაა აგრეთვე ამავე სახელწოდების პოეტური ალმანახი, სადაც ორიგინალურ ტექსტებთან ერთად თავმოყრილია თარგმანები ლატვიური, ლიტვური, ესტონური და უკრაინული ენებიდან. ალმანახის ვიზუალური ნაწილი ეთმობა სხვადასხვა ტექნიკით შესრულებულ თანამედროვე გრაფიკას. ალმანახებში „ორბიტა“ ინარჩუნებს რაფინირებულ სტილს, რომელიც დამახასიათებელია 2000 წლიდან სხვადასხვა ფორმატში გამოცემული ყველა ალმანახისათვის. CD და DVD ფორმატის გამოცემები (მაგ. „ორბიტა 4“, რომელმაც ლიტერატურის დარგში წლის პრიზი მიიღო)



გაფორმებულია მუსიკალურა

დაც. „ორბიტა 3“-ს ორიგინალური მხატვრული გადანწყვეტა აქვს, იგი „გაჭრილია“ ორ ნაწილად. ზედა ნაწილი ვიზუალურია, ქვედაში კი თავმოყრილია ტექსტები.

ორივე ეს ნაწილი შეიძლება ცალ-ცალკე ფურცლო და დაახლოებით 3000 კომბინაციიდან შენი გემოვნების მიხედვით აარჩიო ტექსტის „ილუსტრაცია“.



„ორბიტა“ არაერთ პროექტს კური

რებს. მათ შორისაა „პოეზიის ელჩები“, რომლითაც აგრძელებს კულტურულ დიალოგს ლატვიასა და რუსეთს შორის. პროექტის ფარგლებში რიგაში მიწვეულები იყვნენ ისეთი პოეტები, როგორც არიან ლევ რუბინშტეინი, ელენა ფანაილოვა, ანდრეი სენ-სენკოვი, ლინორ გორალიკი, კირილ კორჩაგინი და სხვები.

მოციმციმე შთაგონება (ნენე გიორგაძის ინტერვიუ სერგეი ტიმოფეევთან)



დაიბადა 1970 წელს, რიგაში. ავტორია 7 პოეტური კრებულისა. მონაწილეობდა პოეტურ ფესტივალებში დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, შვედეთში, უკრაინაში, გერმანიაში და სხვაგან. მისი ტექსტები თარგმნილია ინგლისურად, ჰოლანდიურად, მაკედონიურად, უკრაინულად, შვედურად, გერმანულად, ქართულად, სლოვენურად. ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო

პოსტსაბჭოთა სივრცეში, ვინც პოეტური ვიდეოს ჟანრი დაამუშავა. მონაწილეობს მულტიმედიურ პოეტურ ექსპერიმენტებში, პოეტურ ინსტალაციებში, თანამედროვე ხელოვნების გამოფენებში, მათ შორის „დროის ოთახი“ (2008) და „პოეზიის ენერგეტიკული დამოუკიდებლობა“ (2009) და სხვა.

2003 წელს შევიდა ანდრეი ბელის პრემიის შორტ-ლისტში, 2005 წელს მიიღო ლატვიის „წლის პოეტური პრიზი“, 2014 იყო ნომინირებული პურვიტისის პრიზზე, რომელიც ლატვიის ვიზუალური ხელოვნების მთავარ პრემიას წარმოადგენს. სერგეი კურირებს პროგრამას „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ ლატვიის ყოველწლიური „პოეზიის დღეების“ ფესტივალის ფარგლებში, სადაც რამდენიმე ქართველი პოეტიც იყო მიწვეული.

პოეტური პერფორმანსი ბერლინში:

<https://www.youtube.com/watch?v=8JazcAYF-0M>

ნენე გიორგაძე: დავინწყებ ტრადიციული შეკითხვით, ქართველ მკითხველს რომ ინფორმაცია მივაწოდო: როგორ დაიბადა „ორბიტას“ შექმნის იდეა და როგორი ტრანსფორმაცია გაიარა მან?

სერგეი ტიმოფეევი: 80-იანების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში რიგაში ძლიერი ანდერგრაუნდის სკოლა იყო, გამოდიოდა ჟურნალი „როდნიკ“ («Родник», მას ორი დამოუკიდებელი ვერსია ჰქონდა; ლატვიური და რუსული), სადაც ქალაქდზე პირველად იბეჭდებოდა როგორც რიგის, მოსკოვის და ლენინგრადის აქტუალურ პოეტთა ლექსები, ასევე ცენზურის მიერ აკრძალული კლასიკა, რომელსაც რუსეთში ჯერ არ ბეჭდავდნენ. მაგალითად, ნაბოკოვის „მოწვევა დასასჯელად“ („Приглашение на казнь“). „როდნიკის“ ტირაჟი ძირითადად ლატვიის გარეთ გადიოდა და მისი საშუალებით რუსულენოვანმა პუბლიკამ ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიის მასშტაბით, რიგიდან ახალი ავტორები გაიცნო. ჩემი პირველი პუბლიკაციაც აქ შედგა. მაგრამ სსრკ მალე დაიშალა და „როდნიკიც“ ხელმომწერების გარეშე დარჩა დამოუკიდებელი ლატვიის საზღვრებს გარეთ. რიგაში კონცენტრირდა ნაციონალური კულტურული იერარქია და რაღაც დროით რუსულენოვანი ავტორები მისი ყურადღების მიღმა დარჩნენ. იმ დროისათვის მე დავინტერესდი თანამედროვე მუსიკით, ვიყავი დიჯეი პროექტში „Casablanca 2000“, ვურთიერთობდი ახალი მედიის ცენტრ RIXC-ის ბიჭებთან, რომლებიც ინტერნეტ-ტრანსლაციებს უკეთებდნენ ორგანიზებას და მეც მეპატიჟებოდნენ, მათი იმპროვიზაციული მუსიკის თანხლებით ჩემი ტექსტები რომ წამეკითხა. მაგრამ მქონდა შეგრძნება, რომ ის სიცარიელე, რომელიც

„როდნიკის“ შემდეგ დარჩა, რაღაცით უნდა ამოვსებულიყო.

იმ დროს ბევრს სურდა შეექმნა დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟურნალი, მაგრამ ეს ვერ ხერხდებოდა. მაშინ შევიკრიბეთ ერთი თაობის 5 რუსულენოვანი პოეტისაგან შემდგარი კომპანია (რომელსაც მოგვიანებით შემოუერთდა დიზაინერი ვლადიმერ ლეიბგამი). ჩვენ იმთავითვე ვიცოდით, რომ გვინდოდა არა მხოლოდ საკუთარი ტექსტების ბეჭდვა და არა მხოლოდ ლექსების. ასე შეიქმნა ჩვენი პირველი ალმანახი „ორბიტა 1“, რომელშიც წარმოდგენილი იყო მოკლე პროზის, პოეტური ტექსტების, აქტუალურ კულტურაზე ესეების და შავ-თეთრი ფოტოების მიქსი. ჩვენ საკუთარ ტექსტებს აღვიქვამდით იმ კულტურის კონტექტში, სადაც ერთმანეთს ერწყმოდა ვიდეო, ელექტრონული მუსიკა, ინტერნეტი, *spokenword*, და ამ ყველაფრის რეალიზაცია ხდებოდა უკვე არსებული კულტურული ინსტიტუციების მიღმა *do it yourself* სულისკვეთებით. ჩვენ გვინდოდა ამ პროცესში შეგვეტანა ხარისხიანი ლიტერატურა, საინტერესო და აქტუალური ფორმის მქონე ტექსტები „აქ და ახლა“-ს შესახებ. ასე დავიწყეთ ალმანახ „ორბიტას“ გამოცემა და ჩვენს პირველ გამოსვლებს ალმანახის რეკლამად აღვიქვამდით. აღმოჩნდა, რომ პოეტური კითხვაც სხვაგვარად შეიძლება წარიმართოს, ვიდრე მიღებული იყო – დეპრესიის, ვაგონი არყისა და იმედგაცრუების გარეშე. ჩვენ ვთანამშრომლობდით მუსიკოსებთან, დიჯეებთან, გამოვდიოდით იმ მომენტისათვის ყველაზე აქტუალურ კლუბებში და ვპოულობდით ახალ აუდიტორიას, რომელსაც ჯერ კიდევ სკოლაში გაუქრა პოეზიის მიმართ ინტერესი, და რომელიც მზად იყო, სიხარულით აღექვა ტექსტები „საკუთარ თავზე“. ასე ერთად დავიწყეთ ჩვენი

იდეების რეალიზება და ამ პროცესში არაერთხელ დაგვიდგა მხარში „ლატვიის კულტურული კაპიტალის“ სახელმწიფო ფონდი. არ მოგვინია კერძო სპონსორების ძიება, რომლებიც უფრო საკუთარი სახელის წინ წამოწევას ცდილობენ, ვიდრე რეალურ დახმარებას.

თანდათანობით იცვლებოდა ფორმატიც. ბევრს ვმუშაობდით ვიდეოპოეზიაში და რამდენჯერმე მოვანყვეთ ევროპაში პირველი ვიდეოპოეზიის ფესტივალი (შემდეგ ეს მისია თავის თავზე აიღო ბერლინის ფესტივალმა „ზებრამ“). დაახლოებით 2008 წლიდან ჩვენ დავინტერესდით პოეტური ინსტალაციებით და მონაწილეობას ვიღებდით თანამედროვე ხელოვნების გამოფენებში. 2014 წელს ერთ-ერთ ასეთ ინსტალაციით, „რადიოკედელი“ ნომინირებული ვიყავით „პურვიტისზე“ – ლატვიის ვიზუალური ხელოვნების მთავარ პრიზზე, რაც საკმაოდ უჩვეულოა პოეტური კოლექტივისათვის. გარდა ამისა, ჩვენ ყოველთვის ვფუნქციონირებდით, როგორც პატარა გამომცემლობა, რომელიც გამოსცემდა ბილინგვურ წიგნებს (რუსულ და ლატვიურ ენებზე) – პოეზიას, პროზას და ჩვენთვის საინტერესო მხატვრების ფოტოწიგნებს.

ნ.გ. „ორბიტა“ ხშირად აწყობს გამოფენებსა და მულტიმედია პერფორმანსებს. რომლებს გამოყოფდი მათ შორის?

ს.ტ. ალბათ, FM SlowShow, რომელიც წარვადგინეთ ფინეთში, იტალიაში, სერბიაში, ხორვატიაში, ესტონეთში, აშშ-ში და ა.შ. ჩვენ დიდი ხანია ვამუშავებთ პოეტური კითხვის ჟანრს, როგორც პერფორმანსს. თავიდან ვკითხულობდით სპეციალურად მომზადებული ტრეკების, მერე – სამი მუსიკოსის თანხლებით, რომელთან ერთადაც გამოვედით

ბერლინში და მოსკოვში. საერთოდ, წრეში ვკითხულობთ, თითოეული ჩვენგანი – თითო ტექსტს და შემდეგ ჩვენს რიგს ველოდებით, სანამ დანარჩენებიც წაიკითხავენ. და მუსიკოსებთან ერთად გამოსვლისას, პოეტები იღლებოდნენ თავიანთი რიგის მოლოდინში. დავინწყეთ ფიქრი, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა იმისათვის, რომ ყველა მონაწილე მუდმივად, პაუზების გარეშე ყოფილიყო ჩართული პერფორმანსში და ამავე დროს – საუნდსისტემისგან დამოუკიდებელი მაშინ, როცა ჩვენს ტექსტებს ვკითხულობდით. აქედან წამოვიდა ამ ფორმატის შექმნის იდეა. ხმა ისმის საკუთარი საუნდსისტემის საშუალებით, რომელიც 30-35 ჩვეულებრივი რადიომიმღებისაგან შედგება. პოეტები კითხულობენ სპეციალურ მიკროფონში, რომელიც FM ტალღებზე გადასცემს და იჭერს სიგნალს. იგი გაგვიკეთა რადიომეკობრემ ლიეპაიდან. პარალელურად, ვუშვებთ სხვადასხვა ქალაქში FM ტრანსმიტერებზე ჩანერილ ხმებს. ჩვენთან ერთად გამოდის მუსიკოსი ანდრეი ეიგუსი და უკრავს ელექტრონულ პიანინოზე, რომელიც ასევე მიერთებულია FM ტრანსმიტერთან. ანუ, ყველაფერი გადაიცემა სხვადასხვა FM ტალღებზე, რომლებზეც ჩვენი რადიომიმღებები მუშაობენ. და როცა წაიკითხავ ტექსტს, შენს რიგს კი არ ელოდები, არამედ ერთვები რადიომიმღების გადანაცობის საერთო პროცესში, რადგან ტალღები მუდმივად ირევა. ამასთანავე, ყურადღება უნდა მიაქციო საერთო ბალანსს, რომ ხმა, ხმაური და მუსიკა პროპორციულად ჟღერდეს. და კიდევ, ჩვენ ყოველთვის ვამატებთ ადგილობრივი რადიოეთერის ფრაგმენტებს, ვურთავთ ახალი ამბების ან ქადაგების – სულ ერთია – „საუნდ-კოლაჟებს“. ასეთი რადიო-დიჯეინგია. აქ საინტერესო ეფექტი იქმნება – პუბლიკას დაახლოებით ერთი მეტრი გვაშორებს, მაგრამ ყველაფერი თითქოს

შორიდან ისმის რადიოეთერის შიშინის ფონზე. ნებისმიერი დეფექტი, დავუშვათ, რალაც ხმაური, საერთო ჟღერადობის ნაწილად გადაიქცევა. თავისებურად, ეს დისჰარმონიის ჰარმონიაა, იმპროვიზაციაა ქაოსის ელემენტებით. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ FM SlowShow-მ ჩვენთან ერთად ბევრი იმოგზაურა, არცერთი ახალი გამოსვლა წინას არა ჰგავს – ტექსტები იცვლება, ხმები იცვლება, ადგილობრივი მაუწყებლობა ყველგან სხვადასხვანაირია. აი, ნორვეგიაში წასვლას კი ჯერ არ ვაპირებთ – იქ FM ტალღებზე აღარ მაუწყებლობენ.

ნ.გ. რა პრინციპით ინაწილებთ როლებს, პერფორმანსებში ვინ რაზეა (ტექსტი, ვიზუალი, აუდიო) პასუხისმგებელი?

ს.ტ. პროექტებში ყოველთვის ვცვლით როლებს, თუმცა, ძირითადად, თითოეული იმას აკეთებს, რაც უკეთესად ეხერხება. ვთქვათ, ვლადიმირ სვეტლოვი არა მხოლოდ პოეტია, არამედ ფოტოგრაფიც და ჩვენს ფოტონიგნებზე მუშაობს. არტურ პუნტე ძალიან დაინტერესებულია ხმებზე ექსპერიმენტებით და ამზადებს აუდიოს FM SlowShow-თვის. მე უფრო რადიო-დიჯეინგით ვარ დაკავებული, მაგრამ პერფორმანსის მსვლელობისას ნებისმიერი შეიძლება ჩამენაცვლოს.

ნ.გ. „ორბიტა“ რალაც დროის მანძილზე მაუწყებლობდა, ე.წ. „მეკობრული რადიოთი“. გვიამბე ამის შესახებ.

ს.ტ. რადიოთი, როგორც კომუნიკაციის ანალოგიური საშუალებით, ჩვენი გატაცება იქამდე მივიდა, რომ რიგაში შეიქმნა მეკობრული პოეტური რადიოსადგური. ეს მოხდა არტფესტივალის ფარგლებში, სახელწოდებით SurvivalKit. მაშინ ქალაქის ცენტრში არსებული ცარიელი ხუთსართულიანი შენობა ერთი კვირით არტიისტებს გადაეცა. ჩვენ მის სხვენში განვთავსდით. ინტერნეტში

ვნახეთ განცხადება და ვიყიდეთ ნამდვილი მეკობრული რადიოგადამცემი 3 კმ-ის რადიუსით. ჰოდა, გადავწყვიტეთ, რომ ამ ერთ კვირაში აგვემოქმედებინა საკუთარი რადიოსადგური ისეთი კონტენტით, რომელსაც ჩვეულებრივ კომერციულ რადიოეთერში ვერ მოისმენ. რა შეიძლებოდა ეს ყოფილიყო? თავიდან ვიფიქრეთ, რომ ეს კარლ მარქსის „კაპიტალის“ 24-საათიანი უწყვეტი კითხვა იქნებოდა, რასაც ნამდვილად ვერ მოისმენდი ლატვიის რადიოტალღებზე! ამიტომაც დავარქვით Marx FM 104,8 (ტალღა შევარჩიეთ სხვა რადიოსადგურებისა და სახელმწიფო სამსახურებისაგან დამოუკიდებლად). მაგრამ შემდეგ ვიფიქრეთ, რომ მარქსი არ იყო ჩვენთვის ახლო ავტორი სტილისტიკის თვალსაზრისით, რომ ჩვენთვის უფრო საინტერესო იქნებოდა 24-საათიანი პროეტური რადიოსადგური. ამისთვის შევაგროვეთ ვრცელი აუდიოარქივი, სადაც ავტორები კითხულობენ თავიანთ ტექსტებს 3 ენაზე (ლათვიურზე, რუსულზე და ინგლისურზე) და ეს ჩანაწერები გავუშვით ეთერში რეჟიმში random. სახელი კი იგივე დავტოვეთ – Marx FM. რადიოსადგური თითქმის ერთი კვირა მაუწყებლობდა. საოცარი გრძნობა იყო: მოდიხარ სახლში, რთავ რადიოს, სადაც შეჩვეული პოპ-მუსიკისა და რეკლამის ნაცვლად არსებობს ტალღა, სადაც პროეტები თავიანთ ტექსტებს კითხულობენ. და შენ იცი, საიდანაა ეს... იმ შენობის გვერდით, სადაც ფესტივალი იმართებოდა, არის ბარი «Čomski» (ლათვიურში სიტყვების თამაშია – ნოამ ჩომსკის გვარი ლათვიურად და «čoms»-დან შექმნილი სიტყვა „ძმაკაცი“, „მეგობარი“), სადაც ამ დღეების განმავლობაში ტრანსლირებდა ჩვენი რადიო. ასე რომ ხალხი პოეზიის თანხლებით სვამდა და საუბრობდა. მეხუთე დღეს კი რადიოეთერის კონტროლის ორგანოებმა დაგვაფიქსირეს და მოითხოვეს, შეგვენწყვიტა არალიცენზირებული მაუწყებლობა. კარგია, რომ

აპარატურის კონფისკაცია არ მოახდინეს, მხოლოდ ჯარიმა გამოგვიწერეს, რომელიც შემდეგ ფესტივალის ორგანიზატორმა, ლატვიის თანამედროვე ხელოვნების ცენტრმა გადაიხადა. ამის შემდეგ რადიო ინტერნეტით მაუწყებლობს და მას ამ საიტზე იპოვით:
<http://dzejaskarte.lv/lv/pasakumi/piratiska-dzejas-radiostacija-marx-fm>
უნდა დაანკაპუნოთ ისარზე გვერდის შუაში.

ნ.გ. „ორბიტა“ არაერთხელ იყო მონაწილე ბერლინის ვიდეოპოეზიის ფესტივალისა „ზებრა“. თქვენ „ზებრამდეც“ გქონდათ შექმნილი პოეტური ვიდეორგოლები. როგორ ქმნით ვიდეოპოეზიას, ტექსტზე „იდება“ ვიდეო თუ პირიქით, რომელია ინსპირაციის წყარო?

ს.ტ. ჩვენს შემთხვევაში ყველაფერი მოდის ტექსტიდან. იშვიათად ვწერთ რამეს სპეციალურად ვიდეოსა თუ ინსტალაციისათვის. ვცდილობთ უკვე დაწერილი ტექსტების, რომელთა წაკითხვა სრულიად შესაძლებელია ქალაქიდანაც, კომბინირებას სხვადასხვა მედიასთან. ასე იქმნებოდა განსხვავებული სტილისტიკის მქონე ვიდეოპოეტური როლიკები. მაგალითად, ერთი კლიპი თავის ლექსზე „კოპირაიტერი“ არტურ პუნტემ ტელევიზორის ეთერში რეკლამების ამონაჭრებისაგან შექმნა. მეორე – „როცა დამთავრდება ჯაზი“ – ესაა უწყვეტი კადრით გადაღებული უზარმაზარი ალბომის გადაფურცვლის პროცესი. ალბომში კოლაჟებადაა განთავსებული 70-80-იანი წლების საბჭოთა და პოლონური ჟურნალებიდან ამონაჭრები. ეს ჟურნალები ლიეპაიში „ბარახოლკაზე“ ვიყიდე.

ჩვენ, ამასთანავე, ვთანამშრომლობდით პროფესიონალ ვიდეორეჟისორებთან. ამ სფეროში მუშაობის პირველი

მცდელობა 1994 მქონდა, როცა გავაკეთეთ „ორკესტრის რეპეტიცია“ ვიქტორ ვილკისთან ერთად (მოგვიანებით, მან არაერთი კლიპი ჩაწერა ზემფირას, სპლინისა და სხვებისათვის). სემიონ ხანინი თანამშრომლობდა ცნობილ ლატვიელ ვიდეომხატვართან კატრინა ნეიბურგასთან და არაჩვეულებრივ ანიმატორთან ედმუნდ იანსონთან. ედმუნდთან მეც მიმუშავია. ჩემ ლექსზე „მამაკაცი ქალთან“ მან შექმნა ვიდეო, რომელშიც ძველი დიაფილმების სტილისტიკა გამოიყენა. მანამდე, ჩვენ გავაკეთეთ კომპიუტერული თამაში, რომელშიც ტყვიების ნაცვლად ასოებით ისვრი და ლექსიდან თანდათანობით სტრიქონს სტრიქონზე გამოდევნი. იქ რამდენიმე ეტაპი იყო, და ერთ-ერთზე ლექსიც იწყებდა შენსკენ სროლას.

ნ.გ. მთარგმნელობით პროექტებზე მინდა გკითხო.
„ორბიტა“ გამოსცემს ორენოვან აღმანახებსა და პოეტურ კრებულებს. რა არის თქვენი კობირი ამ საქმეში?

ს.ტ. ეს იდეა – ორი ენის ერთმანეთთან მიზიდვისა თუ თანაარსებობის, ვცდილობთ, სხვადასხვაგვარად გამოვხატოთ. ვთქვათ, სემიონ ხანინის ორენოვანი პოეტური კრებული „ცურვით“ (რუსულსა და ლატვიურზე), «Вплавь / Peldus» ორი წიგნისაგან შედგება, რომელთა ყდაში მაგნიტია ჩატანებული. მკითხველს უკვირს, რომ წიგნებს შორის არსებობს ელექტრომაგნიტური მიზიდულობის ველი, რომელიც მათ ერთმანეთის გვერდიგვერდ იჭერს. საერთოდ, ჩვენთვის დიზაინი არანაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე შინაარსი. ლატვიაში მიღებული გვაქვს არაერთი „წლის ყველაზე ლამაზი წიგნის“ პრიზი. ყოველი ჩვენი გამოცემა, ეს ინდივიდუალური კონცეპტია, ამიტომ არ ვჩქარობთ. მაგრამ ახლა, პროცესი რომ უფრო სწრაფი გავხადოთ, ასე თუ ისე ერთიანი დიზაინის მქონე რამდენიმე სერია ჩავუშვით.

ნ.გ. შენ კურირებ პროექტს „ჩრდილოეთი – სამხრეთი“ ლატვიის „პოეზიის დღეების“ ფესტივალის ფარგლებში. როგორ არჩევ ავტორთა წყვილს, გეოგრაფიული მდებარეობის, წერის განსხვავებული სტილის მიხედვით, თუ სხვა კრიტერიუმით?

ს.ტ. ეს იდეა საქართველოში ქართველ პოეტებთან ურთიერთობის დროს დაიბადა. ჩემთვის ეს სამხრეთის ქვეყანაა, სხვა ტემპერამენტით, სხვა ატმოსფეროთი, რაც, ცხადია, პოეზიაშიც აირეკლება. საინტერესო იყო თავი ერთად მოგვეყარა სამხრეთელი და ჩვენთვის გასაგებ და ახლო ჩრდილოელი პოეტებისათვის, აგრეთვე, ეს იყო მცდელობა გავქცეოდით დიდი ხნის წინ პოლიტიზირებულ დაყოფას „დასავლეთად და აღმოსავლეთად“.

საქართველოდან პირველები იყვნენ შოთა იათაშვილი და დავით ჩიხლაძე. მათი „ჩრდილოელი“ თანამეწყვილე კი – ძალიან ცნობილ ესტონელი პოეტი fs. ეს ხდებოდა ლატვიის ტრადიციული „პოეზიის დღეების“ ფარგლებში, რომელიც ყოველწლიურად სექტემბერში იმართება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბოლო ორ წელს კი ჩვენ პაუზა ავიღეთ. ნენე, შენ ბოლო სტუმარი იყავი „სამხრეთიდან“. თავად „პოეზიის დღეები“ ახალ ფორმატს ეძებს, ცდილობს გახდეს პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი. ვიმედოვნებთ, რომ მომავალი წლიდან განვაახლებთ ამ იდეას.

ნ.გ. შენ ერთი პერიოდი დიჯეი იყავი. რა მოგცა ამ გამოცდილებამ? თუ არ ვცდები, თავადაც წერდი ტექსტებს სიმღერებისთვის...

ს.ტ. მუსიკა ყოველთვის იყო ჩემი ყოველდღიურობის მნიშვნელოვანი კომპონენტი, მისი გასაღები. ახლა ალბათ, უფრო ნაკლებად ვუსმენ, მაგრამ ყოველთვის მიხარია,

როცა რაიმე ახალსა და საინტერესოს აღმოვაჩინე. 90-იანების მეორე ნახევარში მიმიწვიეს დიჯეების პროექტში Casablanca 2000. მაშინ მის მონაწილეებს რიგის მუსიკალურ სივრცეში შემოყავდათ acid-jazz, funk, bigbeat, dub, ანუ არა წმინდა ელექტრონული მუსიკა, არამედ მიმდინარეობა, რომელიც აერთიანებდა ელექტრონიკას და აკუსტიკას. გარდა იმისა, რომ სალამოების ორგანიზებას ვაკეთებდით რიგის კლუბებში, პროექტის ფარგლებში ერთ-ერთ რადიოტალღაზე კვირაში 3-ჯერ გადიოდა გადაცემა. ჩვენ ამაში არაფერს გვიხდიდნენ, მაგრამ ქალაქის „მუსიკალურ მორიგეებად“ აღვიქვამდით თავს. ეს იყო ყოველთვის 3 საათი ეთერში, ვრთავდით სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების მუსიკას, რომელიც მოგვწონდა. დღემდე ვაქვეყნებ ხოლმე ჩემ მიქსებს ნიკით DJ Tim Jugla (Jugla – რიგის გარეუბანია, სადაც ადრე ვცხოვრობდი, პირდაპირ ტბის ნაპირზეა და ტყე ესაზღვრება).

დიჯეიდ ყოფნამ ალბათ ხმასთან, ჟღერადობასთან მუშაობის გამოცდილება შემძინა, გავიცანი მრავალი ლატვიელი მუსიკოსი, და საერთოდ, საინტერესო პუბლიკა. როცა მიქსებზე მუშაობ, მეტად გესმის სტრუქტურის როლი მუსიკალურ კომპოზიციაში. ხოლო სტრუქტურის გამოყენება ერთი სფეროდან საერთოდ განსხვავებულ მეორე სფეროში – ეს ჩემი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია.

მე ვწერდი ტექსტებს სხვადასხვა ჯგუფებისათვის, რასაც დღესაც ვაგრძელებ, მაგრამ ეს ცალკე თემაა. მუშაობა ზუსტ, უკვე არსებულ რითმასა და რიტმთან – სხვა პოეტური „მეა“, და მასთან პერიოდულად ურთიერთობა ჩემთვისაც საინტერესოა.

ნ.გ. „ორბიტას“ ბიოგრაფიაში მრავალი ხორცშესხმული და – არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ ვიტყვი – „წარმატებული“ პროექტია. გაქვთ თუ არა ვერშემდგარი პროექტები?

ს.ტ. ყველა ჩვენი პროექტი – ეს სიმრავლეა იდეების, რომლებიც განხორციელების პროცესში იცვლება. ამიტომ, რაღაც ვერსიები ყოველთვის იკარგება. როცა ამ გაზაფხულზე ვამზადებდით ერთობლივ გამოფენას „საიდან მოდიან ლექსები?“ (მსგავს ტრივიალურ კითხვებს ხშირად უსვამენ პოეტებს, და ჩვენ გადავწყვიტეთ, მასზე ჩვენი ვერსიები მოგვეძებნა), მე მქონდა იდეა, რომელიმე ტექსტი წარმომედგინა, როგორც კრიმინალური ფაქტი, გამოძიება სამხილით, მოწმეთა ჩვენებებით და.ა.შ. მაგრამ საბოლოოდ სხვა იდეა ავარჩიე. „გამოძიება“ კი თავის საათს ელოდება. სემიონ ხანინს ჰქონდა იდეა ლექსი-მცენარის შესახებ, არტურ პუნტეს კი – ოთახის შესახებ, რომლის კედლებზე გაურკვეველი წარმოშობის გრძელი ლაქები ლექსის აუდიოჩანაწერს წარმოადგენდა და რომლის წაკითხვა სპეციალური აპარატით იქნებოდა შესაძლებელი. ეს იდეა ცოტა განსხვავებულ ფორმატში იქნება რეალიზებული რიგის ლიტერატურისა და დამწერლობის მუზეუმისათვის.

ისეც ხდება, რომ პროექტში რეალობას თავისი კორექტივები შეაქვს. არტ-გამოფენისათვის ვაკეთებდით ინსტალაციას „მოციმციმე შთაგონება“. ეს ხდებოდა ზაფხულში, და გვინდოდა გამოგვეყენებინა ისეთი რამ, რაც ფიზიკურ ზეგავლენას მოახდენდა – დამთვალეირებლებს გააგრძელებდა და ამავე დროს თავის თავში მოიცავდა ტექსტს. ინტერნეტში მოვიძიეთ და შევუკვეთეთ ჩინური მინი-ვენტილიატორები ფრთებზე LED-ელემენტებით. მათი დაპროგრამება ისე შეიძლებოდა, რომ თითოეული აჩვენებდა ცალკეულ სიტყვას და ამასთანავე

ეს სიტყვები გამუდმებით იცვლებოდა. მოვიფიქრეთ ასე, ჰაერში მოციმციმე გზავნილი, რომელშიც იყო სტრიქონთა გარკვეული რაოდენობა, მაგრამ თავად ფრაზები იცვლებდა, ყოველ წამში ტექსტი ხდებოდა სხვა. ეს ჰგავდა შთაგონებას, რომელიც გადმოცემის მიხედვით ჰაერში წარწერასავით ჩნდება, მაგრამ მისი წაკითხვა ძალიან რთულია – იგი მუდმივად იცვლება. ლამაზი იდეაა... ყველაფერი დამონტაჟებული იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ როცა დაახლოებით 20 ვენტილიატორი ერთად მუშაობს, ისინი ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. ერთი კვირის მუშაობის შემდეგ ვენტილიატორები ერთიმეორის მიყოლებით გამოდიოდნენ მწყობრიდან. ბოლოს მათი გამორთვა და მათ გვერდით დიდი ეკრანის ჩამოკიდება მოგვიწია „შთაგონების“ ვიდეოდოკუმენტაციით. გვინდა როდესმე მივუბრუნდეთ ამ იდეას და უფრო გამძლე ვენტილიატორები დავამონტაჟოთ.

მეორე მხრივ, გარკვეული ჩვენი პროექტები გამოფენილი იყო მხოლოდ რამდენიმე დღით ან ლატვიიდან შორს. ვთქვათ, ვენეციის „არსენალში“ – „ორი სონეტი ლაპუტადან“ ოთხნახევარი მეტრის სიმაღლის გიგანტური წიგნის თაროა, სადაც ჩვენ შევეცადეთ უნივერსალური ენის იდეის რეალიზება. ენა წარმოდგენილი იყო ნივთებით მათი დასახელების გარეშე. როცა ყველაფერი მოვიფიქრეთ, გაგვახსენდა, რომ მსგავსი იდეა თავში მოუვიდა სვიფტსაც „გულივერის მოგზაურობაში“ კუნძულ ლაპუტაზე. ამიტომ, სახელწოდებაში გაჩნდა ამ კუნძულის სახელი. ეს იყო ლატვიის თანამედროვე ხელოვნების გამოფენის ნაწილი, რომელიც 2015 წლის ვენეციის ბიენალეს პარალელურ პროგრამაში შევიდა. სონეტები ვენეციაში მთელი ზაფხულის განმავლობაში იყო წარმოდგენილი. მაგრამ რიგაში ვერ გამოვფინეთ. არცთუ

ბევრია სივრცე, სადაც ჭერი 5 მეტრზე მეტია, თავად „სონეტებიც“ ითხოვენ გარკვეულ ბიუჯეტს. თუმცა მთელი ეს კონსტრუქცია და ნივთი-სიტყვები ყუთებში ინახება ჩვენ საწყობში და იქნებ როდესმე ისევ იხილოს დღის სინათლე.

ნ.გ. მრავალი წელია, რაც „ორბიტა“ დღევანდელი შემადგენლობით არსებობს (მხედველობაში მყავს პუნტე, სვეტლოვი, ხანინი და შენ). შენი აზრით, რა არის ასეთი ხანგრძლივი კოლექციალურობის საფუძველი?

ს.ტ. თავიდან ჩვენთან ერთად იყო პოეტი ჟორჟ უალიკიც. მაგრამ შემდგომში მისთვის უფრო საინტერესო გახდა ექსპერიმენტი სიტყვაზე, საუნდპოეზია. იგი ახლა მოსკოვში ცხოვრობს და მასთან კონტაქტს არ ვწყვეტთ. 2014 წელს „ორბიტამ“ გამოსცა მისი ტექსტების დიდი ორენოვანი კრებული. მაგრამ, პრინციპში, ეს შემადგენლობა არსებობს 1999 წლიდან. ზოგჯერ სასტიკ დისკუსიებში შევდივართ ერთმანეთთან, ზოგჯერ ვჩხუბობთ კიდევ, მაგრამ თითოეული ჩვენთაგანი, ვფიქრობ, გულის სიღრმეში აღიარებს, რომ როცა ერთად ვართ, იქმნება ერთგვარი „კოლექტიური გონი“, საკმაოდ თვითკრიტიკული, საკმაოდ დაბალანსებული. თანაც, არანაირი მანიფესტი არ გვაქვს, არ წარმოვადგენთ ერთიან ლიტერატურულ სკოლას ან რაიმე ამის მსგავსს. თითოეული წერს, რასაც უნდა და როგორც უნდა. როცა ტექსტები უკვე დასრულებულია, ვიკრიბებით და წარმოვიდგენთ, როგორ ფორმატში შეიძლება „ავტვირთოთ“ ტექსტი, რომ მან დამატებითი შრეები და შინაარსი შეიძინოს სხვა ჟანრებთან ურთიერთობით. სხვა ფორმატში წარმოდგენილი ტექსტი კატალიზატორი შეიძლება გახდეს და საინტერესო რეაქცია გამოიწვიოს. ჩვენ მოგვწონს ერთად მუშაობა, და მიუხედავად იმისა, რომ „ორბიტას“ ბირთვი ძირითადად უცვლელია, ჩვენ მუდმივად ვთანამშრომლობთ

დიზაინერებთან, მხატვრებთან, მუსიკოსებთან,
მთარგმნელებთან. ისინიც „ორბიტას“ ნაწილს
წარმოადგენენ, საერთო ტრაექტორიით მოძრაობის
ნაწილს.



ინსტ
ალაც
ია
ვენეს
იის
ბიენა
ლებზე
:
“ორი
სონე
ტი
ლაპუ
ტადა
ნ”

სერგეი ტიმოფეევი

ლექსები

(რუსულიდან თარგმნა ნენე გიორგაძემ)

ზღვა, ძაღლი

უკანასკნელი ნერვები დაგახარჯე
და მათ გარეშე იოლად გავდივარ,
არც სიამოვნებას ვგრძნობ და არც
ტკივილს. ხშირად ვზივარ სანაპიროზე
და გემებს ვითვლი. ერთი... ორი... სამი...
მეტი არაფერი. ჰორიზონტი
თითქმის ცარიელია. ბავშვებს უყვართ,
სილით როცა მფარავენ, ქარსაც.
სულ ესაა, რაც ვიცი სამყაროზე,
სულ ესაა, რაც ვიცი შენზე და ნერვებზე.
და უეცრად, ხშირი, ხმამაღალი სუნთქვით
გვერდით ჩამირბენს ძაღლი და
ცხელი და სველი ენით
ყურებს მილოკავს. არა, მე ძველებურად
ვერაფერს ვგრძნობ, მხოლოდ ვხვდები,
რას უნდა განიცდიდე, როცა ძაღლი
ცხელი და სველი ენით ხმაურიანად გილოკავს
ყურებს. ის, სხვათა შორის, მიიჩქარის სადღაც,
დიუნებს შორის, მაგრამ შეუძლია
სექტემბრის ერთ საღამოს
შენს გამო ხუთი წუთით შეყოვნდეს

მისი ნავთობი

როგორც მწიფე, წვნიანი ხილი,
ნავთობითაა გაჟღენთილი ქალის მუხლები.
მისი მუხლების ფიალებიდან მოწვეთავს ნავთი.
იღბლიან დღეს შეიძლება
ნახევარი ლიტრაც აავსო
თუ კანზე ფრთილად შეხებისას
ქილას წებოვან წვეთებს შეუდგამ.
რითი უნდა უშველო ამას?
ექიმები ხშირად მართავენ კონსილიუმებს,
კიდევ კარგი, ჟურნალისტები რომ არსად ჩანან.
ახლობლები დიდი ხანია მიეჩვივნენ, რომ იგი დადის
შავ მოტმასნილ ტყავის შარვალში,
მუხლებისათვის სპეციალური მკვრივი სარჩულით
ახალ წვეთებს რომ შეისრუტავს.
ქალის ყოველდღიურობა არის ნავთობი,
ის კი არადა, თვალს ადევნებს მასზე კურსის
ცვალებადობას
და მერყევ ბაზარს, როგორც ვიღაცის მაჯისცემას –
არათანაბარს, დაძაბულს, მფეთქავს, გაუგებარს.
ბოლო ხანებში ისეთი გრძნობა ეუფლება,
თითქოს ნავთობის მომპოვებელი ქვეყანა იყოს,
უტყუარი საზრისის მქონე სახელმწიფო.
ნახეთ, როგორ გადაჭრის ქუჩას, როგორ იცინის,
როგორ დადის გაბრჭყვიალებულ მაღაზიებში.
მერე რა, რომ აბაზანაში ისევ და ისევ იშორებს
ბლანტ და უშავეს წვეთებს. ამ ცხოვრებაში მას აქვს
ნავთობი. აი, თქვენ კი, გაბადიათ რამე საბადო?

ა.ც-ს ხსოვნას

როცა იგებ მეგობრის სიკვდილს,
თითქოს ყირავდება
თეთრ ფურცელზე მდგარი სამელნე.

თეთრი –
პოტენციურად არსებულ
შესაძლებლობათა სივრცე.

შეხვედრები და Pinot Grigio-ს ცარიელი ბოთლები,
უცნაურ კონცერტებზე ერთად სიარული,
გათელილ მინდორზე ფეხბურთის თამაში.

შესაძლებლობა, რომ ოდესმე გავხდებოდით მხიარული
მოხუცები,
ერთმანეთს რომ ასწრებენ ხუმრობას
ყველაზე და საკუთარ თავზე.

მაგრამ ფურცელზე
სწრაფად იღვრება შავი მელანი
და ანაცვლებს თეთრს

*სერგეი ტიმოფეევის ლექსებში მთხრობელი მუდამ
ხელიდან გისხლტება მიუხედავად იმისა, რომ
თავდაპირველად ქმნის აბსოლუტურად უბრალო და
გასაგები პერსონაჟის შთაბეჭდილებას – თითქოს
გენიალური თაღლითია, რომელსაც შეუძლია თავი
ნებისმიერ როლში შემოგასაღოს, ან თითქოს მზვერავია,
რომელსაც შესწევს სივრცეში განზავების, მის უხილავ
შემადგენელ ნაწილად გადაქცევის უნარი. დეტალები
ტიმოფეევის ტექსტებში თითქოს ყოველდღიურობის
შემადგენელი ნაწილებია, რომლებიც ერთი შეხედვით
ერთმანეთთან დაკავშირებული არ არიან, მაგრამ*

ერთმანეთის გვერდით ისეთივე ჰარმონიულად თანაარსებობენ, როგორც ჯაზური იმპროვიზაცია ან დოკუმენტურ ფილმში კამერის მოძრაობა, როცა კადრში ხვდება ყველაფერი – მნიშვნელოვანიც და უმნიშვნელოც. მაგრამ რეჟისორს ესმის, რომ მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ოპოზიცია არ არსებობს: ყველაფერი შეიძლება საპირისპიროდ შემოტრიალდეს, და სწორედ ამ დროს ხდება სასწაული – ყოველდღიურობა იმსჯვალება აზრით, რომელსაც ვერ წაიკითხავთ მისი მხოლოდ ცალკეული ნაწილებიდან.

პაველ ბანნიკოვი



ბმული

„ვერ გამიგია, რატომ ზიხარ ამ ფეისბუქში გვიან ღამემდე ანდა — გათენებამდე?“ — ჰკითხა 37 წლის ქერად შეღებილმა ქალმა, რომელიც სახელმწიფო ფოსტის მოხელე იყო, ქმარს, 45 წლის ბულალტერს, ვინც უკვე 10 წელია, საიუველირო ბიზნესში დასაქმებულ მცირე მეწარმეებთან თანამშრომლობდა. ქმარმა ეკრანს ზურგი შეაქცია და ცოლს შეხედა, რომელსაც ეცვა პიჟამა და ეჭირა წყლით სავსე ჭიქა, რისთვისაც ღამით ნახევრად ცარიელი (ქმრის გარეშე) ლოგინიდან ადგა და სამზარეულოში შევიდა. „იცი, რა ხდება,“ — თქვა ქმარმა, — „ველოდები, უფრო სწორად, მჯერა... აი, როცა უკვე სრულიად გათიშული, ათვალეერებ ამ მოსაწყენ და უსასრულო პოსტების მწკრივს, სწორედ მაშინ შეიძლება გადაეყარო უცნაური სათაურის ბმულს, რომელიც გაგიხსნის გვერდს, სადაც ყველაფერი იქნება ნათქვამი. იგი შენ თვალწინ გაიელვებს ზუსტად მაშინ, როცა დააპირებ კომპიუტერის გამორთვას, სავარძლიდან ადგომას, ეკრანიდან თვალის მოწყვეტას. გესმის?“ „რა იქნება ნათქვამი? რა არის ეს ‘ყველაფერი’?“ „არაფერი, წადი, დანეჭი, ახლავე მოვალ...“ ცოლმა წყლით სავსე ჭიქა ჩაცალა, მაგიდაზე დადო და გაიფიქრა: „კიდევ კარგი, ხვალ შაბათია“.

ხოჭოები, ტოტები

„მე გავხდი ცუდი ადამიანი,
ყველაფერში ნეგატივს ვხედავ“, —
მითხრა საერთაშორისო ავტობუსის მგზავრმა
ლამით წყნარი საუბრისას.
„ხეებში ვხედავ ხოჭოებს,
პოეზიაში — ტავტოლოგიას,
პოლიტიკოსების სიტყვებში — პოლიტიკოსების სიტყვებს.
შეიძლება, სამუდამოდ ასე არ იყოს,
და ოდესმე ისევ დავინახავ
ხეებში — ტოტების სინატიფეს,
პოეზიაში — შუქ-ჩრდილების მოძრაობას,
პოლიტიკოსების სიტყვებში კი — მომავლის ვარიანტებს.
მაგრამ წინ ახლა ყრუ კედელია. თავადაც გესმით, რომ
ეს ჩემი პრობლემაა. სამყარო ხომ
ძველებურად ისეთივე, ისეთივე
მშვენიერია...“ მერე გაჩუმდა და ფანჯრიდან უმზერდა
სიბნელეში უკან-უკან მცურავ
მარტოხელა სახლს ორი განათებული ფანჯრით,
სადაც, ალბათ, უყურებდნენ ტელესერიალს
და მიირთმევდნენ მუქ ჩაისა და კანფეტებს.

*სიმსუბუქე, სიცოცხლესთან მჭიდრო კავშირი, სირბილე
დაცემის დროსაც კი, თითქოს საგნებს არ ჰქონდეთ
ჩრდილები, ამ უკანასკნელს ცვლიან მოციმციმე
მონახაზები, სადა და მოკიაფე სამყარო, ყველაფერი
მოძრაობს მარტივი ტრაექტორიით, შეჩერებას არა აქვს
აზრი, შეჩერების დრო არ არის, კარგია, იყო ტიმოფევევის
გმირი, ეს არის ყველაზე კარგი, რაც შეიძლება თავზე
გადაგხდეთ, ყველაფერი ისე მოხდება, როგორც*

ჩაფიქრებული იყო, დარწმუნებული იყავით, ეჭვიც არ
შეიტანოთ.

ელენა გლაზოვა

სერგეი ტიმოფეევის ტექსტში შევდივარ, როგორც
გამჭვირვალე, მაგრამ ამავე დროს კონტრასტულ ევროპულ
კინო-კლასიკაში: ქუჩა, კაფე, ისევ კაფე, ამხანაგთან
შეხვედრა, ორი გოგონას საუბარი გვერდითა მაგიდასთან,
ამ ადგილისთვის სრულიად ჩვეულებრივი და ამასთანვე,
უცნაურიც. როცა კინოთეატრიდან გამოვალ, ფილმი
გაგრძელდება – ქუჩა, კაფე, შესაძლებელია, სწორედ ის
კაფე ეკრანის სივრციდან, სასტუმროს ნომერი, რომელიც
სავსეა იქ მომხდარი ამბების უხილავი კვალით, ხიდი,
სადაც კონტრასტული გამოსახულება საბურველს მიღმა
იდღაბნება.

დიმიტრი გრიგორიევი

სცენა გამოსასვლელთან

შენს წიგნს ჩვენ მაშინ გამოვუშვებთ,
როცა საჭირო არავისთვის აღარ იქნება.
გავუღებთ ჭიშკარს, მივცემთ თავის პატარა ფუთას.
მერე ვუყურებთ, მტვრიან ქუჩაზე როგორ წავა
ავტობუსის გაჩერებისკენ, თითქოს
არ ვიყოთ დარწმუნებული, შევაჩეროთ იგი
თუ არა. მაგრამ უცებ, ერთ-ერთ ჩვენგანს
გაახსენდება, რომ ვახშამი მზადაა და ყველანი უკან
მივტრიალდებით. ის კი იდგება ავტობუსის გაჩერებაზე
და ბილეთისთვის დაითვლის ცენტებს. ბოლო წლებია,
გაორმაგდა მგზავრობის ფასი.

ჯო დასენი

ჯო დასენი შედიოდა ყველასთან სახლში
და ცეკვავდა თითოეულ დიასახლისთან,
უხსნიდა ყოველ დაღლილ მამაკაცს,
რომ შანზ ელისებზე ბედნიერი დრო კვლავ მოვიდოდა.
ეცვა თეთრი ფეხსაცმელი, თეთრი შარვალი
და გაღელილი პერანგი მკერდზე,
უთენია გადიოდა სახლიდან და
გვიან ღამემდე არ ბრუნდებოდა,
ან რამდენიმე დღით იკარგებოდა.
ის მღეროდა და მღეროდა და მღეროდა და
ყველაფერს უჩენდა საკუთარ ადგილს,
ასწორებდა ჩამოსანგრევად გაზნევილ სახლებს,
ქალის გულივით მყიფე საგნებს
რბილ კაშნესა და თავსაფრებში გამოახვევდა
და მტვერს წმენდდა პლანეტის ყველა
რადიოლადან. ხანმოკლე, ძალიან ხანმოკლე
შესვენებებზე მიფრინავდა ლაჟვარდოვან სანაპიროზე
და შერბოდა ლეოპარდის საცურაო ტრუსებით ზღვაში.
მერე სასწრაფოდ ტანს იმშრალებდა, სიგარეტს მოწევდა
და სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა პირადი თვითმფრინავისკენ.
მისი ტუჩები იმეორებდნენ სიტყვებს,
რომელთა წარმოთქმისას ყველა ხდებოდა
ცხვარივით რბილი და თვინიერი.
ხალხი რთავდა რადიოებს, რადიოლებს, ტელევიზორებს,
და ყველგან იყო იგი საჭირო.
მისი სიკვდილი სერიოზულად არც კი მიიღეს.
ეუბნებოდნენ: „მიდი, იმღერე!“. და ისიც, ზანტი,
ხუჭუჭა, ბაკენბარდებით, არყოფნიდან გამოდიოდა

და იხვეწებოდა, იხვეწებოდა:

„არ გაგიტყდეს, ჩაღე გული თავის ადგილას.“

სერგეი ტიმოფეევის თითოეულ ლექსში იქმნება ერთი და იგივე აბსოლუტურად ნაცნობი ჩვენი უხილავი სამყარო. შეცნობის სიხარული ყოველთვის შერეულია მშვიდი მოულოდნელობის ჩუმ სივრცესთან. მკაფიო წონასწორობის მქონე ამბავი, რომელიც იქ ხდება, სადაც ნამდვილად ვიყავით, მაგრამ ვერაფერი ვერ დავინახეთ, ვერაფერი გავიგეთ. შატალოზე გამოსული სკოლის მოსწავლე, რომელიც თითქოს იმავე, მაგრამ მაინც სხვა, მშობლიური ქალაქიდან საღამოჟამს სახლში ბრუნდება. მუსიკა ფონად ისეთივე ბუნებრივია, როგორც ამინდი.

არტემ ვერლე

ართურ პუნტე

ლექსები

(რუსულიდან თარგმნა ნენე გიორგაძემ)

დაიბადა 1977 წელს, რიგაში. არის მულტიმედია არტისტი, ავტორი არაერთი პოეტური კრებულისა. დაამთავრა მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტი, წერს რუსულად და ლატვიურად, ქმნის აუდიო-ვიზუალურ ინსტალაციებსა და ვიდეო-პოემებს, მუშაობს სხვადასხვა ჟანრების მიჯნაზე, კურატორია ვიდეოპოემების „მოძრავი სიტყვების“ ფესტივალისა ლატვიაში, გამოცემული აქვს CD და DVD დისკები. რედაქტორია „ლატვიის თანამედროვე რუსული პოემების ანთოლოგიის“ და სხვადასხვა პოეტური კრებულებისა. პუნტეს პოემია თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, სერბიულ, ქართულ, ესტონურ, ლიტვურ, ფინურ და სხვა ენებზე.

პოეტური ვიდეორგოლი: <https://www.youtube.com/watch?v=Pj1ohhgTIVU>

* * * (ქალი კარგად მოემზადა...)

ქალი კარგად მოემზადა:
დაშორდა თავის მამაკაცს
წავიდა სამსახურიდან
გააქირავა კრედიტით შეძენილი ბინა
გაყიდა მანქანა
დაურიგა მეგობრებს ნივთები
და ფასდაკლების ბარათები
ჩაწერა მთელი მუსიკა MP3-ზე
გააუქმა თავისი პროფილი და წაშალა ძველი წერილები
იყიდა ახალი ლეპტოპი
ესტუმრა ბებიასა და დეიდებს
ასწავლა დედას ესემესის წერა
შეურიგდა უმცროს დას
შენწყვიტა ხორცის ჭამა და ახალი ამბების კითხვა
დააბრუნა როგორც იქნა ნოტები ბიბლიოთეკაში
დარეგისტრირდა რამდენიმე საიტზე საქმიანი მეილების
მისაღებად.
გააჩერა სატვირთო მანქანა წარწერით „ბერლინი“
და პოლონეთში მგზავრობის მანძილზე ერთი სიტყვაც კი
არ დაცდენია...
და ახლა რამდენიმე ნაქირავები ბინის შემდეგ,
წინა მდგმურების თეთად შეღებილ კედლებთან
ოთახში მარტო დარჩენილი,
დაძინებისას გაჰყურებს ბნელ ჰაერს სადაც
მკაფიოდ იგრძნობა ვიღაცის უხილავი არსებობა
ქალი უსმენს საკუთარ თავს – ნეტავ იცოდეს
რომ ის რაც ახლა ხდება ნამდვილია,
რომ უკვე ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს

*** * * (ისე მოხდა რომ შევუყვარდი გოგონას ჯოხარ დუდაევის ქუჩიდან...)**

ისე მოხდა რომ შევუყვარდი გოგონას ჯოხარ დუდაევის ქუჩიდან

მე მას გავურბოდი ბევრს ვმუშაობდი და ყოველთვის შემედლო მიზეზად მოუცლელობის მოტანა

მერე თვალში მომივიდა გოგონა ჯოხარ დუდაევის ქუჩიდან ჩვენ ერთმანეთს გავუგეთ და მე ბევრს ვმუშაობდი ჩვენი სიყვარულით შთაგონებული

მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და მე მივატოვე გოგონა ჯოხარ დუდაევის ქუჩიდან უფრო მეტს ვმუშაობდი რომ სიყვარულით თავი არ მოებებრებინა

არა ვიფიქრე ასე არ ივარგებს უნდა დავიბრუნო გოგონა ჯოხარ დუდაევის ქუჩიდან მაგრამ მან უკვე სხვა იპოვა

და მე ბევრი უნდა მემუშავა რომ დამევიწყებინა იგი

ახლა თითქოს აპირებენ ამ ქუჩას სახელი გადაარქვან და მაშინ ალბათ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და შემედლება მშვიდად დავკავდე ჩემი საქმეებით

„ორბიტადან“ მისი კოლეგების მსგავსად, პუნტეს პოეზიამ თანაბარი გავლენა განიცადა როგორც რუსული, ასევე გასული საუკუნის მეორე ნახევრის ევროპული პოეზიისა. პუნტეს შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ თავისებურ დიალოგზე პოპულარული სიმღერის ჟანრთან, თუმცა შთაგონების წყარო უფრო სწრაფი მუსიკაა. სერგეი ტიმოფეევისა და სემიონ ხანიჩის მსგავსად, პუნტე აღწერს ყოველდღიურობას, რომელიც შედგება სხვადასხვა

*„ტუსოვკებისგან“, სამუშაოსგან, აზრს მოკლებული
შემთხვევებისგან, უცაბედი ფიქრებისაგან. სოციალური და
ასაკობრივი საზღვრების გადალახვის შემდეგ პუნტეს
გმირები მარად ახალგაზრდანი რჩებიან, და ეს მათი
უპირატესობაა.*

დენის ლარიონოვი

დროის წელიწადი

ერთადერთი რაც ამ საღამოს შემოიძლია გავაკეთო –
შენი სახლის წინ დავაპარკინგო
აგვისტო ——— ეს ჩემი მტვრიანი ფურგონი წარწერით
ხილი ტროპიკული ქვეყნებიდან
და შეგპირდე რომ დილით სამსახურში წასვლამდე
აუცილებლად გავივლით ზღვაზე
სანამ ასეთი ამინდებია.
მაგრამ ვეჭვობ ჩაგვეძინება.
ამბობენ ქალაქის შემოგარენი
დაინვება ზაფხულთან ერთად
ოქტომბერი ——— და მაშინ კი ეს წაბლის ხე ჩვენს ეზოში
მეათე თვის აალებული ტოტებით
გადახერხავს ქალაქის კოშკს ეშმაკებისკენ
ამის სარწმუნო ნიშნები არის:
ხედავ ფოთლები მერამდენე დღეა უკვე
რაც უკულმა შემოტრიალდნენ
ხისათვის ამის გაკეთება უფრო ძნელია
იანვარი ——— ვიდრე მძევალმა უსასოოდ მოგცეს ნიშანი
ქვეყანაში სადაც მის საშველად არავინ მივა
პრეცედენტი რომ არ შეიქმნას
ხვდები ამომწვარი ნაკბილარები
ამომწვარი ნაკბილარები
ფანჯარაში მთელი ზამთარი
აპრილი ——— აი ასე იქნება შემდეგ...
დღის შუქი სანამ გაანათებს
ყოველი სახლის ორივე წახნაგს
ჩემი სევდის მიზეზს გაგიმხელ:
ამ გაზაფხულზე ცოცხალი მეგობრის სახიდან

თაბაშირის ნიღაბი ჩამოვხსენი
რისთვისაც ალბათ დავისაჯე



*** * * (მატარებელი მიიზღაბნება ჰორიზონტს გასწვრივ...)**

მატარებელი მიიზღაბნება ჰორიზონტს გასწვრივ
სახლები ქუჩის ხაზზე დგებიან
დრო ციფერბლათის წრეზე მოძრაობს
სართულებს ითვლის სახლისკენ ლიფტი
რადიატორი პირველი ცეცხლის სიმხურვალეს იჭერს
იკავებს
ტალღები ნაპირს მარადიულ იავნანას უმღერიან
გზა კილომეტრებს დაახვევს ღერძზე
ძველი გრძნობასავით ბრუნდება შემოდგომა
სულ არ შეცვლილხარ წლების მანძილზე
მხოლოდ ის რაც ჩვენს თავს ხდება
სადღაც ქვემოთ მიედინება, დავიწყების ძაბრისაკენ,
სადაც არავინ აღარ დაიწყებს
ძველი გზავნილების მოძიებას უცხო სტატუსთა უსასრულო
ჩამონათვალში

* * * (სულ ფეხით...)

სულ ფეხით,
არ ვდგავარ გაჩერებებზე,
არ ვრეკავ
ტელეფონის ჭიხურებიდან
თუკი ყურმილს
ვერაფრით გავწმენდ,
ან საერთოდ
ყურს არ ვაკარებ,
კაფეში უკვე
ვეღარ ვსადილობ –
ადრე კი კათხას
წრეშიც ჩამოვატარებდით,
ამრებით ვსუნთქავ,
თუკი ირგვლივ ბევრი ხალხია,
ხურდის ალებისას,
საუბრის გაბმისას
უცხოს ხელს არ ვართმევ,
ჩემსას ხშირად ვიბან,
პლუს კიდევ
ერთი მინუსი –
ანგარიშის გახსნას შევეცადე –
მაგრამ არ შემიძლია ზედიზედ ორჯერ
ერთნაირად ხელის მოწერა,
ამიტომაც არასოდეს მექნება
საკუთარი საქმე,
თქვენი საქმეები კი როგორ მიდის?
ფეხებშუა მოვიმწყვდიე ზემოთქმული
და შევაჯექი საკუთარ პონის,
ჩვენს შვილებს ალბათ

არ ექნებათ ინიციალები –
როგორ დავანწყვილებთ
ჩვენს გვარებს სხვა სახელებთან –
წარმოდგენა არა მაქვს...

პუნტეს პოეტიკა, გარკვეული თვალსაზრისით, ნაკლებად
მონოტონურია, ვიდრე პოეტიკა სერგეი ტიმოფეევისა. აქ
შეხვდებით როგორც უცნაურ სიტყვების თამაშს
(«Предплюсна, плюсна, фаланги пальцев»), ისე სოციალურ თემაზე
ზუსტ ჩანახატებს („ქსელური სააგენტოს რიგითო
კოპირაიტერო, / ტაქსიდან ჩვენი დესანტის გადმოსხმისას
რა დაინახე?“).

თუ სერგეი ტიმოფეევისათვის სოციალური კონტექსტი
ყოველდღიური შთაბეჭდილებების წყაროა, პუნტეს
გმირებისათვის იგი წნეხია, რომლის გავლენისაგან
გათავისუფლებას ისინი ყოველთვის ვერ ახერხებენ.
პოეტის ყურადღების ცენტრში დგას, თუ როგორი
დაუცველები არიან ადამიანები სამყაროს წინაშე, როცა
მათი როლი მხოლოდ სოციალურ ფუნქციამდე დაიყვანება.
პუნტეს პოეზია არ გვთავაზობს ამ სიტუაციიდან არანაირ
ტრანსცედენტალურ გამოსავალს, სამაგიეროდ
სოციალური კრიტიკა აქ განსაკუთრებით აქტუალური და
ზუსტია.

კირილ კორჩაგინი

სემიონ ხანინი



ლატვიაში მცხოვრები რუსულენოვანი პოეტი და არტისტი. დაიბადა 1970 წელს. ავტორია ხუთი პოეტური კრებულისა: „სულ ახლახანს“ (2003), „ცურვით“ (2013), „გამოტოვებული წვრილმანები“ (2008), „არ გეჩვენებათ, რომ ეს თქვენი ხუთი წუთი ძალიან გაიწელა?“ (2015), „მაგრამ არა ამით, რჩეული ლექსები“ (2017). 2011 გამოიცა მის მიერ შედგენილი 500 გვერდიანი „ლატვიის თანამედროვე რუსული პოეზიის ანთოლოგია“.

თარგმნის ლატვიურ და ამერიკულ პოეზიას რუსულად, რედაქტორია არაერთი პოეტური კრებულისა ლატვიურ და რუსულ ენებზე. „ორბიტის“ კოლექციებთან ერთად აწყოფს სხვადასხვა პერფორმანსებსა და ინსტალაციებს. პერონალური გამოფენა: „M როგორც მეთოდი“ (2011). მისი ტექსტები თარგმნილია ლატვიურ, ინგლისურ, ჩეხურ, უკრაინულ, სერბულ, იტალიურ და ქართულ ენებზე. 2018 წელს მონაწილეობა მიიღო თბილისის მეოთხე საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში, ხოლო გამომცემლობა „სიესტას“ მიერ ფესტივალის ფარგლებში გამოიცა მისი პოეტური კრებული, რომელიც ქართულად თარგმნა დავით ჩიხლაძემ.

პოეტური ვიდეო-რგოლი ხანინის ტექსტზე:
<https://www.youtube.com/watch?v=wugk1VsPhV8>

*** * * (ნებო უვარგისია...)**

ნებო უვარგისია
და ოდნავ შეცვლილია თვალის ფერი თმის ფერი სიმაღლე
ფრთხილად გადაფურცლე
საზღვარზე სათნო სახე მიიღე
გაიღიმე
ნაკერები რომ არ გამოჩნდეს
სამაგიეროდ დიდებული სახელი და გვარი გაქვს
და ასაკი – საეჭვოდ ახალგაზრდული
წყლის ნიშნები კი – ისეთი
რომ საერთოდ ნუ იღელვებ
თუკი ვიღაც სახეზე დაჟინებით გაკვირდება

*** * * (ფიბრის გატენილ ჩემოდანზე ჩამომჯდარი...)**

ფიბრის გატენილ ჩემოდანზე ჩამომჯდარი
გამნარებით ცდილობ ჩაკეტო საკეტი,
მთელი სხეულით ზემოდან აწვები,
რომ საბოლოოდ იქნებ დაიხუროს,
გაოგნებულს ვერ გაგიგია რაღა უნდა ქნა
წინასწარ ამოყარე რაც საჭირო იყო
თითები რომ არ მოგყოლოდა როცა
შიგნით ჩურთავ გამოჩრილ ფოჩებს,
ბლუზს, დაჭმუჭნულ აბრეშუმის საღამურს,
კოლგოტკას რომელიც ხელიდან გისხლტება,
სქელი ძაფით გაკერილ პერანგს,
ფაქიზად შეწებებულ ორმაგ სარჩულს,
ცდილობ საკეტი უფრო მეტად მოატრიალო,
რომ მეტალის ენამ გაიტკაცუნოს,
ჩაკეტავ თუ ვერ ჩაკეტავ?

*განსხვავებით „ორბიტის“ კოლეგების, სერგეი
ტიმოფეევისა და არტურ პუნტესაგან, სემიონ ხანინი
უპირატესობას ანიჭებს არა რეალობის ობიექტურ აღწერას,
არამედ მასთან ნელა მიახლოებას შეხების საშუალებით.
პროტაგონისტი მის ტექსტებში არაფერს ამბობს საგნის
შესახებ შეხების გარეშე, იგი დარწმუნებული არაა საკუთარ
„მე“-შიც, სანამ არ გაზომავს ხელში მოხვედრილ ყველა
საიდენტიფიკაციო ნიშანს, არ წაიკითხავს გარე სამყაროს
ყველა გზავნილს... ზოგჯერ შეუძლებელია დაშიფვრა –
ამაზე მიუთითებს ის ტექსტები, რომლებიც განზრახ არის
დაბეჭდილი ვერწაკითხვადი სიმბოლოებით. ზოგიერთი
მათგანი გაგონებს ჩანაწერებს, რომლებიც ზღვის ტალღამ
გამორიყა: ხანინს ბრწყინვალედ შეუძლია, შექმნას მყიფე*

ურთიერთობების სურათი როგორც ასოებს, ისე ადამიანებს
შორის.

დენის ლარიონოვი

*** * * (როცა ძალიან მგრძნობიარე კანის
სკაფანდრში...)**

როცა ძალიან მგრძნობიარე კანის სკაფანდრში
სრულიად უნონადო მდგომარეობაში
გაუნძრევლად წევხარ ტახტზე
და საკუთარი სუნთქვისგან თითქოს შიგნიდან იორთქლები
ხუჭავ თვალებს და ჩაგესმის როგორ მღერიან
მდინარის გაღმა, ხევის იქით, ტყის სიღრმეში
თითქოს დაჟანგებული ტახტის ზამბარები
და ერთადერთს ელოდები რომ ფილტვებში
მოკლე და ღრმა ჩასუნთქვასთან ერთად შენში შემოვიდეს
თითქმის მივიწყებული სიმძიმის ძალა

*** * * (ნუ იფიქრებ, რომ ეს კაცი უსახლკაროა...)**

ნუ იფიქრებ, რომ ეს კაცი უსახლკაროა,
უბრალოდ, დაკარგა გასაღები
და მეოთხე თვეა ღამეს ათენებს
ავეჯის მაღაზიის კიბეზე

არა მგონია მოსახერხებელია
ასეთ დაგრეხილ პოზაში წოლა
სინამდვილეში აკრობატია
და ურჩევნია ამგვარად ძილი

საიდან მოიტანე, რომ თითქოსდა მოკვდა
მერე რა, რომ არ სუნთქავს
მეტს რაღას უნდა მოელოდე განაფული იოგებისგან
რომელთაც სუნთქვის შეკავება შეუძლიათ წლების
მანძილზე,

უფრო ზუსტად კი – თითქმის სამუდამოდ

*** * * (აქ დავინვი ან ვილაცამ მიკბინა...)**

აქ დავინვი ან ვილაცამ მიკბინა
აქ საქანელადან გადმოვვარდი
შეხორცდა მაგრამ ზოგჯერ მექავება
არა, აქ კი არა ცოტა ზემოთ
რალაც გამონაყარია
შესაძლოა ალერგია
აქ გესმის დავთვერი ვიჩხუბე
ეს ბრმა ნაწლავია
აქ აღარ მახსოვს რა
ნუ შეეხები

*სემიონ ხანინის პოეზიაში იგრძნობა სპეციფიური
„ბალტიური“ აქცენტი, რომელიც გამოიხატება ერთი
შეხედვით შეუმჩნეველი დისკურსიული გადაადგილებით:
ხანინი ირჩევს სალაპარაკო ენის „სახიფათო ზონებს“,
სადაც ენა უარს ამბობს გზავნილის გადაცემაზე და თავად
იწყებს რეალობის შეცვლას. საინტერესოა, რომ
ეგზისტენციალური აბსურდი, რომლითაც გაჯერებულია ეს
ტექსტები, შორსაა ობერეუტების მოსაწყენი
„აბდაუბდისგან“ და არაცნობიერში სიურეალისტური
ჩაღრმავებისგან, უფრო - ლატვიურ პოეზიასთან
ასოცირდება ალექსანდრ ჩაკიდან კარლის ვერდინიშამდე,
სადაც ყოველდღიურობის აბსურდი გადმოცემულია
ფაქიზად, და რომელიც კატასტროფით კი არ სრულდება,
არამედ რეალობას ახალ შეფერილობას აძლევს. ამ
ტექსტების გმირი თითქმის მოუხელთებელია, მიუხედავად
იმისა, რომ პირველ პირში საუბრობს. იმისათვის, რომ მისი
არსებობა შესამჩნევი გახდეს, „ახირებული“ პოეტი
იძულებულია უცნაური წესით შეცვალოს რეალობა,*

სხვადასხვა მეტამორფოზებს დაუქვემდებაროს იგი, რომ გმირის ირგვლივ არსებული ენის უფორმო მასიდან პერსონაჟი შეიქმნას.

კირილ კორჩაგინი

სემიონ ხანინი მრავალი წლის განმავლობაში ქმნის საკმაოდ თავისებურ სახეს მელანქოლიურ-სომნაბულური მანანწალისა, რომელიც უცნაურ სიტუაციებში ხვდება. სიტუაცია გაუგებრობის საფუძველზე იქმნება, და, შეიძლება ითქვას კიდევ, რომ გაუგებრობა გამონაკლისი კი არა, ონტოლოგიური მდგომარეობაა, ანუ გაუგებრობაა ყველაფრის საფუძველი: ადამიანებს შორის ურთიერთობების, გარემომცველი სინამდვილისა და საკუთარი თავის აღქმის მცდელობის. გაუგებრობა აქვე, კუთხეშია დადარაჯებული და იწვევს მელანქოლიას, შფოთვისა და ეჭვს. მაგრამ ხანინი არცერთი წამით არ ვარდება უკიდურესობაში. მისი ლექსებისათვის დამახასიათებელი კომიზმი ზოგჯერ გვართობს კიდევ. გინდა გაიღიმო, მაგრამ ამასთანავე გრძნობ, რომ არსებობს რაღაც გამოუთქმელი ტრაგიზმი, თითქოს ამ ლექსების ხმა არის ხმა დაკარგული ადამიანისა, რომლისთვისაც გადარჩენის გზა მარტოობასა და გაურკვევლობაშია. იმიტომ ხომ არა, რომ მარტოობაში უკეთ პოულობ სხვისათვის მიუწვდომელ ჭეშმარიტებას?

არტის ოსტუპსი

ვლადიმირ სვეტლოვი

ლექსები

(რუსულიდან თარგმნა ნენე გიორგაძემ)



პოეტი და ფოტოგრაფი.
დაიბადა 1973 წელს ოგრში,
ლატვია. „ორბიტის“
კოლეგებთან ერთად მუშაობს
პროექტებზე, რომლებიც
იკვლევს პოეტური გამოხატვის
საზღვრებსა და პერსპექტივას.
2006 წელს გადაეცა ლატვიის
ყოველწლიური პრემია
ფოტოგრაფიაში
ფოტონიგნისთვის “36 EXP”, 2007

წელს კი – გამოფენისთვის „ზუსტად შუაში“. გამოცემული
აქვს საკუთარი ფოტოებით გაფორმებული პოეტური
კრებული “ნ/ყ”. ჩაწერილი აქვს რამდენიმე დისკი “spoken
word”. „ორბიტასთან“ ერთად მონაწილეობას იღებს
პოეტურ პერფორმანსებში რიგაში, ბერლინში, ტალინში,
ვილნიუსში, ჰელსინკში, მოსკოვში, პეტერბურგში და სხვა
ქალაქებში. მისი ტექსტები თარგმნილია ლატვიურ,
ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ და სხვა ენებზე.

კითხვა პერფორმანსის დროს FM Slow Show:
<https://www.youtube.com/watch?v=p3LcUsmuvFY>

კონფიდენციალური საუბარი

არ ვიცი რატომ დაიწყო ეს საუბარი
და დაარქვა კონფიდენციალური
გზატკეცილზე იდგა და მანქანაში ჩავისვი
80-იანების ისტერიული გიტარები და სინთეზატორები
რადიომიმღებს ანგრევდა
დაიწყო პოეტურად იდუმალი ხმით ორჭოფობის
ჩრდილქვეშ კოცნაზე
თითქოს მითვალთვალებდა
და თავის აღმოჩენებს რვეულში მალავდა
მითვალთვალებდა, მაგრამ სურდა გაემხილა
სახეს იცვლიდა, ახლოს არ მოდიოდა
უცნაური მაისური ეცვა
ძლიერ გაცვეთილი,
საუკეთესო გოგოები
მკვდარი გოგოები არიან,
არასოდეს ამბობენ არას –
ენერა მაისურზე
მერე ისევ თავისას აწვებოდა
ოქროსფერ ათინათზე შავ წყალზე რომ კრთება
ამბობდა რომ წყალქვეშ უნდა ჩავიდეს
და სიღრმიდან ახედოს
შავ წყალზე გამკრთალ ოქროსფერ ათინათებს
მას შემდეგ აღარ მინახავს
მანქანიდან გადმოსვლისას იყვირა
რომ ქვას ესვრის შუშას
არ გჯერა?
ყვიროდა
მე მშვიდი ვიყავი
არ ვიცი რატომ

*** * * (ცარიელი აეროპორტი...)**

ცარიელი აეროპორტი
ჩაძინებული თვითმფრინავები
საბაჟოდან გაჰყავს პასტორს თეთრი მტრედები
სულიწმინდა შოუსთვის პარკში
აღზნებული პუდელები თამაშობენ ტაქსის მოსვლამდე
საცირკო წარმოდგენა
მიამიტ სულთა გამოსაჭერად
რამდენიმე სწრაფ კადრს აკეთებ
ბარი ღამით დაკეტილია
ტაძარი – ღია
აეროპორტში
ხე და ბეტონი
ალარ მახსოვს არქიტექტორი
შარშანდელი პრიზიორია
ჩვენ გზას ვაგრძელებთ
ზღვისკენ
ჯერ კიდევ შერჩენიათ ხეებს ფოთლები
განათებული ქვემოდან ფანრით
რომელიც ასფალტის შავ ფერს ირეკლავს
ზღვა ბლანტია როგორც ნავთობი
უმოდრაოდ დგას ჩვენ წინაშე
და როგორი გულუბრყვილოა
ადამიანის თამაში ზღვასთან
მეთევზეთა ეს ნავეები
ზაფხულში ნაპირთან ჭყუმპალაობა
რა არის მასში?
ამ შავ მასაში
რომელიც უკან ამოგვისვრის
მინდა მოვშორდე

უსწრაფესად

ჩვენ ღამეულ იურმალაში დავბორიალობთ

იმის იმედით რომ ერთი კაფე მაინც ვიპოვოთ

სადაც ღამით არ სძინავს ბარმენს


მაგრამ ამაოდ

*ეს კრებული ჩაფიქრებულია, როგორც მინიმალისტური
ნიგნი, იგი ლაკონურია როგორც პოეტური, ისე ვიზუალური
გამომხატველობითი ხერხებით. სათაური „მეორადი“ („ნ/ყ“)
მკითხველს განაწყობს იფიქროს უკვე უტილიზებურ,
წაკითხულ და მოსმენილ ტექსტებზე, სიტყვებზე. ავტორის
მიზანია გაექცეს სიტყვათა გაცვეთილ სემანტიკას, იპოვოს
რაღაც სხვა მნიშვნელობა. ტრივიალური სიტყვებისა და
იმიჯების არსენალს ავტორი ახალ შინაარსს სძენს და
ამდენად, „მეორად“, „ნახმარ“ სიტყვებს ახალ ვერბალურ
სხეულად აქცევს.*

სვეტლანა პოგოდინა

ჰიტ-პარადი

როგორც საჩუქარი ნდობისათვის
მუდმივ კლიენტებს
ჩვენ მივიღეთ ეს დღეები
ბედნიერების
ღიმილითა და თანაგრძნობით
სავსე მზერების
დღეები როცა ანგელოზები ჩაბერენ საყვირს
და დროდადრო სიძულვილის ნაპერწკლები
უკრთით თვალებში
უთვალავი მიზეზია რომ შეგვიძულონ
ყელი გამოგვჭრან
და გვამხილონ დანაშაულში
მაგრამ ალმასის აბჯრიანი ანგელოზები
ელვარებენ მოღრუბლულ ცაზეც
და არასოდეს არ სრულდება მათი სიმღერა...
რასაც მთლიანად მივუძღვნიდი
ჩემი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს
ჰიტ-პარადის შედგენაა
ყველა დროის და ხალხის
100 საუკეთესო სიმღერისაგან



საიდუმლოს არსებობა

ეს საიდუმლო,
რომლის უნებური მოწმენი გავხდით,
თითქოს გვიკრძალავს დაახლოებას,
ეს უცნაური საიდუმლო
გვაიძულებს გავჩუმდეთ და
მოღუშული მზერა სხვაგან გადავიტანოთ.
ის, რაზეც საჭიროა მხოლოდ დუმილი,
ისე შეუძლებლად გვაახლოვებს,
რომ ვერ იპოვი სხვა ორ ადამიანს,
რომელიც ასეთი მონდომებით ცდილობდეს
ერთმანეთის არშემჩნევას.
შენ შეიძლება გვერდით არ იყო,
მაგრამ ეს გამჭვირვალე კედელი რჩება

ახალი წელი

გოგონა ტროლეიბუსის გაჩერებაზე
ცრის
ზამთრის ადრიანი საღამოა
გოგონას ხელში უჭირავს
თავისი პატარა საღამოს კაბა
ადგილზე ცეკვავს
იმეორებს
დაბეპირებულ მოძრაობებს
მუსიკის ხმაზე
რომელიც ესმის მხოლოდ მას
ავტომობილების ფორთოხლისფერ-ყვითელი მდინარე
ელექტროობა და ბენზინის სუნი
ჩქარობს
აფრიალებს
აშარიშურებს

შობა თუ ახალი წელი
ხანგრძლივი პაუზა
გაჭიანურებული ერთწლიანი ნახტომის წინ
მგზავრების პორტრეტები ტროლეიბუსის ფანჯრის
ჩარჩოებში
დაამატეთ ცოტა ოპტიმიზმი სახეებზე
გასინჯეთ გაჯანსაღების ეს ახალი უნივერსალური
საშუალება
ის უმრავლესობიდან გამოდევნის უმცირესობას
და ჩვენ გავხდებით
ერთმანეთის მსგავსი
სპორტულად მოქნილი
და წერილებსაც ექნება საშუალო სიგრძე



ფოტო
ოკო
ლაჟე
ბი და
ტრი
ლინგ
უალუ
რი
ვერ
ლიბ
რები

- ვლადიმირ სვეტლოვის წიგნი „მეორადი“ („ნ/ყ“) „ორბიტას“ გამოცემა. პრეტენზიული დიზაინი კონტრასტს ქმნის სადა ტექსტებთან, რომლებიც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენენ: შენ წინაშეა ლექსები, სადაც უარყოფილია ნებისმიერი კულტურული (ანუ წიგნიერი) მიჯაჭვულობა, თითქოს თამამად გადმოიტანეს მივინწყებული შლაგერები მათი პირობითი საზღვრებით ინტიმურსა და საერთოს შორის. ამ „სუფთა ფურცლიდან დაწყების“ სწრაფვაში არის რაღაც, ძალიან მომხიბვლელი და მიუღწეველი.

დენის ლარიონოვი

2. პოეზია

დალილა ბედიანიძე

Villanele 1

თენდება და მზე ამოდის ნარნარი,
ეს მზე ჩემთვის მარადისი ქნარია
და სხმარტალებს ისე, როგორც ჭანარი
და ღრუბლები იპობიან ზანზარით,
აქ სამყაროს ღვთით გახსნილი კარია.
თენდება და მზე ამოდის ნარნარი
და იწყება ღვთაებრივი ზღაპარი,
ყოველივე სულს როგორ უხარია.
დასაწყისი სიცოცხლისა აქ არის
და მზეს – მერანს უფრიალებს ფაფარი,
აქ სიზმრების, ჩვენებების მხარეა.
თენდება და მზე ამოდის ნარნარი,
საქორწინო ღვინით სავსე მარანი
და სინათლის დაუშრობი ღვარია.
მლოცველებით გატენილი ტაძარი
და თევზებით დაჭორფლილი დარანი,
რეკავს მზე და აი, ეს მზე ზარია.
თენდება და მზე ამოდის ნარნარი
და სხმარტალებს, ისე, როგორც ჭანარი.

Villanelele 2

ღმერთო, მომეც სიჭიუტე ბალახის,
რათა დარდის ქვები გამოვარღვიო,
და მოგიტხრო, ქვის ქვეშ რა მაქვს ნანახი,
დავინახო, რა მაქვს გადასალახი
და ავწიო მაღლა ზეცის თაღიო.
ღმერთო, მომეც სიჭიუტე ბალახის,
რომ ვიბრძოლო მხოლოდ შენი კარნახით
და ქვითინი სიხარულში აღვრიო,
დავივინყო, ვინა ვარ და ან რა ხნის,
სიტყვის ოქრო ავრწყა ლექსის ჩანახით,
გავამარჯვო მხოლოდ აბრი საღიო.
ღმერთო, მომეც სიჭიუტე ბალახის,
დაე, მქონდეს მეც სიმაღლე არა ხის,
მაგრამ ვიყო ძლიერი და ლაღიო,
გავიხარო გახსნილ ზეცის დანახვით,
დავინახო, რა მაქვს გადასალახი
და შევამკო გაზაფხულის ბაღიო.
ღმერთო, მომეც სიჭიუტე ბალახის,
რომ მოგიტხრო, ქვის ქვეშ რა მაქვს ნანახი.

*** * * (ცად ჩანს დარის ნიშნები...)**

ცად ჩანს დარის ნიშნები,
დაფრინავენ გედები.
ზღვაო, ნუ დაგვიშრები!
მტკვარო, ნუ დაბერდები!

ქარმა თავისუფლების
დროშა ააფრიალა,
გველოდება სუფრები,
ვით ირემი – იალაღს.

იყვავილეთ, ვარდებო,
მარადმწვანე ტყეებო
და ბლებო საადრეო,
გაზაფხულის ტყვეებო!

მორჩა, გამოიდარა,
წვიმაშიც კი დარია,
ჟღერს ათასი გიტარა
და ეს გულს უხარია.

ჭიკჭიკებენ ჩიტები,
გალობს დედა-ბუნება,
გვილოცავენ ტიტები
სამშობლოს დაბრუნებას.

ზეცა მოწმენდილია,
არსაით ჩანს ღრუბელი,
მკვდრეთით აღდგა ილია,
მომსწრე თავისუფლების.

ცად ჩანს დარის ნიშნები,
დაფრინავენ მტრედები...

ზღვაო, ნუ დაგვიშრები!
მტკვარო, ნუ დაბერდები!

*** * * (ყველა მოდის, ვინც არ მიყვარს...)**

ყველა მოდის, ვინც არ მიყვარს,
და ვინც მიყვარს, ის კი არ ჩანს.
მინდა ვუთხრა ერთი სიტყვა,
რაც რომ ჯერ უთქმელი დამრჩა.

წავიდა და დაიკარგა,
უცნობია გზა და კვალი.
სახილველად აღარ ვარგა,
რასაც ახლა ხედავს თვალი.

რატომ მაშინ არ ვუთხარი,
როცა იყო აქ, ჩემს გვერდით?
აღარ მაქვს იმედი ხვალის,
ველარ ვწერ, როგორც რომ ვწერდი.

ჩაქრა ცეცხლი, ჩაინავლა,
მისი ლანდიც აღარ მოჩანს.
სხვა ლანდები ჩანან მრავლად,
ის კი აღარ... გაქრა, მორჩა!

ყველა მოდის, ვინც არ მიყვარს,
ვინც კი მიყვარს, აღარ მოდის,
დრო გაჩერდა, წინ ვერ მიმყავს
სიტყვა, ვით სიზიფეს ლოდი.

*** * * (ვწერ, და არ ვიცი, რას...)**

ვწერ, და არ ვიცი, რას.
თვითონ წერს ჩემი ხელი.
სული ერევა ცას
ოცნებით გაუმხელით.

ყველა ცაშია ახლა,
გარდაიცვალა ვინც კი.
და მეც მივინვე მაღლა,
თუმც ეს გზა აღარც ვიცი.

ციდან ჩამესმის ხმა,
ჭიკჭიკს რომ მოჰგავს ჩიტის.
მიჭირს ხმამაღლა თქმა,
ტყუილი უფრო მიჭირს.

ბედნიერი ვარ დღეს,
მაქვს სამყოფელი ორი –
ვგავარ აღმართულ ხეს
ცასა და მიწას შორის.

აჰა, მოვიდა ლექსი,
სიცოცხლე გამიგრძელა,
გამიძლიერა ფესვი,
როგორც ოდესღაც, ძველად.

ვწერ, ვეფერები სიტყვებს,
მივერეკები ცისკენ
და მხოლოდ ის შევიტყვე,
ბოლო არა აქვთ ცისკრებს.

ვწერ, და არ ვიცი, რას.
მაინც ვარ ბედნიერი.

სული მიელტვის ცას,
და ცაა ათასფერი.

*** * * (ერთხელ ვიხილე ველი ვრცეული...)**

ერთხელ ვიხილე ველი ვრცეული,
იყო სიზმარი, თუ იყო ცხადი
არ ვიცი, არა, გარდარეული
დაფარფატებდნენ პეპლები მარდი.

იქ იყო წყაროც, წყარო ლიკლიკა,
ბალახებს შორის მიმომდინარე.
იყო ბუღბუღიც, უფლის შიკრიკი,
ამოდოდა ახალი მთვარე.

და ფერიები ცეკვავდნენ ველზე
და სალამურის ხმებიც ისმოდა.
წყაროში ბინა დაედოთ თევზებს
და მუხა ლამაზ ფოთლებს ისროდა.

მომაჯადოვა მე ამ ხილვებმა,
დავდუმდი და ხმა ვერ ამოვიღე.
წვიმის წვეთები, ვით გაფრთხილება
ძახილის ნიშნად აჩნდა შორ ციხეს.

ერთხელ ვიხილე ველი ვრცეული
და სამუდამოდ იქ დამრჩა გული.
ფერიებს შორის ვარ გარეეული
და არ ჩანს, არა, ჯერ დასასრული.

*** * * (ბედნიერი ვარ, მობრძანდა ლექსი...)**

ბედნიერი ვარ, მობრძანდა ლექსი
და ფეხზე ვდგები ლექსის წინაშე
და უცნაური რიგით და წესით
მივერეკები სიტყვებს – ღვთის რაშებს.

ლექსით დაიწყო სიცოცხლე ჩემი
და არასოდეს არ დამთავრდება
და მელექსეთა კურთხეულ თემის
ვდგები მოწმედ და ვდგები თავდებად.

რა სიყვარულით ვწერ და ვკითხულობ,
და სიტყვებს ვმარცვლავ რა სიყვარულით!
იხარე გულო, იძგერე გულო
და დაამარცხე დარდი ფარული!

ვინ დამანათლა, ვიყო პოეტი
და ლექსებს, როგორც ყანას ვიმკიდე?
მე ამ ცხოვრების მიეთ-მოეთით
ლექსებს ვზიდავ და ტვირთად ვიკიდებ.

მობრძანდა ლექსი და გამახარა
და მომიტანა ბედნიერება.
ათიათასი გაჰქუხს ნადარა
და მამცნობს ლექსით არდაბერებას.

*** * * (შავი დღეების მიქრის გრიგალი...)**

შავი დღეების მიქრის გრიგალი,
ჩვენს შორის უკვე რამდენი დღეა.
უკვე ვარ ქარი, აღარ ვარ ქალი
და ვქრი იქ, სადაც კლდეა და ღრეა.

ო, განშორებამ დამასვა დაღი,
შუბლს სისხლიანი ვარსკვლავი მიმკობს,
და ცისარტყელას შვიდფერი თაღი
დაღლილი ხელით მსურს, რომ მოვდრიკო.

ნეტავ ვიცოდე, სადა ხარ ახლა
და გაგონდები ნეტავ, თუ არა.
ისევ მარტო ხარ, თუ ვინმე გახლავს?
ღელვამ შენს ზღვარსაც გადაუარა?

ტანჯვით ღამდება, თენდება ტანჯვით,
საით გეძებო, ნეტავ, ვიცოდე,
ძირს ვარსკვლავები ცვივიან მარჯნის,
უფალი ალბათ შემინდობს ცოდვებს.

კვლავ ისეთი ხარ, თუ შეიცვალე?
თუ ამ გრიგალმა შენც დაგიმონა?
ბედო, შავპირო, ცოტა მაცადე,
დავშალო ჯავრით შეკრული კონა.

შავი დღეები ერთმანეთს სდევენ,
ნეტავ მელირსოს გამოდარება!
ვებრძვი ამ დღეებს, ვით ზღაპრულ დევებს,
მისთვის, ვინც მიყვარს, და მეყვარება.

ხატია თორდუა

ოთახი

როცა იყო ოთახი ფართე,
კედლებს შორის მანძილს ზომავდი
და ბრაზდებოდი,
რომ კედლებს აქვთ თვალები,
აქვთ – ყურებიც
და არ აქვთ ენა.
როცა იყო ოთახი ფართე,
შენ დაიწყე კედლებზე წერა,
რომ გეთქვა ის,
რასაც ისინი არ ამბობდნენ.
და შემდეგ, როცა ივსებოდა ყველა კედელი,
როცა თვლიდი:
“საჭიროა სხვა რამე მითხრან ჩემმა კედლებმა”,
აკრავდი ქაღალდს,
და იწყებდი თავიდან წერას.
და შენ იმდენგზის ააკარი ნაწერს ქაღალდი,
რომ ოთახი დაჰატარავდა, ამოივსო
და კედლები ახლოს მივიდნენ ერთმანეთთან.
ახლა შესული ამ ოთახში უბრალოდ დგახარ,
წერისას ხელებს ველარ შლი,
როგორც ქარაფზე დგომისას,
ან ძლიერი ქარისას შლიდი, ფრენის იმედით.
მხრების ზომაზე კედლებია, უჰაერობა,
და ქაღალდ-ქაღალდ,
შრეებს შორის ჩანებილი შენი წარსული,
შენი ცხოვრება.
თავს კი ისე გრძნობ, როგორც კუბოში,
ჯერ კიდევ ცოცხალი რომ ჩაეწვინეთ.
ღიმილით გახსენდება, რომ ერთხელ,

საკმაოზე დიდი ხნის წინათ,
ოთახი იყო ფართე,
და მოდიოდი ოთახამდე ტყის გავლით,
სხვადასხვა ბილიკით,
რომ მაშინ ჯერ კიდევ არსად იყო გბატკეცილები.
გახსენდება...
და მაშინვე ბრუნდები იმ ადგილზე, სადაც იდექი,
სადაც ოთახის შუაგულია,
სადაც კედლებმა მოგიყვანეს.
უყურებ კედელს,
რომელმაც შემოსვლისთანავე გითხრა,
რომ გენატრება...
ადრეც და ახლაც
და ყოველთვის!
შენ გენატრება ის –
ვისი მხრებიც შენს კუბოში ვერ დაეტევა.

*** * * (შინ დაბრუნებისას...)**

შინ დაბრუნებისას,
სხვის სახლებში ხანგრძლივი
ან ხანმოკლე სტუმრობის შემდეგ,
გზად ერთ ქვას ვარჩევდი და ვიმგზავრებდი,
ჩემ წინ ფეხით ვაგორავებდი ან
სათუთად ხელში მეჭირა.
ახლაც თან მომაქვს,
იმ ადამიანივით,
ვინც ჩემთან ერთად უნდა ბრუნდებოდეს,
ან როგორც აზრი,
უპატრონო ძაღლივით პატრონს რომ მიგამსგავსებს
და ნაღვლიანად აგეკიდება.
ქვა თოვლის გუნდა არაა
გზაში რომ გაიზარდოს
ან დადნეს.
ყოველ ღამით,
როცა ფანჯრებს ვხურავ,
და იშვიათი სტუმრების –
ჩიტების შემოსვლასაც სახლიდან ვიცვილებ,
ვფიქრობ საძირკველზე,
სადაც ქვებქვეშ
მაკულატურასავით დაკუჭული
ადამიანები მოყვნენ.
ეს ჩემი ეზოც ქვებით სავსეა,
და ასე ვზივარ ხავსიანი ქვის ფანჯარაზე,
როგორც ჩიტი,
რომელსაც გალობა არ გამოსდის და
იმ ქვებთან დარჩა,
ბავშვებმა რომ არ ესროლეს შურდულებიდან.

*** * * (შენ გიყვარს სახლში დაბრუნება...)**

შენ გიყვარს სახლში დაბრუნება,
შინ ყოფნა – არა,
და ყოველ ჯერზე
იცხად – არ დაგხვდება, რასაც ელი,
რაც დატოვე, ისიც კი არ დაგხვდება.
მაინც ბრუნდები.

მაშინაც,
უჩრდილო მინდორში
როცა მიდიხარ,
გიხარია,
რომ იმ ლოდს ეძებ,
ერთხელ რომ მოიტანე
და დატოვე,
როგორც სანიშნე.
ხე, რომელიც ლოდთან დათესე, არ ამოსულა.
იქნებ ზედმეტი წყალი უსხით,
შენ, ცალკე – წვიმამ,
და განწყალდა ეს შენი თესლი,
მიწას მოეშალა.

იქ, სადაც ერთხელ საკუთარი თავი დათესე,
მხოლოდ ბალახია,
ხე კი მიწის ქვეშ გაიზარდა.
“არაფერი მაქვს გარდა წარსულის” –
იტოტება მიწისქვეშა ხე,
და გზადაგზა ცხედრებს ნახულობს,
შენ კი ამ მკვდრებს სიზმარში ხედავ,
და მოგბეზრდა ყოველ ჯერზე
საკუთარი თავის ექსპუმაცია.

შენი ფიქრები წარსულისაა.
უნდა გაერკვე,
სად შეცდი ან სად გაიმარჯვე,
ან რით დაიმსახურე
ეს... სიყვარული.
“არაფერი მაქვს გარდა წარსულის” –
დაბრუნებაა შენი მოძრაობა
და ასე,
ვერ ამოდიხარ ამ მიწიდან,
როგორც სიზმრებიდან,
როგორც წარსულიდან,
ვერ ამოდიხარ.

ტივტივა

პირველი ქვა ჩემს თავს ვესროლე,
რომელიც ტბაში ირეკლებოდა,
წყალი აიმღვრა,
ჩემი თავი – აღარ მინახავს.
ტბა გაიზარდა,
მე კი ცურვა ველარ ვისწავლე,
მხოლოდ ტივტივი გამომივიდა,
ტივტივი – როგორც არ ჩაძირვა.
შენ ვერაფერს ნაიღებ უკან,
შენ ვერაფერს ნაიღებ უკან,
რაც საკმარისად მძიმე აღმოჩნდა,
რაც ტბაში მოხვდა და ჩაიძირა.
ხანდახან ლოდებს ვემგზავრები,
ხელებს ვჭიდებ,
ასე მინდა ფსკერამდე ჩასვლა,
მაგრამ...
უჭაეროდ არ შემიძლია.
იქ ყველა ქვა მცნობს,
ყველა ლოდი,
იქ შენდება ჩემი სასახლე,
სადაც არასდროს ვყოფილვარ...
მე არასდროს შემეშინდება სახლის დაწვის,
ეს ნიშნავს –
მე ვერასდროს დავწვავ სახლს.
მესაუბრე იმ ღამეებზე,
მესაუბრე იმ დღეებზე,
იმ ნაპირებზე,
ბავშვობის ქვებზე,
ლოდები რომ გახდნენ თანდათან,

მესაუბრე,
სანამ მეც ქვად ვიქცევი,
სულ ერთია,
მაინც ვერაფერს წაიღებ უკან,
როგორც ველარ ვიქნები ბავშვი,
რომელსაც სჯერა –
ყვინთვას ისწავლის,
რომ ფსკერს ნახავს,
რომ ტბა ქვებით ამოივსება.

*** * * (მშობლები სხდებიან ბავშვებთან ერთად...)**

მშობლები სხდებიან ბავშვებთან ერთად
პატარა კარუსელებზე,
ხელს არ უშვებენ
გზატკეცილის გადაკვეთისას.
დამალვით კი
ბავშვები მარტოები იმალებიან,
მათ ვერ იპოვნი,
როგორც ვერასდროს გაიხსენებ,
რომელმა შენგანმა გამოიბა
ღრმა წყალში ლოდი.

*** * * (რა უნდა ქნა მაშინ...)**

რა უნდა ქნა მაშინ,
როცა ბღვის გადაფრენისას დაღლილი ჩიტები
შენი ნავის ნიჩბებზე ჩამოსხდებიან?

სანახაობა პურის შესახებ

რაფაბე

ქოთნის ყვავილები ჩამწკრივებულან,

წვიმა დაიწყო,

მათი საყვარელი სანახაობა.

მე ხელები კალთაში მიდევს.

აგრაფინა

დღეს დაგინახეთ,
შუქნიშანთან გადმოხვედით
(წითელი ენთო);
მძლოლს, რომელმაც თქვენ წინ მანქანის შეჩერება
ძლივს მოასწრო,
დაუყვირეთ, რომ ყურადღებით უნდა იარონ,
რომ სულ გაირყვნა და გათავხედდა ახალგაზრდობა.
არ მოგესალმეთ, აგრაფინა მასწავლებელო,
კარგად იყავით.
თქვენ ღვთისმოსავი გახდით ჩემ თვალწინ,
და მაშინათვე დაიწყეთ საუბარი ჯოჯოხეთზე
და ჩვენს ცოდვებზე, რომლისთვისაც მოგვეკითხება.
“გოგოებს თმა შეკრული უნდა ჰქონდეთ!”
ჩვენ თმას ვიკრავდით თქვენ გამო,
და კაბებს ქვემოთ ვექაჩებოდით,
(თქვენთვის კი მაინც მოკლე იყო):
“ხუთი დარტყმა სახაზავით ხელის თითებზე!
ბავშვი თუ არ დასაჯე, ხელიდან წავა.”
თქვენ სადღაც ცხოვრობთ,
რომელიღაც გზის გადაღმა,
თქვენ მარტო ცხოვრობთ
და თქვენი მუქი ფარდებიდან
(და თქვენი რკინის ფარდებიდან),
შუქი არასდროს გამოსულა.
ფიქრობთ ალბათ თქვენს ცხოვრებაზე,
რომელიც ისე შემოირტყით,
როგორც წელზე ირტყამდით ქამარს –
ზომაზე მჭიდროდ,
თავის დასასჯელად,

სურვილების შესაბოჭად,
თქვენი წელი ხომ მხოლოდ ქამრებს ახსოვთ..
ყოველ კვირას, როგორც წესი, როცა ბანაობთ,
თქვენ თვალებს ხუჭავთ,
რომ საკუთარი სხეული არ დაინახოთ?
თქვენ დაბერდით, აგრაფინა მასწავლებლო,
ახლა ალბათ ბედნიერი ხართ,
თქვენთვის ახლა ხომ სულერთია თქვენი სხეული.
მანამდეც კი,
თქვენთვის დაბანა ჭუჭყის ჩამორეცხვა იყო მხოლოდ,
უხეში ჩამორეცხვა უხეში ღრუბლით,
არავითარი სიამოვნება,
და თუ შემთხვევით,
ბანაობისას საკუთარ სხეულს ნაზად შეავლებდით ხელს,
სამჯერ ითხოვდით შეწყალებას,
ნაჩქარევად იწერდით პირჭვარს?..
მითხარით, აგრაფინა მასწავლებლო,
როცა ლოცულობთ, მართლა ლოცულობთ?
მარხვას ინახავთ?
მერედა კომუნიზმი?
მე ველოდებოდი შუქნიშანზე მწვანე ფერის ანთებას,
დახეული ჭინსებით,
შეფერილი ტუჩებით და
გაშლილი თმით,
თქვენ ვერც მიცნობდით და ეს კარგია..
არ მოგესალმეთ
(თქვენ შემოსვლაზე მთელი კლასი ფეხზე დგებოდა),
კარგად იყავით, აგრაფინა მასწავლებლო.

მარიამ კაკაშვილი

წერილი...

სანამ გათენდება და სახელოსნოში, როგორც შეციებული ბარტყი – ბუდეში, ისე შეიყუჩები, შუბლს შუბლზე მოგადებ, მთელი დღის ამბები უნდა მოგიყვე:

როგორ ვკითხულობდი ზღაპრების წიგნს მეტროში, როგორი ჯადოსნური კაბა ეცვა ქალს კაფეს კუთხეში, რომ აქ მატარებლებს უგვიანდებათ შემოსვლა სადგურში, ადამიანები კი ელიან მძიმე ჩანთებით და მძიმე დარდით...

რომ აქაურ სასაფლაოებზე წვრილ-წვრილი ყვავილები იზრდება, ცისფერი,

რომ ამ ქალაქში ხეებს წელში ჭრიან და მათ ადგილას ცემენტის ურჩხულებს აშენებენ,

რომ ჰაერში მუდამ ტრიალებს ზღვის სუნი და ეს ჩემი ლურჯი ჩვევაა,

მტვერივით ავიკრა მკერდზე ზღვიდან მონაბერი ჰაერი.

რომ ტროლეიბუსის მავთულიდან სევდით მღერის თოლიების მწკრივი.

მე მესმის მათი ხმა, მათი ტკივილი.

ისინი მკვდარ თევზებზე ჰყვებიან, რომელიღაც ნაპირზე რომ გარიყა ზღვამ აღმოსავლეთით.

რომ გემების ხმა ჩემი საყვარელი სიმღერაა,

რომ ბავშვობის სიზმრებში ყოველთვის მეზღვაური ვიყავი...

რომ როცა ტალღა მეძახის, ფეხაკრეფით მივდივარ მასთან, ვწვები ზურგზე და ვგრძნობ,

თითქოს წყლად ვიქეცი, თითქოს გავქრი.

მაღლიდან ათასი ქუჩა ჩანს, ვინრო და ფართო, ყვითელი და ლურჯი ლამპიონებით.

და მე გიყვები ამ ქუჩებზე მცხოვრები ადამიანების

სიმუქეს...

რომ აქ საღამოობით, როცა მზე მკრთალდება,
ქალები მთელ სხეულზე შემოხვეული შავეულით და
თვალებამდე აკრული ჩადრით კიბეებზე სხდებიან
და მუხლებს იკეცავენ.

მე არ მესმის მათი ენა, მაგრამ ვიცი, რა აქვთ საერთო.
ყველას თვალებში მოლოდინის ნაოჭებია,
სახლიდან გასული, არდაბრუნებული ქმრების
მოლოდინის.

მე ვიცი, რა ანუხებთ ამ ქალებს ძილში,
ობლად დარჩენილი, ცხელ ფუნთუშებს მონატრებული
ბავშვების ხვედრი.

ზოგჯერ ასეა, უსირცხვილოდ მინდება მივიდე და
მუხლებთან ჩამოვუჯდე,
მაგრამ ჩემი კაბები ფერადია, დარდი კი ჰაერივით
მსუბუქი...

ქუჩაში დღესაც უამრავი გარუჯული და დასვენებული გოგო
შემხვდა,

გრძელი, მზის სხივით შეფერადებული წვივებით.

მე კი აღარ ვიცი, რა ვუშველო ამ ამოღამებულ თვალებს და
რამდენიმე ზედმეტ კილოგრამს,

ასეთ დროს ყველაზე მეტად მრცხვენია შენი.

...და როცა ღამით შენი კანის სუნი შეშლილივით
მალვიძებს,

ვხვდები, ათას ასეთ დღეს გადავითან, მუხლებწართმეული
რომ ვბრუნდები სახლში,

ყველა სისუსტეს გავატოლებ, ყველა დაცემას
გავათანაბრებ, თუ ხერხემალზე მოგეყრდნობი.

და თუ მანძილს შენი სუნთქვიდან ჩემს სუნთქვამდე
ნულამდე დავიყვან,


თუ შენი თვალებით შევხედავ სამყაროს,

ჩემი მშრალი თვალებიდანაც გაჩნდება სინათლე...

3. კრიტიკა

დავით ჩიხლაძე

პრიმიტიული პური – ჩვენს დროს სახალხო მთქმელი ავანგარდისტი შეიძლება დასჭირდეს



პირველ რიგში, ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდა პოეტი ზურაბ პაპიაშვილი, როგორც უკვე აშკარად იკვეთება, სრულიად დაუფიქრებლად წერს. მართალია, ის ლექსის კონვენციურობის წესებს, გარკვეულწილად, მისდევს კიდეც, მაგრამ, მერე ადგება და ელემენტარულ პუნქტუაციასაც აღარ დაიცავს, არც რითმას ძიებაზე დახარჯავს დიდ დროს. მის პოეტურ გზაზე თავიდანვე

გამოკვეთილი ეს სახასიათო ნიშნები იმაზე დაგვაფიქრებს, ხომ არა გვაქვს მისი სახით საქმე სახალხო მთქმელთან, რომელსაც მაინც გადაუწყვეტია თავისი ლექსების ფურცელზე ჩაწერა და წიგნებად გამოცემაც?! როგორც ამ ყველაფრის შედეგი, ლექსებს ოდნავ ნაივური ელფერი დაჰკრავს, თუმცა კი, ძნელია დარწმუნებით თქვა, მისი ასეთი ხელწერა ხელოვნურადაა შექმნილი თუ ისეთივე ბუნებრივია, სახალხო მთქმელის დაუფიქრებელ, ზეპირად თხზვას მართლაც რომ შეიძლება ახასიათებდეს?! სწორედ ეს დაუდგენელი და არამკაფიო ზღვარი წარმოადგენს ზურაბ პაპიაშვილის ხელწერის გასაღებს, მისი პოეტიკის მთავარ და ორიგინალურ იარაღს, თუმცა კი, რადგანაც ახალგაზრდა ავტორთან გვაქვს საქმე, ცხადია,

რომ მისი ესთეტიკური მიზან-მიმართულება შეიძლება ბოლომე ჯერ არც იყოს გახსნილი და გამომჟღავნებული.

ავიღოთ, თუნდაც, მისი ლექსების თემატიკა, განა ესეც სახალხო მთქმელის ინტერესების თვალსაწიერში არ არის მოქცეული?! თავისი საუკეთესო ლექსები ზურაბ პაპიაშვილს სწორედ სოციალურ და ყოველდღიურ თემატიკაზე აქვს დაწერილი, ადამიანური ენით, ლაკონურად და ყველასთვის გასაგებად აქვს გამოთქმული, ფარისევლური მორიდებისა და ფილოსოფიური დასაბუთებების გარეშე.

მისი ლექსების ხასიათიდან და შინაარსიდან გამომდინარე, ეჭვიც არ გვეპარება იმაში, რომ ავტორი ლალი და უშუალო პიროვნება უნდა იყოს. ამის ერთ-ერთ მატერიალურ საბუთად ხომ ისიც შეიძლება გამოდგეს, რომ პოეტი ახერხებს ლექსში თავის თავზე გველაპარაკოს, ზოგჯერ ხანგრძლივადაც კი და ამით ოდნავაც არ შეგვანახოს. ხშირ შემთხვევაში, პოეტიკის ძირითად კანონთა თანახმად, ასეთი რამ სრულიად დაუშვებელი და სამარცხვინო იქნებოდა. როდესაც პროზის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ყურადღება სხვებისკენ მიმართოს, პერსონაჟთა გალერეა შექმნას, დაგვაფიქროს და, ცოტათი თუ ბევრად, გაგვართოს კიდეც, პოეზიამ ჩვენივე თავი უნდა დაგვანახოს, ჩვენი ხმა უნდა შეიერთოს და გვათქმევინოს ის, რის თქმასაც მარტონი ვერ შევძლებდით. ემპათიის, თანაღმობის ამ ნატიფ გზაზე კი წარმოუდგენელია წინ ავტორის ჰიპერბორიზებული სახე გადაგელობოს. მაგრამ, ზურაბ პაპიაშვილი, როდესაც თავის თავზე ლაპარაკობს, თითქოს გვესაღმება ამით, საკუთარ თავს წარმოგვიდგენს და სრული ნდობით გვართმევს ხელს, რის გარეშეც ვერანაირი მეგობრობა ვერ დაიწყება. მას მკითხველთან თუ მსმენელთან, რევერანსებისა და

ლამაზი ნიღბების გარეშე, პირდაპირ სათქმელზე უყვარს გადასვლა და ასეთი დამოკიდებულების კარგი მაგალითია ლექსი “არ მიყვარს”, რომელიც 2011 წელს გამოცემული მისი პირველი კრებულიდანაა, რომელსაც, უბრალოდ, “ლექსები” ჰქვია:

*არ მიყვარს მეტიჩრობა, ტაქსებით სიარული,
მიყვარს სეირნობა ფეხით, მხიარული...*

მსგავსი თემატიკური შტრიხები კრებულის მომდევნო ლექსებში ხშირდება, მძაფრდება კიდევ და ზოგჯერ ისეთი სახის სოციალურ კრიტიკას მოიცავს, რომელსაც ბევრი შეგნებულად რომ მოერიდება, ანდა ვერ მოახერხებს მათს ბუნებრივად ინტეგრირებას ლექსში:

*...სხვის დასანახად არ ვინერ პირჯვარს
და პირჯვრის შემდეგ არ ვუცქერ სხვას.*

პარადოქსი ის არის, რომ აქ გამონაგონი არაფერია, ყველასთვის ცხადია, რომ ჩვენი გარემომცველი სინამდვილის სრულიად რეალისტურ ასახვასთან გვაქვს საქმე და ყველაფერი მართლაც ასე ხდება, როგორც პოეტი აღწერს. ის არაფერს ამატებს, მეტაფორის შესაქმნელად კი მას სჭირდება ეს სანახევროდ უხილავი ველი ორ კომპონენტს შორის – რადგანაც, ერთის მხრივ, სრულიად პროზაული და დოკუმენტური სინამდვილის ფრაგმენტია ჩვენ წინაშე (“პირჯვრის შემდეგ არ ვუცქერ სხვას“), მეორეს მხრივ კი, ამ სინამდვილის აქამდე ვინმეს მიერ გამოუთქმელობა. სწორედ ეს უთქმელობა, “უხილაობა”, როგორც არამატერიალური საგანი (ან საგნის არქონა, მისი მხოლოდღა შესაძლებელი განხორციელების სივრცეში დარჩენა) ზურაბ პაპიაშვილის მიერ პარადიგმული მხატვრული სახის დინამიურ შემადგენელ ნაწილად არის გამოყენებული. ასე რომ, ზურაბ პაპიაშვილი, მისთვის ჩვენ

მიერ თავიდანვე მიკუთვნებული სახალხო მთქმელის სტატუსის პარალელურად, სრულიად აშკარად და, შეიძლება, სპონტანურადაც, ავანგარდისტული ესთეტიკის დამახასიათებელ ერთ-ერთ უტყუარ ნიშანს – პარადიგმატულ სახეობრიობას იყენებს (არსებული და ნაგულისხმები კომპონენტის შეპირისპირება) და არც რეალიზმის ფარგლებს სცილდება.

მეტიც, ის ერთდროულად ორმაგ ესთეტიკურ პოზიციას ამჟღავნებს აღსაწერი ობიექტის მიმართ – ჯერ როგორც პროტაგონისტი, რომელიც სხვის ქმედებას თავისი არქმედებით უპირისპირდება და შემდეგ, როგორც ავტორი, რომელიც უკვე ამ “უხილაობას” და აქამდე უთქმელობას უპირისპირდება, აღნიშნავს და აღწერს.

სინამდვილის მარტივ მოცემულობასთან დაკავშირებით ასეთი მრავალმხრივი შრეების არსებობა თავისთავად თითქოს იმას მიგვანიშნებს, რომ პოსტმოდერნისტული ესთეტიკის და პოეტიკის საწყისები სინამდვილეში ფსიქოლოგების საქმიანობის პრეროგატივას უნდა წარმოადგენდეს, ისევე როგორც ხელოვნების ადრეულ მიმდინარეობებთან დაკავშირებით აუცილებლად მიაჩნდათ ფსიქონალიზის საფუძვლების გაცნობა, მაგრამ, კვლავ ცხადი ხდება, რომ ფსიქოლოგები ნაკლებად ან საერთოდაც ვერ ართმევენ თავს მსგავს ამოცანებს და ისევ ხალხურ მთქმელს თუ შეუძლია, დაგვანახოს სინამდვილესთან ჩვენი ურთიერთობის დღევანდელი პრობლემატიკის გამოსავალი.

“უხილავი” სინამდვილის ასეთივე დოკუმენტურ და პრიმიტიულ გამოხატვას წარმოადგენს უსათაურო ლექსის ეს სტრიქონებიც:

*ვერ გაგიგია ამდენი ხალხი,
ქალაქში რატომ დადის უსაქმოდ
და ეს ქუჩები, ვინრო თუ ფართე,
რად გატენილა ასე უაზროდ...*

განა სრულიად ამოუხსნელ მოვლენად არ რჩება, თუ როგორ ხდება, რომ წვიმიან ან მოქუფრულ ამინდში ასეთი სიხალვათე სუფევს არა მარტო ქუჩებში, არამედ საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც და ნებისმიერ დაწესებულებაში, მაგრამ როგორც კი მზე გამოიხედავს, ხალხის ტევა აღარ ქალაქში და ნაბიჯსაც ვერ გადაადგამ თავისუფლად?! ვინმე, ალბათ, აგვიხსნიდა, რომ ხალხს მზიანი დარი ახარებს და იმიტომაც ხდება ასე, მაგრამ რა ვუყოთ მათს სამსახურებს, სასწავლებლებს, მათს სამოქალაქო ცხოვრებას საერთოდ – ნუთუ ეს ყველაფერი ამინდზეა ჰკიდია და ხალხს მხოლოდ სეირნობა ევალება?! და რატომ არ შეიძლება პოეტს ეს უკვირდეს და ამ გაკვირვებას თავის ლექსში უშუალო და მარტივ საშენ მასალადაც იყენებდეს? და თუ სხვა ამას ნამდვილად ვერ მოახერხებდა, ზურაბ ჰაპიაშვილისთვის ეს საქმე ჩვეული ამბავია.

როგორც დავინახეთ, ზურაბ ჰაპიაშვილის ლექსებმა მეც მომცა ჩვენს ყოფა-ცხოვრების ნიუანსებზე ჩემი დაკვირვებების გამოთქმის საშუალება, რასაც ისე ძნელად თუ მოვახერხებდი, – მე ხომ არც ფსიქოლოგი ვარ და არც სოციოლოგი, – რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ, მის მკითხველებთან ერთად, ვინც ამ ლექსების კითხვისას საკუთარი სათქმელის დავინწყებული ბგერები პოეტის ხმას შეუერთა და ჩუმად ააყოლა.

ზურაბ ჰაპიაშვილს არცთუ ცოტა რაოდენობით აქვს ლირიკული ლექსებიც, და ისინიც ისეთივე პრიმიტიული და

უშუალოდ გამოთქმულია, როგორც მისი სოციალური თემატიკის პოეზია. ეს ლირიკული ლექსები თითქოს სრულიად არალიტერატურულ ნარატივს წარმოადგენს. თუმცა, ზოგიერთ მათგანში მოულოდნელად წინ წამოწეული და მიზანმიმართულად ხაზგასმული პოეტიკა ვლინდება, რაც მკვეთრად ცვლის მათს მოსალოდნელ ესთეტიკურ ჩარჩოს და მკითხველს გაუცხოების გრძნობას და დაძაბულ ინტერესს უჩენს – ავტორი თამაშობს, თუ განიცდის?! იქნებ, რადგანაც თამაშობს, სწორედ ამიტომ უფრო მეტად განიცდის კიდევ? და თუ პოეტი ბოლოს მაინც თამაშის ფორმას ტოვებს, ამით ეს ლექსები უკვე ვიღაცის, – ავტორის ნათქვამი ლექსები კი აღარ არიან, არამედ სანყის ემოციასთან ასეთი გაუცხოების შედეგად მკითხველთა ლექსებად გადაიქცევიან. ესეც პაპიაშვილის ერთ-ერთ ტექნიკურ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, როდესაც ის გულუბრყვილო რეფლექსიას აკეთებს საკუთარ ემოციაზე, საკუთარ სიყვარულზე, მერე კი ის საერთო, ზოგადი ნარატივის ხარისხში გადაყავს.



შემდეგი უსათაურო ლექსი კარგ მაგალითს წარმოადგენს იმისა, თუ როგორი შეიძლება იყოს თანამედროვე ლირიკული პოეტური ნაწარმოების აგებულება და სტრუქტურა და ამიტომაც, გვსურს, რომ აქ ის მთლიანად მოვიყვანოთ.

ერთი ღამე, სიზმრის ნახვა,

*შენი სახე, გვერდით მახლავს,
უცნაურად მე თმებს გინწავ,
ხელით, ხელით, ხელით გიკრავ –
ვშლი და მერე ისევ გინწავ,*

*ვიკლავ, ვიკლავ გულის წადილს,
ვეფერები შენს თმებს ნატიფს,
უცბად მიგეძინა დაღლილს,
მეც შევეშვი ნანატრ წადილს,
უცბად ღამე სიზმარს გაჰყვა,
ხელი, თმებთან ერთად გაჰქრა,
ჩემი მზერა ვარსკვლავს აჰყვა,
წაჰყვა, წაჰყვა, შენს სახეს კი
მთვარის მზერა ისევ ახლდა, ახლდა,
მე კი ისევ, სიყვარული განმი-ახლდა.*

ეს მოტივი ბესიკის სატრფიალო პოეზიის შორეულ სტრუქტურულ გამოცხადებად და თანამედროვე გაგრძელებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუმცა, აქ არანაირ დასაშვებ სენტიმენტალურ ალუზიას და გამეორებას არა აქვს ადგილი. პაპიაშვილის ლექსში ლექსიკური ერთეულების გაძლიერება მათი მექანიკური გამეორების გზით მიემართება არა მხოლოდ მისი ან თუნდაც ვილაცის, ვთქვათ, პროტაგონისტის კონკრეტული სატრფოსკენ, არამედ პოეტისკენ მიმართავს ჩვენს მზერას (ხელით, ხელით, ხელით გიკრავ... ვიკლავ, ვიკლავ გულის წადილს... ჩემი მზერა ვარსკვლავს აჰყვა, წაჰყვა, წაჰყვა...), სატრფოსთან და პოეტთან ერთად აქცენტს აკეთებს მათ შორის არსებულ ურთიერთობაზე, მათ კავშირს და ამ კავშირის წარმავლობას და მარადიულობას უსვამს უფრო მეტად ხაზს.


ასეთი განმეორებადი ლექსიკა მომდევნო, 2012 წელს გამოცემულ კრებულშიც “აჩრდილი” გრძელდება. მაგალითად, ავიღოთ ლექსი “სიცოცხლე მიდის”, სადაც თვალნათლივ ჩანს, რომ ზურაბ პაპიაშვილმა ლექსიკური ერთეულების სერიული გამეორებების ეს უცხო და ავანგარდისტული გაბედული ხერხი საკუთარი ესთეტიკური



არსენალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად აირჩია. სტრიქონიდან სტრიქონში ასეთი სერიული განმეორებებით ივსება ლექსის ის ცარიელი სივრცე, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა ნასესხები სათქმელით და ტრაფარეტული ნარატივით ავსებულიყო, რის მაგალითებსაც არცთუ იშვიათად ვაწყდებით. ზურაბ

პაპიაშვილმა გადაწყვიტა, ენაშივე მიეგნო ხსნისთვის ჩვენი გარემომცველი ფუტურო შინაარსების კონტექსტში. მან ეს კომფორტული პირობები თვითონვე შეუქმნა საკუთარ თავს და ამით მოახერხა თავი დაეღწია ბობოქარი სიტყვების სროლის არასაჭირო აუცილებლობისთვის, როგორც ამის შესახებ ის ქვემოთ მოცემულ ლექსში გვამცნობს კიდევ:

*მიდის, მიდის, მიდის და მიდის
სიცოცხლე მიდის, რადგან არ იბრძვის,
რადგან არ ისვრის ბობოქარ სიტყვებს,
რადგან არ იტყვის, არ იტყვის არც ცუდს,
არ იტყვის არც კარგს, არ იტყვის ფიქრებს
რომელიც მიაქვს, მიაქვს და მიაქვს.
ჩუმად, ჩუმად, სიცოცხლე მიდის,
მიაქვს წუთები, მიაქვს წამები,
მოგონებებით განცდილი ღამე,
სავსე, სავსე, თასივით სავსე,
ოცნების ღამე მიაქვს და მიაქვს,*



*მიაქვს სურნელი პირველი
ქალის,
პირველი კოცნის, პირველი
ღამის,
მიაქვს, მიაქვს, სულყველაფერი
მიაქვს და მიაქვს.
ჩუმად, ჩუმად-თქო სიცოცხლე
მიდის,
ხელს ნუ შეუშლით,
ის ჩუმად მიჰქრის.*

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ
მეორე კრებულში
გამომჟღავნდა ზურაბ
პაპიაშვილის პოეტური სტილის
მიგნების ნიშნები, როდესაც მან

შესატყვისი ფორმების მოძებნა მოახერხა და ლექსების
სათქმელი გადაარჩინა. გაერთიანება დაიწყო სახალხო
მთქმელის პრიმიტივზმმა და ავანგარდისტის
ფორმალიზმმა. შედეგად კი, ისეთი ლექსები მივიღეთ,
რომლებიც თავიდანვე ნაცნობი და ახლობელი გახდა
ჩვენთვის და თან ეს სრულიად ახალიც იყო.

იმ შემთხვევებში, როდესაც მათ სოციალური მოტივი
ჩამოსცილდებათ, ეს ლექსები თითქოსდა სრულიად
არაფრისგან წარმოიქმნებიან, თითქოს ისინი შორეულ
დროში აღმოჩენილი ეგვიპტის უბრალო და მარადიული
ჰანგებია, იმდროინდელ, ჩვენთვის უკვე შორეულ, მაგრამ
მაინც ყველაზე კარგად მოტივებს რომ ინახავს. ლექსის
შინაგან ხმოვანობაში არქაულობის მიღწევა ადვილი
ნამდვილად არ არის, ასეთ შედეგთან მისასვლელი გზა
აუცილებლად გულიდან მოტანილ ყველაზე მთავარ

სათქმელზე და ყველაზე საკრალური, პირველყოფილი ფორმალურობის მიგნებაზე ერთდროულად გადის.

*ფიქრებით, ცაში,
გადაღლილ ტვინით,
უაზროდ ზღვაში
მივცურავ რიტმით,*

*პატარა ნავი
შევნიშნე შორით,
მიცურავს დარდით,
მზისაკენ ლტოლვით,*

*მივცურავთ ორნი,
ორივე ოხვრით,
ნავი მზისაკენ
მე კიდევ ბორგვით.*

დროდადრო, “უპანიშადების” ჰიმნების ინტონაციაც გაისმის, არსებობაში მარადიული საწყისის აღმოჩენა რომ ძალზე გახარებია:

*მე ვწერ
მე ვსუნთქავ
მე ვარსებობ,*

*სიყვარული გლოვობს
სიყვარულს უხარია
სიყვარულმა ჰქმნა...*

ერთ-ერთ ლექსს მინაწერად მარკუს ავრელიუსის ციტატა აქვს: – “ცხოვრება სიზმარია, საშინელი სიზმარი”. სხვა ციტატაები დანარჩენ ლექსებში აღარ გვხვდება. ეს თითქოს გზამკვლევაა, რომ პოეტი შორეული ეპოქიდან მოსულა სტუმრად. გადაუწყვეტია, მისთვის მშობლიური

სოფლური გარემოდან უყუროს ქალაქის უაზრობას, მისი ხედვის ჩარჩო პასტორალური იდილიის პრიზმაში აქცევს ქალაქში ნანახს და ამ საშინელ სიზმართან შეგუებაშიც ეხმარება. ზურაბ ჰაპიაშვილი სოფელზე როდი წერს. სოფლის ნიადაგზე მყარად დგომა მისთვის, უბრალოდ, მარადიულთან და უხსოვართან კავშირის სინონიმია. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზურაბ ჰაპიაშვილი არ არის ტრაფარეტული ისტორიული რემინისცენციებისა და პათეტიკური ლიტერატურული სენტიმენტების მსხვერპლი. მისთვის ისტორიული და მარადიული აქვეა, ხალხის წიაღში, დღევანდელ დღეშია მოქცეული, როგორც ეს ლექსში “მარადიულ უმრავლესობას” იკვეთება:

*ნუთუ ცხოვრება ისე გამწირავს,
რომ არ მაჩუქოს ჩემი ოცნება,
რომ არ გამაცნოს მზე ჰელიოსმა
და ზღვის ფსკერი კი პოსეიდონმა,*

*მერე კი ვითხოვ, კარი გამიღეთ, კარი გამიღეთ,
მე თქვენთან მინდა!..*

*კარი გამიღეთ, რომ ვეზიარო მარადიულ უმრავლესობას,
მე თქვენთან მინდა!..*

*კარი გამიღეთ, რომ დავივიწყო, ამ ქვეყნიური მძიმე
კოშმარი,
რომ სამუდამოდ თქვენთან ერთად ვიყო ცოცხალი.*

ერთი სიტყვით, ზურაბ ჰაპიაშვილი ლამის ერთადერთი პოეტი აღმოჩნდა ახალ თაობას შორის, რომელმაც მიწაზე დგომა შეძლო და წერისას ჰაერში არ აჭრილა, ხელშესახებ ცხოვრებას არ მოწყვეტია. შეიძლება ბევრს არ შეუმჩნევია, რომ ავანგარდისტი მწერლები, მათ ვისაც ხშირად ბრალს სდებენ ყოველდღიურობისგან გაუცხოებაში, ყოველთვის

ხალხოსნები იყვნენ. თავისი ფორმალისტური პლატფორმით ისინი მატერიას არასოდეს გაურბოდნენ, არ ეშინოდათ მისი, პოეტურ ძალას სწორედ დღევანდელობის, აქ და ახლას მარადიულობაში ხედავდნენ (თუ, რა თქმა უნდა, რეალობასთან მეტად შეხების სურვილისა და სხვადასხვა კაპრიზების გამო უნებურად ძალზე მარცხნივ არ გადაიხრებოდნენ და ფორმალისტურ ესქპერიმენტებში არ ჩაიძირებოდნენ). თუ კარგად დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ყველა კლასიკოსი უპირობოდ ფორმალისტია და პირველ რიგში სწორედ მატერიიდან, მასალიდან, ენიდან გამოდის, იქ პოულობს პოეტურობის, ღმერთისა და ხალხის სათქმელს და თანამედროვეობის შესატყვის სულს. ასე იყო ანტიკურ დროშიც და ასეა მე-20 საუკუნეშიც, როდესაც პიერ პაოლო პაზოლინი წერდა პასტორალურ ჩანახატებს და მეამბოხე, ხალხოსნურ ლექსებს; დღესაც, როდესაც ხელოვნების მარქსისტული ესთეტიკა საბოლოო პლატფორმად დამკვიდრდა დასავლეთის მონინავე სახელოვნებო სკოლებსა და მიმდინარეობებში.

რამდენიმე წლის წინათ არქიტექტურის თეორეტიკოსი შოთა ბოსტანაშვილი მეუბნებოდა, რომ სათქმელი ამოიწურა და პოეტს აღარაფერი დარჩენია, თუ არა წმინდა ფორმაში თავით გადაშვება. ის თითქოს ამგვარად მიჭერდა მხარს, როდესაც იმ პერიოდში გამოვაცხადე, რომ ლექსებს აღარ ვწერ მეტი. ნაწილობრივ ვეთანხმებოდი, მაგრამ, მეორეს მხრივ, ვიცოდი, რომ სათქმელი ვერასოდეს გაქრება. ნებისმიერი ფორმის საბოლოო მიზანი ხომ სწორედ მისი დაბადებაა. და არც აღმოჩნდა ასე, რაც ზურაბ პაპიაშვილი კრებულებმა თვალნათლივ და იმედის მომცემად დაადასტურა. ახალმა ფორმამ, უბრალოდ, სულ სხვა მხრივ გამოავლინა სათქმელი:

მე მეზარება დილით ადრე
უაზრო ლოცვა,
განზე გავდგები,
და არ ვინატრებ განსხივოსნებას,

პირდაღებული, დაჩოქილი
მე არ მოვითხოვ,
მესაზე მდგარი,
მუცლის გაძლომას...

მე არ ვილოცებ დილით ადრე,
არ შევლონდები,
ვერ შევანუხებ დილის მესას,
და განვშორდები.

ასეთი მძაფრი თემატიკა არსებულა ჩვენს გარშემო.
მაგრამ, როგორ გინდა მოახერხო ასეთი პრიმიტიული
კლიშე-სენტენციების პოეტური რაკურსით წარმოჩენა და
ამით მათი სიმართლის რეაბილიტაცია? ამას მხოლოდ
ენის უბრალო პირველწყაროსთან მიახლოებით თუ
შევძლებთ, სხვა მხრივ კი, დეპრესიული და გალამაზებული
სიტყვები შეგვრჩება ხელთ.

ეს მცირე ჩანახატები შესანიშნავ სურათებს წარმოადგენს
ახალი თბილისის ყოფის:

ხალხს უხარია,
ხალხი ზეიმობს,
ჰკოცნიან ყველას,
ზოგიც ქეიფობს,

უტვინო სახე
უაზრო განწყობა,
არა გონება,
მხოლოდ გართობა...

დღეს თუ ვინმემ მოახერხა თავისი კოლეგებისთვის ლიტერატურული მაგიდა გაეწყო და პრიმიტიული პურის გასატეხად სუფრაზე თავის გვერდით გულდიად მოეხმო, ერთ-ერთი სწორედ ზურაბ პაპიაშვილია.

*...გზად მარკეტს ნახავ,
სადაც მდიდრები
ფულებს ითვილან,
კარებთან მდგარი
მათხოვრები, ჯიბეებში,
ხურდებს იყრიან,
შენ დაინახავ
მდიდრულ მანქანებს,
და მანქანაში გამეფებულ
სასტიკ ცხოვრებას,
მანქანის გარეთ,
დეპრესიის სურათს შეხვდები,
და შენს თვალებში,
ამ სურათების გალერეა,
დიდხანს დარჩება,
ამასობაში დაგავიწყდება,
რომ მშიერი ხარ,
და მადღრებისკენ წასანვლელი
გზაც კი გაქრება.*

ადვილი არ არის წერო პოეტური სოციალური კრიტიკა, ინტელიგენტურად, შინაგანი სიმშვიდითა და ბუნებრივი მორიდებით, რათა სილამაზე სადღაც მაინც რჩებოდეს, სადღაც მაინც იგულისხმებოდეს. ხატავდე, კი არ ამბობდე და არც ამოთქვამდე. არანაირი ყურის მომჭრელი გოდების ტონს აქ ადგილი არა აქვს. სად მოიპოვა ზურაბ პაპიაშვილმა ასეთი ქნედითი სიმშვიდის ჯადოსნური გასაღები?

*ისევ მიდის წყალზე ერთი,
დღე დღეს მისდევს...
წყალი ისევ მე ამომაქვს...*

*...დღე დღეს მისდევს,
ისევ მიჭირს დაშორება,
შევეჩვიე ამ სოფელს და
მიჭირს მასთან განშორება.*

კონდესირებული სათქმელი, ცოტათი ჰაიკუს ეკვივალენტური, არის ის მხატვრული იარაღი, რითაც ის გზის მშვიდად გააგრძელებას და ახალ შემხვედრ საგნებთან და ისტორიებთან ურთიერთობას ახერხებს. 2016 წელს ზურაბ ჰაპიაშვილის მესამე პოეტური კრებული “დრო იყო უცხო” გამოდის.

*მე დღეს ვიარე ქუჩაზე მარტომ,
ვნახე ერთობა და ვნახე გაყრა,
ქუჩის ბოლოში მე ვნახე ჩარჩო
და ჩარჩოს გვერდით უსახო აბრა.*

*არავინ იდგა ნაცნობ ადგილას,
არც შესაფერი იყო განწყობა,
ვიღაც მოუკლავთ სწორედ ამ დილას,
ვიღაც მიეცა თურმე განცხრომას.*

(“ქუჩის ჩანახატი”)

ზურაბ ჰაპიაშვილისთვის ისევ ძველებურად უცხო რჩება პრესიდან ან ტელევიზიიდან ცნობიერებაში მძიმედ დალექილი ფრაზებისა და თემატიკის მიმოქცევა. არც ამასთან ხელოვნური ჭიდილი – ეპატაჟის სახით – სჭირდება მას და ამიტომაც, მოულოდნელი, გაბედული და მკვეთრი გვეჩვენება მისი ნათქვამი და განცდილი სიტყვა:

არ მჯერა, თუ გინდათ დამხვრითეთ ტყვიებით,
ამ ხალხის ცოდვით და ვარამით ვინვები,
ატყუებთ ყველაფერს, სადამდეც გასწვდებით,
ტყუილში ხომ მაინც არასდროს არ ტყდებით,
ატყუებთ დილას და ატყუებთ საღამოს,
იცით რომ სიყალბე მუდმივად გაართობს.
მშიერ-მწყურვალთათვის ლოცვა იკითხება,
ამ დროს კი ქუჩაში ბავშვი იყინება,
სიმწარეს გაუგეს გემო და შეჭამეს,
ერთი დღე მეორეს ჩვეულად შემატეს.
არ მჯერა სახალხო ზეიმის, აბსურდის,
ვიღაც “დიდი კაცი” საწყლებს რომ დაუვლის,
პირობა პირობად... და მერე შიმშილი
და მაინც სად არის, სად გაქრა სირცხვილი?!
არ მჯერა, ბატონო, მე თქვენი მორალის,
არ მჯერა, თუ გინდათ საჯაროდ მომკალით.

(“სახელმწიფო პოლიტიკოსებს და ეკლესიას”)

რატომ ჩნდება მოცემული ლექსის თავსა და ბოლოში
ასეთი ფრაზები: “თუ გინდათ დამხვრითეთ ტყვიებით” და
“თუ გინდათ საჯაროდ მომკალით”?! იმიტომ ხომ არა, რომ
ასეთ თემატიკაზე წერა უკიდურესად ტაბუდადებულია და
ეს პოეტმაც კარგად უნყის?! მსგავსი ტაბუს დარღვევა უკვე
მორალისტური ეპატაჟი და ინტელექტუალური ფუფუნების
საგანი კი აღარ არის, არამედ სასიცოცხლო გარემოსათვის
საჭირო სამოქმედო პირობაა პოეტისთვის. სიყალბის
შეუვალობის მთავარი მიზეზი ხომ ის არის, რომ
თვალთმაქცობაში ნებისმიერი ადამიანი შეიძლება
გამოვიყვანოთ დამნაშავედ, ოღონდ კი თვითონ
სიყალბისა და თვალთმაქცობის მოუშორებელ საერთო
ჩვევასა და სწეულებას არ უნდა შევებოთ. ცხადია, ყველაზე
მთავარი ინსტინქტისათვის – ლუკმა პურისთვის ხდება

ყოველივე. და როდესაც აქ ყველაფერი წესრიგშია,
მხოლოდ ამის შემდეგ დაისდგურებს ყველა შემდეგი
თავისუფლებაც, რაც დღეს უადგილო, სასაცილო და
არაზუსტი ეპატაჟური ქმედებების გასართობ საგნად
ქცეულა.

*მარად უაზროდ ვიცდით და ვიცდით,
ველით და კარებს ვტოვებთ გაღებულს,
რაც არ არსებობს, არ მოვა, ვიცით,
მივტირით ისევ ქარის წაღებულს...*

*და მოვა მალე უცხო დროება,
რომელიც ჩვენგან იქნება შორი,
კვლავაც იქნება მოთქმა, გოდება,
სად იყო გზები ყველაზე სწორი.*

პოეტი, რომელიც სხვის გასაჭირზე წერისას საკუთარ თავს
უკანა პლანზე გადაწევს, იმასაც ადვილად შეძლებს, რომ
საკუთარ საფიქრალზე საუბრისას “სხვების” გვერდში
ამოყენება არ დასჭირდეს, თავს არ შეაფერებს ზოგად
“სხვას”, ღიად იტყვის რამაც პირადად შეაწუხა. მხატვრულ
ლიტერატურაში ეს ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა,
რისკენაც მწერალი უნდა ისწრაფოდეს. ასეთი სათქმელის
გარეშე მწერლობა ზიზილ-პიპილების არაფრისმთქმელ
კოლექციად იქცევა.

*მოვიდა დედაჩემი და მოიტანა
სიმწრის პენსიით ნაყიდი სარჩო.
მოვიდა და მოიტანა ცუდი ამბავი,
რომ ობოლი ბიჭი მოკლეს,
რომელსაც მხოლოდ ფეხმძიმე ცოლი დარჩა.
მოვიდა დედაჩემი და პირველ რიგში
კალენდარს დაუნყოფურცვლა,
რადგან ამა თვის 14 რიცხვიდან,*

*(ანუ ის რიცხვი, როცა პენსიას იღებს)
უნდა გადათვალოს დღეები, რომ მისი თანხა,
მომავალი თვის 14 რიცხვამდე გვეყოს.*

*...კიდევ უფრო საამაყო ამბავი,
რომ პენსიონერმა დედაჩემმა,
ჩემს “ბირჟავიკ” მეგობრებს
ერთი ბოთლი არაყი აჩუქა.
მოვიდა დედაჩემი და გადამიშალა გული,
რომ დაღლილია ჩვენი მეზობელი ნანას
საარჩევნო აგიტაციით,
რომ არჩევნებიანო ერთადერთი გამოსავალი
ქვეყნის გადასარჩენად.*

*მრცხვენია, რადგან მოვიდა დედაჩემი და
უკვე ეს მერამდენედ შემრცხვა...
შემრცხვა არა ლექსის, არამედ დედაჩემის.*

(“დედის მოსვლა”)

ზურაბ ჰაპიაშვილის მეტყველებაში პროზაული ელემენტიც უხვადაა, რაც ხალხური “პოეტური” ფრაზეოლოგიისა და სინტაქსის შემოტანაში გამოიხატება. ქვემოთ მოყვანილ ლექსში გვხვდება დამახასიათებელი ტავტოლოგიური რითმები, როგორიცაა უსამართლობა-უკუღმართობა, სახლამდე-კარამდე. ამით სულად არაფერი შავდება, პირიქით, პოეტი თითქოს გამტარი და საიმედო შიკრიკი გამხდარა, რომელსაც საქმის გადაუდებლობიდან გამომდინარე საკუთარი თავის გალამაზება აღარ ადარდებს.

*შიმშილობენ ისევ ისე საწყლები,
ზღვარს გადადის უკვე უსამართლობა,*

საჭმელს ჭამენ ჩუმად ისევ ლაჩრები,
პიკს ავიდა უკვე უკუღმართობა,

“დღეში ერთი პური მაინც მომეცით”,
დამშეულთა ლოზუნგი ხომ ეს არის,
სიკვდილს უნდა დაელოდო მოთმენით,
სიკვდილიც ხომ დალოდების წრე არის.

...დაისვენა შიმშილისგან მოხუცმა,
აღარ ეყო ძალა მისვლის სახლამდე,
აღბათ გარეთ საჭმლის თხოვნა მოუნდა,
ვერ მივიდა უბედური კარამდე.

(“შიმშილი”)

აქვე, მეორე, ასეთივე ფატალური ლექსიც შეგვიძლია
ვნახოთ და დავაკვირდეთ, თუ კონდენსირებული
ტროპებით და როგორი სიმარტივით მოგვეწოდება
უკიდურესი დრამატული მდგომარეობის სურათი:

კაცმა, რომელმაც არარა ნახა,
უცბად გადახტა, თავი მოიკლა,
ცივ ადამიანს მიემალა და
საკაცობრიო ვალი მოიხსნა.

არც ხალხი იყო მასზე მტირალი,
“რატომ ხტებოდა”, “ვინ აძალებდა”?!
იყო ცინიზმი, სხვათა ტრიალი,
თვითმკვლელობას რომ მკვდარს ავალებდა.

კაცმა, რომელმაც სიცივე ნახა,
ველარ გაუძლო, თავი მოიკლა,
ადამიანი რომ ასე ნახდა,
ადგა და თავი თვითონ მოიხრა.

კრებულის ბოლოს ზურაბ ჰაპიაშვილი ასეთი სიტყვებით მიმართავს საკუთარ თაობას:

*იქნებ დამთავრდა დღეს შენი სიტყვა,
აღარაფერი დაგრჩა სათქმელი,
იქნება ღმერთთან დამთავრდა კითხვა,
იქნებ იღება უკვე სარკმელი...
გამოგონილი იყო კარები
და ბრიყვი იყო ყველა მრბოლელი.*

(“ჩემს თაობას”)

გამოგონილი კარიდან ზურაბ ჰაპიაშვილი არ შემოსულა. ამიტომაც, მას ჯერ კიდევ არაერთხელ მოუწევს ყველაფრის თავიდან დაწერა, გადაწერა, გაუმჯობესება თუ გაუარესება, როგორც ამას დრო და სიტუაცია უკარნახებს და დარწმუნებული ვართ, რომ ის ყოველთვის ბეჭითად და დაუზარებლად დაუგდებს ყურს ხეების ფოთლების უცხო ენას და ადამიანთა სიტყვებს, სიმართლითა და სიცარიელითაც აღსავსეს.

ღელა კოდალაშვილი

რა უნდა ევროკავშირს ლიტერატურისგან

(ევროკავშირის ლიტერატურული პრემიის ლაურეატები)

ადრე “ახალი საუნჯეც” გამოეხმაურა თურქეთში ქურთული მოსახლეობის პრობლემებს: ერთი მხრივ თურქების მხრიდან მათი შევიწროება, ხოლო მეორე მხრივ თავად ქურთი მოსახლეობის საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ გამოხატული ვანდალური ადათ-წესები, აღშფოთებას რომ იწვევს. ქურთები ათწლეულების განმავლობაში პარტიზანულ ომში იყვნენ ჩაბმული თურქების იმ დისკრიმინაციული პოლიტიკის გამო, რომელსაც მათ მიმართ ახორციელებდა და დღემდე ახორციელებს თურქეთის ხელისუფლება. სწორედ ამ მიზეზით დღემდე ათიათასობით ოჯახი ხან ევროპას აფარებს თავს, ხან ახლომახლო დიდ ქალაქებში იშლება, რომ როგორმე მიზანმიმართული წნეხი აიცილოს თავიდან. მათი ევაკუაცია უკანონო და ძალადობრივი იყო ყოველთვის, როცა ისინი დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ. და ეს ყველაფერი ხდებოდა მძიმე სამხედრო საშუალებების ფონზე – იყენებდნენ დაჯავშნულ ტექნიკას, ვერტმფრენებს, ანადგურებდნენ მათ კულტურას, მეურნეობას, ბაღებს, პირუტყვს, წვავდნენ სახლებს. ვინც დეპორტაციას ეწინააღმდეგებოდა, მათზე ძალადობას მიმართავდნენ. აწამებდნენ და ხოცავდნენ კიდევ. ბევრი უგზოუკვლოდაც ქრებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მის მიმართ უკანონო ქმედებებს ჰქონდა ადგილი. ეს იყო გასული საუკუნის მიწურულამდე. მაგრამ გარკვეულ პრეცედენტებს 2000-იანი წლების მერეც აქვს ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს მათ უფლებებს, დღეს მაინც იჩაგრება ეს ხალხი – 40 მილიონ

ადამიანს არა აქვს საკუთარი სახელმწიფო და დღემდე ისრისება სხვადასხვა სახის რეპრესიებით თურქული ხელისუფლების მხრიდან.

ალბათ სწორედ ამ მწვავე თემის მიუკერძოებელი ასახვით მიიქცია ევროკავშირის ლიტერატურული ჟიურის ყურადღება თურქი მწერლის, ჩილერ ილჰანის წიგნმა, “გადასახლება“, რომელმაც 2011 წელს აიღო ეს ლიტერატურული პრემია და წელსღა ითარგმნა ქართულ ენაზე. ნოველებისგან შემდგარი ეს წიგნი თურქულიდან ქართულ ენაზე ნანა ჯანაშიამ თარგმნა და ევროკომისიის მხარდაჭერით გამოსცა გამომცემლობა “აგორამ“. ტექსტი სადაა და გამომწვევი მხატვრული ხერხებისგან, სტილისტური თამაშებისგან მაქსიმალურად დაცლილი. იკითხება იმის შეგრძნებით, რომ ეს ყველაფერი ქართულ ენაზეა დაწერილი და არანაირ თარგმანთან არ გვაქვს საქმე. უბრალო, საყოფაცხოვრებო ენა, ალაგ-ალაგ დრამატიზმით და სენტიმენტებითაა დატვირთული, რადგან მთხრობელები დასახიჩრებული, დაღუპული, დაზიანებული, საკუთარი ქვეყნიდან და თავიდან გადასახლებული ადამიანები არიან. მწერალი ათეულობით ხმას აჟღერებს თავის ამ წიგნში. ისმის ზოგჯერ მოთქმისა და ტირილის, ზოგჯერ შურისძიებით ან რისხვით სავსე, ზოგჯერ კი ბედს შეგუებული არსებების განწირული აღსარებები. ვფიქრობ, რომ მთარგმნელმა დიდი შრომა გაწია, ეს ბუნებრივი ტონალობა, ეს ნამდვილი სათქმელი რომ ქართველ მკითხველამდე მოეტანა.

ერთია, მწერალმა მგრძნობიარედ ასახოს რეალობა და მეორეა, ეს მწერალი სწორედ იმ ერის წარმომადგენელი იყოს, ვისი ხელისუფლებაც ასე ავიწროებს სხვას. თურქი ავტორის თვალით დანახული რეალობა გაცილებით შთამბეჭდავია და მეტად დამაჯერებელს ხდის

ყველაფერს, რასაც აღწერს. “გადასახლება“, როგორც უკვე ვთქვი, მცირე ნოველების კრებულია, რომელიც, შეიძლება, ერთგვარ რომანადაც აღიქვას. წიგნი ხუთ თავადაა დაყოფილი და თითოეულ თავში რამდენიმე ნოველაა. წიგნი ერთიანი ტექსტის შთაბეჭდილებას იმითაც ქმნის, რომ დასაწყისში ან შუაში მოთხრობილი ამა თუ იმ ისტორიის გამოძახილი მომდევნო თავში გხვდება, ხან კი ერთი და იმავე ისტორიის მოთხრობელი იცვლება და ამბავსაც სხვადასხვა რაკურსიდან ვხედავთ.



ჩილერ ილჰანი არ მიმართავს მხატვრულ ხერხებს. პირიქით, ცდილობს, რაც შეიძლება, ბუნებრივი იყოს და ნოველები ინტერვიუებს დაამსგავსოს. მისი წიგნი ქრონიკაა; იმ ადამიანების ჩანაწერებია, ვინც გადასახლებას, ოჯახის წევრთა განაჩენს თუ სხვა საშინელებას ემსხვერპლა. ძირითადად მსხვერპლთა ისტორიებია მოთხრობილი. არამარტო ადამიანების, არამედ ძაღლებისაც. ავტორს ერთ სიბრტყეზე ჰყავს

განთავსებული ყველა — ჩვილი, ორსული ქალი, მკვლელი ძმა, სასტიკი დედა, მატლებდასეული ძაღლი თუ სიკვდილის მომლოდინე შეყვარებული ქმარი. რთულია, გაარკვიო, რომელი მანქანა უფრო წნეხავს და ანადგურებს ადამიანს: სისტემა, რომელიც დაუნდობლად ექცევა, თუ თავად ამ ხალხის ადათ-წესები. ალბათ ავტორის რიტორიკულად დასმული

შეკითხვაც სწორედ ესაა – რა და ვინაა ამ ადამიანების მტერი, ამ შემთხვევაში კი თურქეთში მცხოვრები ქურთების გამანადგურებელი. ფაქტი ისაა, რომ ამ ორივე მოცემულობას შორის მოქცეული ადამიანი მწერივით ისრისება. მისი სიცოცხლე არავის ადარდებს, არც დედას, რომელიც დაბადებამდე და დაბადების შემდეგაც მის მოკვლაზე ოცნებობს, რადგან დისკომფორტს უქმნის, არც ძმას, რომლის აზრითაც და თავისმომჭრელად იქცევა ხალხში და ამიტომ მავთულით ახრჩობს მას მამასთან და ძმებთან ერთად მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ; არც მთავრობას, რომელიც სახლს უნგრევს და უშვებს ქუჩაში ორსულ გოგონას. ამ წიგნში ადამიანები წუთით უფიქრდებიან ჩადენილი საქციელის სისასტიკეს და მერე ბედს ეგუებიან. როგორც ჩანს, ტრადიციებისგან ჩამოსხმული ბეტონის კარკასი ძვრას ვერ უშვრება ამ ბეტონის ფოსოებში ალაგ-ალაგ შემორჩენილ სივრცეს, სადაც არამკითხე სარეველა მცენარესავით ხარობს გრძნობები, როგორც ძალიან არასაჭირო რამ...

ძნელია, 21-ე საუკუნის ადამიანმა გაიაზროს ის რელიგიური და მენტალური შეზღუდვები, რომელიც ამ მხარის ხალხში დღემდე მყარადაა ფესვგადგმული. თურქი ქურთები დღემდე ნიშნავენ ახალშობილებს, რაც მომავალში მათ ქორწინებას ავალდებულებს. დღემდე შეზღუდულია ქალების, გოგონების უფლებები. ე.წ. არასწორი საქციელის გამო მათ, პირველ რიგში, საკუთარი ოჯახი სდევნის, რაც ხშირად მისი ღონის წესით დასჯით მთავრდება. დის, ქალიშვილის, ცოლის, დედის მოკვლას ძირითადად ოჯახის წევრი ან სხვა უახლოესი ნათესავი მამაკაცები იღებენ თავის თავზე. განაჩენი შეიძლება სპონტანურადაც გამოუტანოს ოჯახის ნაწილმა და სისრულეშიც ისე მოიყვანოს, დანარჩენ წევრებს არც კი უთხრას.

“გადასახლებაში“ აღწერილი რეალობა, რა თქმა უნდა, მძაფრია და ჩვენი გადასახედიდან, ერთი შეხედვით, ხელოვნურად გადრამატულებულს ჰგავს, მაგრამ მეორე მხრივ გიჩნდება შეგრძნება, რომ ესაა პაროდია ჩვენზეც, სადაც ჩუმად, სადღაც, ქვედინებებშია მოქცეული მსგავსი ამბები — ადამიანის უფლებები, ქალებზე ძალადობა, მკვლელობა, პატრიარქალური აგრესია და სხვა.

“ოდნავ რომ წამოვიზრდებით, უცხო სახლში მივდივართ რძლებად, მაგრამ ქალწულები არ აღმოვჩნდებით, რადგან არა ვართ. და მეორე დილით, აჭრილ რძესავით, მამისეულ სახლში გვაბრუნებენ... ოჯახის წამუსის გადასარჩენად სოფლის ყველაზე საცოდავ ღატაკს ბრალდება ყველაფერი. სანამ ჩემი ვარდივით ქალიშვილი თავს ქმარს ჩააბარებდა, თურმე ამა და ამ დღეს წამუსი წაურთმევია მისთვისო... მაგრამ ოჯახისთვის წამუსის მოსაწმენდად მხოლოდ სიტყვა არ კმარა... ტკივილი უნდა მიაყენო, სისხლი უნდა დაღვარო... თათბირობენ ოჯახის უფროსები. ბიჭს, რომელმაც ჩემს გოგოს წამუსი ახადა, და ჰყავს, თორმეტი თუ თერთმეტი წლისა, მნიშვნელობა არა აქვს, ქალია, ჩვენ ის უნდა გავაუპატიუროთ“..

მაგრამ ჩილერ ილჰანი თითქოს არ აკრიტიკებს ამ დაჭაობებულ მენტალიტეტს. ალბათ თავადაც რომ ქურთი ყოფილიყო, უფრო თამამი იქნებოდა და აქცენტებს უფრო მკვეთრად დასვამდა. შორს რომ არ წავიდე, ვაჟა-ფშაველას პერსონაჟებმა მე-19 საუკუნეში გაბედეს, წინააღმდეგობა გაეწიათ თემის ადათ-წესებისთვის სიცოცხლის ფასად. თავზე დაამხეს თემის უხუცესებს დაუნერეული კანონები, როცა მათში უმაღლესმა კატეგორიებმა გამოიღვიძა. უკან მოიტოვეს რელიგიური და ეთნიკური კლიშეები, სოფლის ნება, ხალხის სამართალი... და მარტონი დაუპირისპირდნენ ხალხს. ჩილერ ილჰანის

გმირები რბილები და ადვილად ჩაგვრადები არიან. ისინი მხოლოდ წუნუნებენ, მოთქვამენ და თუ სადმე რისხვისგან ენთებიან, მხოლოდ იქ, სადაც ის კლიშეებია დასაცავი, რომელსაც წესით უნდა ებრძოდნენ. ისინი ბედს შეგუებულნი არიან. დედა, რომელსაც ვაჟებმა ქალიშვილი მოუკლეს იმის გამო, რომ ის მათ “თავს სჭრიდა“, ამბობს: “ვტიროდი დიდხანს, მაგრამ ბედისწერას სად გაექცევი? გადაწყვეტილება მივიღე. რა ვქნა, დედა ვარ, ქალიშვილი დავკარგე. დანარჩენი შვილები მაინც დავიცვა-მეთქი. ცხრა წელია, არავისთვის არაფერი მითქვამს. ძალიან ვნანობ“. ილჰანის აქცენტები ქურთთა შევინროებაზეა გადატანილი. მისი წიგნის დასაწყისში წამძღვარებული სიტყვებიც (“სახლიდან, სამშობლოდან, სხეულიდან, სულიდან გადასახლებულებს ეძღვნებათ — იმ იმედით, რომ გულებში შენახულ სამშობლოში დაბრუნდებიან“) პრობლემის ამ მხარეს უფრო ასახავს, თუმცა შედარებით ლატენტურად ის ზოგადად ადამიანსაც თანაუგრძნობს მისი ყველა პრობლემის გამო. და მაინც, მწერლის ემპათია სახელმწიფო რეჟიმის მსხვერპლი ადამიანების მიმართ რევერბერირებს. ევროკავშირის ჟიურის ყურადღებასაც სწორედ პოლიტიკური პრობლემები უფრო იპყრობს, ვიდრე დაჭაობებული ეთნოკულტურა, რომელსაც, პრინციპში, ევროპასთან ინტეგრაციის პირობებში ეტაპობრივად თავად ერმა უნდა გაართვას თავი.

დღეს საერთაშორისო კულტურულ პრემიებს ხშირად სწამებენ პოლიტიკურ-კონიუნქტურული კლიშეებით ხელმძღვანელობას. ასეთია, მაგალითად, ნობელი, ასეთია ოსკარი, კანის ფესტივალი... ჟიური დაჯილდოების კანდიდატებს ხშირად ირჩევს მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების სახედ და აქტუალური თემების – რასიზმი, ჰომოსექსუალიზმი, ქსენოფობია, სოციალური

უთანასწორობა და ა.შ. მიხედვით. მაგრამ ევროკავშირის ლიტერატურული პრემია ერთ შემთხვევაში თუ პოლიტიკური ნიშნით გასცეს (მხედველობაში მაქვს ზემოთ განხილული ჩილერ ილჰანის წიგნი), ამას ვერ ვეტყვით ბელგიელი მწერლის, იზაბელ ვერის წიგნზე, “უძვლო მერლინი”, რომელიც, შეიძლება ითქვას, მთლიანად ლიტერატურულად შეფუთული ლიტერატურული ნიმუშია და რომლის ამ წიგნმაც 2013 წელს აიღო ევროკავშირის ლიტერატურული პრემია.



ესაა წიგნი ქალზე. ეს ისეთი წიგნია, რომელიც პირველივე სტრიქონებიდან ბოლო სიტყვებამდე პოეზიის, ჰაეროვნების, სუნთქვის საშუალებას გაძლევთ და არცერთ შემთხვევაში არ არის სენტიმენტალური. პირიქით, ირონიით, ცხადზე ცხადი სარკაზმით, ამასთან ერთად, ქალური სურნელითაა გაჟღენთილი. თუ შეიძლება, რომ ტექსტის ფაქტურა მატერიას, ნაჭერს შევადაროთ, მაშინ მე ვიტყოდი, რომ ესაა მაქმანებისგან მოქსოვილი

ტექსტი, რომელიც ალაგ-ალაგ ჰაეროვანი, აბრეშუმის ნაზი დაფებითაა ნაქარგი, ალაგ-ალაგ კი ჯვალოს უხეში თოკებით, რომელსაც ბლომად კვანძები და ხიჭვები გასდევს.

მერლინი წერს რომანს. სინამდვილის ასახვა 6-8 წლის ასაკიდან იწყება. ალბათ ძალიან რთულია, თითოეული

ქალი გამოუტყდეს თავს იმაში, რომ სექსუალური განცდები მას ამ ასაკში ჰქონდა. უბრალო ბავშვური ფანტაზიები კი არა, მძაფრი სექსუალური განცდები, რომანტიკული სწრაფვები და ოცნებები სასიყვარულო პარტნიორზე. ეს იმ ფონზე, როცა მერლინი ეძებს საკუთარ თავს ამ სამყაროში. ის ეძებს თავის გენდერულ იდენტობას, თავის იდეალურ მეს და ამ ძიებაში თავისუფლების, სიცოცხლის ბუნებრიობის, სილალის მაგალითს იძლევა.

ეროტიკული სცენების აღწერა უდიდეს ოსტატობას მოითხოვს. მსოფლიოში ამ მიმართულების ტექსტების აღწერის უდიდესი კულტურა არსებობს. ამ დარგს თავისი გრანდები ჰყავს – ჰენრი მილერი, ანაის ნინი, ჟან ჟენე და სხვები – ყველა თავისებურად უდგება სექსზე საუბარს და მერე თავად მხატვრულ მხარეს. ალბათ ეს არამხოლოდ მწერლური, არამედ მათი ადამიანური ბუნებიდანაცაა განპირობებული. იზაბელ ვერი ამ ტიპის სცენების სრულიად ახალი ბიოგრაფია. მასთან ერთდროულად ხდება სექსის რომანტიზირება, მის მიმართ ირონია, მხიარული განწყობა, სკეფსისი და ცხოვრების აზრის ძიება. სექსი მისთვის ინტერესის და შესწავლის სფეროა სიყვარულის მოლოდინთან ერთად,

“დაიდე ხელი აქ!” ჰოდა, მინდა-არმინდა, ვიდებხელსაქ... ნელ-ნელა თითები ირევა ამობურცულ ხორცთან, კუთხეებთან, ძვლებთან, ნაკეცებთან და ღრმულებთან. მისი შეხებისას ყველაფერი იფურჩქნება, მისი ჭიუტი ასო ჩემს სხეულში ხტება, მოუთვინიერებელ ხორცში ეფლობა, და მოედინება X-ის ნაკადი, როგორც ნელი სიკვდილი, ეს ნაკადი მე მაჯანჯლარებს, ისე როგორც უხეში ხელი ქლიავის ხეს...” და ა.შ, და ა.შ.

ავტორი, რომელიც მსახიობი და რეჟისორია, როგორც მწერალი, ნამდვილ პოეტურ მარმაშებს ქმნის. მისი თხრობა ფრაგმენტულია, ცხადისა და სიზმრის ნაერთს ჰგავს. ის არ კარგავს თვითირონიის შეგრძნებას და იუმორს, რომელიც სასწაულებრივად სახალისოს ხდის ამ თითქოსდა ჰაეროვან და რეალობას მოწყვეტილ ტექსტს. უფრო მეტიც, სინამდვილეში ტექსტი ჩვენივე ღრმად მიწიერი განცდებითაა სავსე. ეს განცდები თითოეული ჩვენგანის ნაწილებია, ოდესღაც ჩვენ მიერ განცდილი და ნაგრძნობი ამბებია, რომლის მოხელთება ვერ მოვასწარით და ახლა ასეთი საოცარი ლაბირინთებით გვიბრუნებს უკან ეს ავტორი, როგორც ობობას მიერ ოსტატურად მოქსოვილ ქსელს, მაგრამ უფრო ლამაზად მოვარაყებულს, ვიდრე აბლაბუდის სწორკუთხოვანი ხაზებია.

ეს წიგნიც გამომცემლობა “აგორამ” გამოსცა იმავე პროექტის ფარგლებში. ხოლო ფრანგულიდან თარგმნა თამარ ხოსრუაშვილმა. მე ორიგინალის ენა არ ვიცი და ვერ შევაფასებ, თუ რა სიძნელეების წინაშე დადგა მთარგმნელი, როდესაც ამ ლინგვიტური პასაჟებითა და ექსპერიმენტებით სავსე, ემოციურ, ლამისაა ექსპერიმენტულ ტექსტს თარგმნიდა, მაგრამ როცა ამ ყველაფერს ქართულ ენაზე კითხულობ, აშკარად ხვდები, რომ მთარგმნელი შეეჭახა საკმაოდ რთულ მასალას, რომ როგორმე ის ნატიფი ფაქტურა, ის ჰაეროვანი სიგიჟე, რომლითაც სავსეა წიგნის თითქმის ყველა წინადადება, ქართველი მკითხველის რეცეპტორებამდე მიეტანა. ერთი მხრივ პოეტურს და ჰაეროვანს ვუწოდებ რომანს, მეორეს მხრივ კი, როცა ტექსტს კითხულობთ, გრძნობთ, ეს უბრალოდ ემოციების თავგადასავალია, რომელიც ყველა

ჩვენგანში სხვადასხვა შინაარსით ბუდობს, მხოლოდ უნდა შევძლოთ და დავაფიქსიროთ.

4. ახალი თარგმანები

ფილიპ როთი

ადამიანს სიმღერის მიხედვით ვერ ამოიცნობ

ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ



თხუთ
მეტი
წლის
წინ,
სკოლ
ას
ვამთ
ავრე
ბდი,
როცა
ალბე
რტო
პელა
გუტი,
ყოფი

ლი მსჯავრდებული, პროფ.ორიენტაციის გაკვეთილზე პირველად ვნახე. სასწავლო წლის პირველი კვირა იყო და სულ ტესტებს გვითარებდნენ, რომ ჩვენი უნარ-ჩვევები, ნაკლოვანებები, მიდრეკილებები და სულიერი თავისებურებები გაერკვიათ. კვირის ბოლოს, მისტერ რუსომ, პროფ.ორიენტაციის მასწავლებელმა, ჩვენი უნარ-ჩვევები დააჯამა, სისუსტეები გამოაკლო და გვაცნობა, რომელი პროფესია იყო ჩვენთვის შესაფერისი. მთელი ეს პროცესი მისტიურ, თუმცა, ამავდროულად მეცნიერულ ხასიათს ატარებდა. დღემდე არაჩვეულებრივად მახსოვს პირველი ტესტი სახელად „თქვენი არჩევანი“: „რა გირჩევნიათ, ეს, ის, თუ სულ სხვა რამ...“ ალბი პელაგუტი

ჩემ უკან, მარცხენა მხარეს იჯდა და პირველივე გაკვეთილზე, ვიდრე ტესტს აქეთ-იქით ვატრიალებდი და ერთ გვერდზე უძველეს სამარხებს დიდი რუდუნებით ჩავკირკიტებდი, მეორეზე კი სასამართლოში ბრალდებულებს გააფთრებით ვიცავდი, ალბი ხან ვებუვის ლავასავით ფუვდებოდა, ამოიფრქვეოდა და მერე ჩამშვიდდებოდა, ხანაც ოხვრა-ხვნეშით აქეთ-იქით ირწეოდა. თუმცა, თუ არჩევანს აკეთებდა, ეს მისი საბოლოო გადაწყვეტილება იყო. კარგად მესმოდა, მისი ფანქარი რა შეუპოვრად სვამდა ნიშანს იმ პროფესიის გრაფაში, რომელიც თავისთვის ყველაზე შესაფერისად მიაჩნდა. მისი წვალება ადასტურებდა იმ ლეგენდას, რომ ის, ჩვიდმეტი წლის, ის-ის იყო, ჯემსბერგის კოლონიიდან გამოვიდა, ჩვენი სკოლა მისთვის რიგით მესამე იყო და მეცხრე კლასში მესამე წელი სწავლობდა.

შუა გაკვეთილზე მისტერ რუსო კლასიდან გავიდა.

– გავალ, წყალს დავლევ. არ იჩქაროთ, ბიჭებო. – გვითხრა და კარი მიიხურა.

რუსო ყოველთვის ცდილობდა, ჩვენთვის ეჩვენებინა, რომ ის გულწრფელი ადამიანი იყო და სხვა მასწავლებლებისგან განსხვავებით, როცა კლასიდან წინა კარიდან გავიდოდა, უკანა კარიდან არ გვითვალთვალებდა და თუ წყლის დასალევად მიდიოდა, უკან სველი ტუჩებით ბრუნდებოდა, ხოლო როდესაც ტუალეტიდან შემოდებოდა, ხელებზე საპნის სურნელი ასდიოდა.

როგორც კი რუსოს შავი ფეხსაცმელი ჭრაჭუნით გაუყვა მარმარილოს იატაკს, ხუთი მსუქანი თითი მაშინვე მხარში ჩამაფრინდა. მოვტრიალდი და ხელში პელაგუტი შემრჩა.

– რა გინდა? – ვკითხე.

– ოცდამეექვსე ნახე, პასუხი რა არის?

სიმართლე ვუთხარი:

– ნებისმიერი.

პელაგუტი წამოდგა და ზემოდან დამაჩერდა. ნამდვილი ჰიპოპოტამი იყო: დიდი, შავი და სუნიანი; სახელოები ისე ჰქონდა აგორგოლავებული, თითქოს წნევას იზომავსო, რომელიც, დარწმუნებული ვარ, იმ წუთას ცას წვდებოდა.

– პასუხი მითხარი!

სასწრაფოდ გადავფურცლე წინა სამი ფურცელი და ოცდამეექვსე ნომერი გადავიკითხე:

26. რომელს ანიჭებთ უპირატესობას: 1) დაესწროთ საერთაშორისო სავაჭრო კონფერენციას; 2) დაკრიფოთ ალუბალი; 3) წიგნები წაუკითხოთ ავადმყოფ მეგობარს; 4) შეაკეთოთ ავტომობილის ძრავა;

ალბის ცივად შევხედე და მხრები ავიჩეჩე.

— რა მნიშვნელობა აქვს, აქ სწორი პასუხი არ არსებობს. ოთხივე გამოდგება.

ამაზე ალბი ლამის ჩემს მერხზე გადმოფრინდა.

– ნუ მობოლებ! პასუხი თქვი!

კლასში ყველა თავი ჩვენკენ შემობრუნდა. ოთახი აივსო თვალებმონკუპული მზერებით, სისინით, ხითხითით და უცებ თავში დამარტყა, რომ შესაძლოა, სველტუჩიანი რუსო ყოველ წამს დაბრუნებულიყო და სასწავლო წლის პირველივე დღეს კარნახში ან გადანერაში დაედო ბრაღი. ისევ შევხედე ოცდაექვსე ნომერს, მერე ალბის.

– მესამე. წაუკითხოთ წიგნები ავადმყოფ მეგობარს. –
ვუთხარი.

ვულკანი დაშოშმინდა და მე და ალბიმ ერთმანეთი
გავიცანით.

* * *

დავმეგობრდით. მას მერე სულ ჩემთან იყო: ტესტების
დროს, საუბრებზე, გაკვეთილების შემდეგ. გავიგე, რომ
ალბიმ, მანამდე ყველაფერი მოასწრო, რაც მე, მორჩილ
ბავშვს, არც მომლანდებია: ჩემთვის უცნობ რესტორნებში
ჰამბურგერს ჭამდა; ბამთარში ცივი შხაპის შემდეგ, სველი
თავით გარეთ დასეირნობდა; სასტიკად აწვალებდა
ცხოველებს, საეჭვო ხალხს იცნობდა, ქურდობდა,
რისთვისაც დაიჭირეს და აზღვევინეს კიდევ.

თუმცა, ერთხელ, როცა ჩვენი სკოლის წინ მდებარე
ტკბილეულობის მაღაზიაში ჩემი ლანჩის კონტეინერი
გავხსენი, მითხრა: „მორჩა, ჭკუა ვისწავლე, სწავლას
მივანვები, მე...“ – და აქ, მგონი, ის ფრაზა ჩააკვება
მიუზიკლიდან, წინა დღეს რომ ნახა, მაშინ, როდესაც
დანარჩენი კლასი ინგლისურზე ვისხედით: – „ყველა ღონეს
ვიხმარ, რომ საკუთარი თავი საუკეთესო კუთხით
წარმოვაჩინო.“

ერთ კვირაში, როდესაც რუსომ ტესტის შედეგები
გამოგვიცხადა, აღმოჩნდა, რომ თურმე ალბი არათუ წინ
მიინევდა, არამედ უცნაურ და მშვენიერ გზასაც ადგა. რუსო
თავის მაგიდასთან იჯდა, ტესტები კი, რაღაც დიაგრამებისა
და ცხრილების ფონზე, წინ საბრძოლო მასალებივით ეწყობდა
და ჩვენს ბედს რიგრიგობით ხსნიდა. შედეგების მიხედვით,
მე და ალბის იურისტობა გველოდა.

ყველა იმ ამბიდან, რაც ალბიმ გამანდო, ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი ერთი ფაქტი აღმოჩნდა. ტვინიდან მაშინვე ამიორთქლდა სიცილიის იმ ქალაქის სახელი, სადაც ის დაიბადა, ასევე, მამამისის პროფესიაც (ყინულთან იყო დაკავშირებული, აკეთებდა თუ დაატარებდა), დამავიწყდა მის მიერ გატაცებული მანქანების გამოშვების წლები და მოდელები, მაგრამ გონებაში ღრმად ჩამებეჭდა, რომ ის კოლონიაში ბეისბოლის ვარსკვლავი იყო. ამიტომ, როდესაც მისტერ ჰოფერმა, ფიზ.კულტურის მასწავლებელმა ჩვენი კლასის სოფტბოლის გუნდის კაპიტნად დამნიშნა (სოფტბოლს ბეისბოლის ჩემპიონატის ბოლომდე ვთამაშობდით, შემდეგ კი ფეხბურთზე გადავდიოდით), გადავწყვიტე, პელაგუტი ჩემს გუნდში ამეყვანა – თავისი ხელებით ბურთს კილომეტრზე გადაისროდა.

იმ დღეს, როდესაც გუნდებს ვადგენდით, გასახდელში, ვიდრე ფორმას ვიცვამდი – მაისური, ხაკისფერი შორტები, ბანდაჟი, სქელი წინდები, კედები, – ალბი წრეებს მივლიდა. თვითონ უკვე გამოეცვალა: ხაკისფერი სპორტული შორტების ქვეშ ბანდაჟი არ ეცვა, სამაგიეროდ, სამი ინჩით გრძელი, ჩამოჩაჩული იისფერი ტრუსები მოუჩანდა. მაისურის ნაცვლად ჩვეულებრივი ქვეშჩასაცმელი უმკლავებო მაისური, ხოლო ფეხზე კუპრივით შავი კედები და თხელი, გვერდებზე ისრებამოქარგული თხელი აბრეშუმის წინდები ეცვა. ალბათ ასე გამოიყურებოდა მისი შორეული წინაპარი, კოლიზიუმში ლომს სისხლის ბოლო წვეთამდე რომ ებრძოდა. რა თქმა უნდა, მისთვის არ მითქვამს, მაგრამ ჩაცმულობა მას ღირსებას ნამდვილად არ მატებდა.

ვიდრე გასახდელიდან ბნელი მიწისქვეშა გვირაბით სექტემბრის მზით გაბრდღვიალებულ მოედანზე

გავდიოდით, ენა არ გაუჩერებია:

— სულ პატარა რომ ვიყავი, სპორტს არ ვეკარებოდი, აი, კოლონიაში კი დავინწყე თამაში და ბეისბოლი ეგრევე გამომივიდა.

თავი დავუქნიე.

– პიტ რეიზერი რა მაგარია, არა? – მკითხა.

– ძალიან.

– და ტომი ჰენრიჩი?

– ჰო, მგონი მთელ გუნდს მაგის იმედი აქვს.

მე, როგორც „დოჯერების“ ფანს, რა თქმა უნდა, რეიზერი მერჩივნა „იანკების“ ჰენრიჩს, ამას გარდა, ჩემი უცნაური გემოვნების ბრალი თუ იყო, რომ რეიზერმა, არაერთხელ რომ შეხლია კედელს ბურთის დევნაში, ჩემი გულის კუპერთაუნისთვის^[1] განკუთვნილ ნაწილში გამორჩეული პრიზი დაიმსახურა.

– მე მაინც იანკები მიყვარს. – თქვა ალბიმ.

ვერ მოვასწარი, მეკითხა, ამით რას გულისხმობდა, რადგან ამ დროს მაღალმა, მუდამ მოღიძარმა, ბრინჯაოსფერმა მისტერ ჰოპერმა მონეტა ააგდო. მე თავი ავწიე, მონეტამ მზეზე გაიბრწყინა, და მე დავიყვირე:

– ალჩუ!

მონეტა თოხანზე დაჯდა და მოთამაშეების არჩევა მეორე კაპიტანმა დაიწყო. გული გამისკდა, როცა მან ალბის დაბერილ მკლავებს დაუწყო თვალიერება, მაგრამ მალევე დავწყნარდი, როცა გვერდით ჩაუარა და გამხდარი ბიჭი აირჩია. მაშინვე წამოვიყვირე:

– პელაგუტი ჩემია.

იშვიათად წააწყდება ადამიანი ისეთ ღიმილს, რომელიც ამის გაგონებაზე ალბის სახეზე გადაეშალა: თითქოს ის სამუდამო პატიმრობიდან ვიხსენი.

* * *

თამაში დაიწყო. მე, რადგან ცაცია ვარ, შორთსტოპის პოზიციაზე დავდექი, ალბი – ცენტრში, მე მეორე ბეთერი ვიყავი, ალბიმ კი, მეოთხე ვიქნებო, ითხოვა. იმათმა პირველმა ბეთერმა პირველივე დარტყმა ჩააფლავა: აუტში ისროლა, მეორემ მაღალი დაარტყა და ბურთი ცენტრისკენ გაფრინდა. როგორც კი დავინახე, ალბი ბურთს როგორ გაეკიდა, მაშინვე მივხვდი, რომ პიტ რეიზერი და ტომ ჰენრიჩი მხოლოდ გაგონილი თუ ჰქონდა და რაც ბეისბოლზე იცოდა, წინა საღამოს ჰქონდა გაბუთხული. ვიდრე ბურთი ჰაერში ეკიდა, ალბი მის ქვეშ ხელებანეული ხტოდა და ხელისგულებს ერთმანეთს უბათქუნებდა, თითქოს პეპელა იყო და ფრთებს სცემდა, რომ როგორმე ბურთი თავისკენ მოეხმო.

– აქეთ, აქეთ, – შეჰყვიროდა ცას, – აქეთ-მეთქი, ნაბიჭვარო...
– და ფეხებს ზევით-ქვევით ისე აქნევდა, თითქოს ველოსიპედს მიაქროლებსო.

დიდი იმედი მაქვს, რომ ისე ნელა არ მოვკვდები, როგორც ის დაწყევლილი ბურთი ვარდებოდა. ბურთი ჰაერში დაუსრულებლად ეკიდა, ალბი კი მის ქვეშ როკავდა. როგორც იქნა, ბურთი დაეშვა დაპირდაპირ ალბის დაასკდა მკერდზე. შემტევს ამ დროს ორი წრე დასრულებული ჰქონდა, და მესამეს იწყებდა, ალბი კი ადგილზე ტრიალებდა და წინ გამონვდილ ხელებს ზემოთ-ქვემოთ

იქნევდა, თითქოს საბავშვო ბაღშია და უხილავ ბავშვებთან ერთად ცეკვავს და მღერისო.

— უკნიდან, პელაგუტი! – ამოვიხავლე მე.

– ჰა? – ადგილზე გაიყინა ალბი.

ცენტრისკენ გავვარდი.

– უკან მეთქი! – როცა რანერმა მესამე წრე დაასრულა, ალბისთან ვიდექი, რომ ამეხსნა, რა გაეკეთებინა.

საბოლოოდ, სამარცხვინოდ წავაგეთ და ეს, რა თქმა უნდა, ალბის დიდი დამსახურება იყო.

ვიცი, ნამდვილი მაზოხიზმია, მაგრამ აუცილებლად უნდა აღვწერო, როგორ ურტყამდა ბურთს ალბი. თავიდან ის პიჩერის წინ იდგა, მერე, როცა ბურთისთვის უნდა დაერტყა, ციბრუტივით ტრიალებდა და გვერდიდან კი არა, ზემოდან უტყამდა, თითქოს პალოს მიწაში აჭედებსო. არც კი იფიქროთ, მკითხოთ, ცაცია იყო თუ არა, აზრზე არ ვარ!

გასახდელში კრინტი არ დამიძრავს. ვიცვლიდით, თვალის კუთხიდან პელაგუტის ვაკვირდებოდი და შიგნეულობა მიდუღდა. თავისი იდიოტური შავი კედები გაიძრო და ვარდისფერი მაისური გადაიცვა. შორტი არც გაუხდია, ისე ჩაყო ფეხები ნაცრისფერ შარვალში და წელამდე ძლივს ამოიქაჩა. ვხედავდი, წვივებზე, მუხლებზე და ბარძაყებზე იმ ადგილებს, რომლებზეც თამაშის დროს ბურთები მოხვდა და ალისფრად უელავდა, შარვალი თანდათან როგორ უფარავდა.

ბოლოს მაინც ამომასხა:

– იდიოტო პელაგუტი, რეიზერს ზედ რომც შეასკდე, ვერც კი იცნობ!

ალბი შებრუნდა, კედები კარადაში შეჩურთა და არაფერი უთქვამს. მის უკიდეგანო ვარდისფერმაისურიან ზურგს შევყვირე:

– რას იტყუებოდი, ციხის გუნდში ვთამაშობდიო?

ალბიმ რაღაც წაიბურტყუნა.

– ჰა? – დავუყვირე.

– ვთამაშობდი. – ისევ წაიბურტყუნა.

– აბა რა, დაგიჯერე!

მომიბრუნდა და მრგვალი შავი თვალებით ავად მომაჩერდა.

– ვთამაშობდი!

– წარმომიდგენია, რა გუნდი იქნებოდა!

გასახდელიდან ისე გავედით, კრინტი არ დაგვიძრავს. პროფ.ორიენტაციაზე ავდიოდით და გზად მისტერ ჰოპერის კაბინეტს ჩავუარეთ. კარი ღია იყო, მასწავლებელმა თავი ასწია და თვალი ჩამიკრა, აი, მესმის, მოგიხერხებია და ნამდვილი გენიოსი გადმოგიბირებიაო! – გავცოფდი, როგორ დავუშვი, რომ ეს გამოშტერებული ბეისბოლის ვარსკვლავი იქნებოდა? მისტერ ჰოფერმა ლამპიონივით თავი ისევ მაგიდაში ჩარგო.

— ახლა მთელი სეზონი უნდა გათრიო! – დავუყვირე პელაგუტის.

ალბი ჩემ წინ ხარივით მიიზლაზნებოდა, მხოლოდ კუდი აკლდა ბუბების მოსაგერიებლად. მისი სიზანტე უფრო და უფრო მაგიჟებდა.

– ჩვეულებრივი აფერისტი ხარ!

როგორც შეეძლო, ისე სწრაფად შემობრუნდა:

– შენ ვინ უნდა ათრიო? – დაიღრიალა.

დერეფანში კიბესთან ვიდუქით, კედელთან კარადები იყო ჩამწკრივებული. კიბეზე ამომავალი ბიჭები გაჩერდნენ და მოგვაშტერდნენ.

– არავისაც არ ათრევ, ლანირაკო!

და ბანჯგვლიანი მუშტი დავინახე, პირდაპირ პირისკენ რომ მოექანებოდა. გვერდზე გავიწიე, მაგრამ დავაგვიანე და ჩემივე ყბის ხრჭიალი მომესმა. სხეულის შუა ნაწილი უკან გადამიქანდა, თავი და ფეხები კი წინ და ვიდრე ხელებით მარმარილოს გაყინულ იატაკს მოვეჭიდებოდი, ასო c-სავით მოკაკვული, ასე, 5 მეტრით უკან გადავვარდი. ალბიმ გვერდი ამიარა და პროფ.ორიენტაციის კაბინეტში შევიდა. წამოვიწიე და დავინახე, როგორ შედიოდა იმავე კაბინეტში მისტერ რუსოს შავი ფეხსაცმელიც. მტკიცებას ვერ დავიწყებ, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ რუსომ დაინახა, როგორ მომადო ალბიმ. არავის, მათ შორის, არც მე და არც ალბის, ეს შემთხვევა არასოდეს გვიხსენებია. შეიძლება, არ ვიყავი მართალი, როცა ალბის მარტყუარა ვეძახე, რა ვიცი, იქნებ მართლაც ბრწყინავდა ბეისბოლში, თუმცა, სად და რომელ გუნდში, ეს უკვე სხვა საქმეა.

შედარებისთვის დიუკ სკარპას მოვიყვან, ისიც ყოფილი მსჯავრდებული იყო და ჩვენთან იმავე წელს გადმოვიდა. სხვათაშორის, დიუკიც და ალბიცჩვენ რაიონში კი არა, ნიუარკის მეორე ბოლოში, „ქვედა ყელში“ ცხოვრობდნენ. მას შემდეგ, რაც ალბი ორი, ხოლო დიუკი ოთხი სკოლიდან გამოაგდეს, განათლების საბჭომ ისინი ჩვენთან

გაანანილა. საბჭო, მარქსის არ იყო, იმედოვნებდა, რომ მალალი კულტურა შთანთქავდა დაბალს.

ალბი და დიუკი განსხვავდებოდნენ: თუ ალბიმ გამოსწორება გადაწყვიტა, თითქოს უძვლო, გრაციოზულ, ჩუმჩუმელა დიუკს ეტყობოდა, რომ კიდევ რაღაცას გეგმავდა. ერთმანეთი გულზე არ ეხატებოდათ, მაგრამ დიუკი მე და ალბის სულ კუდში დაგვყვებოდა. მგონი, იმიტომ, რომ იცოდა – ალბი ვერ იტანდა, რადგან კარგად იცოდა, რა ჩიტიც ბრძანდებოდა. მას კი ასეთი ადამიანი ერჩივნა იმას, ვინც ვერ გიტანს მხოლოდ იმიტომ, რომშენი არ ესმის. თუ ალბი ჰიპოპოტამს მაგონებდა, ან ხარს, დიუკს უფრო რეპტილია ეთქმოდა. მე? აზრზე არ ვარ, მე ვინ შეიძლება ვყოფილიყავი, ცხოველის დანახვა სხვაში უფრო ადვილია.

შუადღისას, ლანჩის დროს, მე და დიუკი სასადილოს წინ დერეფანში ვსპარინგობდით ხოლმე. მართალია, დიუკი ილეთების აზრზე არ იყო, და ვერც დალურჯებებს იტანდა თავის მუქ კანზე, მაგრამ ისეთი ხალისით მოძრაობდა, იხვეოდა, იშლებოდა, და ხტოდა, რომ დარწმუნებული ვარ, გადამიხდიდა კიდევ იმისთვის, რომ ჩემთან უხსენებლის როლის თამაშის საშუალება ჰქონოდა. მაჰიპნობებდა, რაღაც ძალიან სათუთს ეხებოდა ჩემში – იქ, სადაც ალბი პელაგუტი ეძებდა და ექაჩებოდა, – მე ვიტყოდი, უფრო მგრძნობიარე უხილავ ძაფს, რომელიც ერთმანეთთან გვაკავშირებდა.

ახლა მეჩვენება, რომ ალბი ანგელოზი გამოვიყვანე. ამიტომ, გიამბობთ, რა დღეში ჩავაგდეთ მისტერ რუსო.

რუსოს ისე სწამდა თავისი ტესტების, როგორც მის ემიგრანტ მშობლებს (და ალბათ თვითონაც) სწამდათ პაპის უცოდველობის. თუ ტესტებმა აჩვენეს, რომ ალბი

ადვოკატი უნდა გამოსულიყო, გამოვიდოდა კიდეც. ალბის წარსული თითქოს ამ ვარაუდს უმტკიცებდა: როცა მასზე მიდგებოდა საქმე, რუსოს თვალები იმედით უბრწყინავდა, სჯეროდა, რომ ბიჭს იხსნიდა. სექტემბერში მან ალბის ოლივერ უენდელ ჰოლმსის ბიოგრაფია მისცა წასაკითხად, ოქტომბერში სანყალი მთელი კლასის ექსპერტად გამოაცხადა, ნოემბერში კი კონსტიტუციის შესახებ თხზულების დაწერა დაავალა, რომელიც საბოლოოდ მე დავუწერე. დეკემბერში პელაგუტის საბოლოო დამცირების დრო დადგა – მისტერ რუსომ, მე, ალბი და კიდეც ორი, ტესტების მიხედვით, იურიდიული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლე, ნამდვილი იურისტების სანახავად ესექსის საოლქო სასამართლოში გაგვამწესა.

ცივი და ქარიანი დილა იდგა და როდესაც სიგარეტის ნამწვები სასამართლოს წინ, მოედანზე აღმართულ ლინკოლნის ძეგლს მივაყარეთ და ცემენტის გრძელ თეთრ კიბეს ავუყევით, უცებ ალბი მობრუნდა და უკან, მარქეთ-სთრითისკენ დაადო თავი. დავუყვირე, მან კი გამომძახა, ყველაფერი უკვე ნანახი მაქვსო და გაიქცა, ხოლო უკან პოლიციელი კი არა, საკუთარი წარსული მისდევდა. მისი აქ გამოგზავნის გამო, ის რუსოს სულელად არ თვლიდა, არა, საამისოდ მასწავლებლებს დიდ პატივს სცემდა, თუმცა, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ რუსომ აქ იმისთვის გაგზავნა, რომ უნდოდა, მთელი არც ისე უნაკლო წარსულიმისთვის ცხვირში ამოედინა.

სწორედ ამიტომ, მეორე დღეს, ფიზ.კულტურის გაკვეთილის შემდეგ, ალბიმ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა – ეს იყო მისი პირველი უკანონო ქმედება მას შემდეგ, რაც გამოსწორების გზას დაადგა. მან მოკლედ გამაცნო საბრძოლო გეგმა და სხვა მოსწავლეებისთვის მისი ზრახვების გამხელის წინადადებაც შემოიტანა. მასსა

და დისციპლინირებულ, უმნიკვლო წარსულის მექონე თანაკლასელებს შორის შუამავლის როლი მე მერგო. ამიტომ, კართან დავდექი და ყოველ შემომსვლელს საიდუმლოდ ვამცნე: „თერთმეტის თხუთმეტი წუთის შემდეგ, როგორც კი რუსო დაფისკენ შებრუნდება, დაიხარე და ფეხსაცმელზე თასმების შეკვრა დაიწყე.“ თუ რომელიმე თანაკლასელი გაოგნებული სახით შემომხედავდა, მაგიდასთან აზვირთულ პელაგუტიზე ვანიშნებდი. ამის შემდეგ, ბავშვის სახიდან გაოგნებული გამომეტყველება ქრებოდა და თანამზრახველიც გვემატებოდა. ერთადერთი, ვინც ვერ ავიყოლიეთ, დიუკი აღმოჩნდა. მან მომისმინა და ისეთი სახით მომაჩერდა, თითქოს მას თავისი ბანდა ჰყავდა, ხოლო ჩემს ბანდაზე კი არაფერი გაუგია.

როგორც იქნა, ბარი დაირეკა. მე კარი მივხურე და ჩემი მერხისკენ წავედი. შემდეგ დაველოდე, როდის მივიდოდა დიდი ისარი სამამდე; როგორც იქნა, ის წამიც დადგა, როცა რუსო დაფისკენ შეტრიალდა, რომ ალუმინის წარმოებაში დასაქმებული მუშების ხელფასის გრაფიკი დაეხაზა. მე თასმებისკენ დავიხარე და მერხების ქვეშ ამობრუნებული მოლიმარი სახეები დავინახე. ჩემ უკან, მარცხენა კუთხეში, ალბი რაღაცას ჩურჩულებდა. ის თავის შავ აბრეშუმის წინდებს ისწორებდა და გაურკვეველი, სიცილიურიგანრისხებული ჩურჩული სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ისმოდა. დიალოგი პირდაპირ მასსა და რუსოს შორის მიმდინარეობდა. თავში სისხლი ამივარდა და საფეთქლებზე მომანვა, თითებით ზონრებს ვიხსნიდი და ვიკრავდი; დაფისკენ გავიხედე, რუსოს ფეხები კლასისკენ შემობრუნდნენ. და რა სანახაობა გადაეშალა რუსოს! – იქ, სადაც ოცდახუთი სახე დატოვა, მხოლოდ მაგიდები დახვდა.

— გეყოფათ, – გაისმა მისი ხმა, – საკმარისია, ნორმალურად დასხედით.

ამ დროს ალბის ხმამ სისხლით სავსე ყველა ყური მიწისქვეშა ნიაღვარივით წაღეკა:

– არ გამოხვიდეთ!

რუსო ისევ მოითხოვდა სკამებზე სწორად დავმსხდარიყავით. არ ვინძრეოდით, ვიდრე ალბიმ არ გვიბრძანა. შემდეგ კი, მისივე ბრძანებით სიმღერა შემოვძახეთ:

*„ნუ დაჯდები ვაშლის ხის ქვეშ
სხვასთან ერთად,
სხვასთან ერთად,
სხვასთან ერთად,
ოჰ, არა, არა, ნუ დაჯდები ვაშლის ხის ქვეშ...“* [2].

და მუსიკის ნაცვლად, ტაშს ვუკრავდით. ღმერთო! რა ხმაური ატყდა!

მისტერ რუსო უძრავად იდგა და დაბნეული სახით გვისმენდა. მას კარგად გაუთოვებული ლურჯი ზოლიანი კოსტუმი ეცვა, ღია ყავისფერ ჰალსტუხზე კოლის თავი ეხატა, რომელზეც ქინძისთავი ეკეთა, ინიციალებით კპ. ფეხზე ჭრაჭუნა შავი პრიალა ფეხსაცმელი ემოსა. ჩემს წინ იდგა მისტერ რუსო, რომელსაც სისუფთავის, პატიოსნების, პუნქტუალურობისა და წინასწარ დაგეგმილი ბედის სჯეროდა, სჯეროდა მომავლის და პროფესიული ორიენტაციის! ხოლო ჩემ გვერდით, ჩემ უკან, ჩემ შიგნით, ჩემ ირგვლივ ყველგან ალბი იყო! ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ, ალბიმ და მე, გული სიხარულით მიცემდა: „ნუ დაჯდები ვაშლის ხის ქვეშ სხვასთან ერთად...“ გუგუნებდა ალბის ხმა. მერე ვიგრძენი, რომ გარს კიდევ ერთი, სქელი,

ყველაფრის წამლეკავი ხმა შემომერთყა, რომელიც დიუკისგან მოდიოდა – ტაშს ისიც ჩვენთან ერთად, ტანგოს რიტმში უკრავდა.

რუსო გრაფიკს მიეყრდნო, შემდეგ სავარძელთან მივიდა და მასზე უსიცოცხლოდ დაეშვა, – ისე ღრმად, თითქოს უძირო ყოფილიყო, – თავისი დიდი თავი მაგიდაზე დაუშვა, მხრები კი სველი ქაღალდის კიდებივით ჩამოყარა. აი, აქ ალბიმ გამანადგურებელი იერიში მიიტანა. მან სიმღერა შეწყვიტა. ჩვენც გავჩერდით. სიჩუმეში რუსომ თავი ასწია. შავი შესიებული თვალებით ჩვენს წინამძღოლს, ალბერტო პელაგუტის შეხედა. მან ნელ-ნელა თავის ქნევა დაიწყო. უკვე ალ-კაპონე კი არა, გარიბალდი იყო! რუსო იცდიდა; მეც ვიცდიდი; დანარჩენებიც იცდიდნენ; ალბი ზოზინით წამოდგა და ყველამ გავიგონეთ:

“Oh, say can you see, by the dawn’s early light, what so proudly we hailed—”[\[3\]](#)

სრულიად განადგურებულმა მისტერ რობერტ რუსომ წელი ძლივს აითრია და როგორღაც ფეხზე წამოდგა. ჩემს უკან პელაგუტის დამანგრეველი ბანი გრგვინავდა

და დავინახე, დიდი შავი წამწამებიდან როგორ უცვიოდა ცრემლები რუსოს და თან ტუჩებს გაჭირვებით ამოძრავებდა.

“the bombs bursting in air, gave proof—”[\[4\]](#)

ღმერთო, რა ვიმღერეთ!

* * *

იმავე წლის ივნისში ალბი ჩვენი სკოლიდან გადავიდა – პროფ.ორიენტაციის გარდა ყველა საგანში ჩაიჭრა. თუმცა, ჩვენი მეგობრობა, უკიდევანო ოკეანეში აღმა-დაღმა მოცურავე ეს ყოვლად უცნაური გემი, მანამდე რამდენიმე

თვით ადრე დაიმსხვრა. ეს ამბავი მარტში მოხდა, დიდი დასვენების დროს, კაფეტერიის წინ დერეფანში, სადაც მე და დიუკი ტრადიციულად ვსპარინგობდით. ალბი დიუკს ალარ ემტერებოდა, მას შემდეგ, რაც დიუკმა მისი კეთილგანწყობა საერთო გუნდში თავისი მელოდიური ხმის შეერთებით მოიპოვა. იმ დღეს ალბიმ ჩვენი ორთაბრძოლის მსაჯობა ითავა: გვაშველებდა, წელს ქვემოთ დარტყმების გამო შენიშვნებს გვაძლევდა, დიუკს ქამარზე ექაჩებოდა – მოკლედ რომ ვთქვა, სრულ ნეტარებას განიცდიდა. მახსოვს, რომ დიუკი ჩემკენ მოვითრიე და თირკმელებზე მუშტები მსუბუქად დავაყარე, ის კი პირდაპირ ჩემს ყურთან გმინავდა. უკნიდან მზე დანათოდა და მის სინათლებზე დიუკის აბურდული თმა გველების ბუდეს წააგავდა. დიუკი უკნიდან ჩავბლუჯე, მან ფართხალი დაიწყო, მის გველებივით თმას თვალს ვერ ვაშორებდი და უცებ, ალბი რატომღაც ჩვენს შორის ჩადგა და აქეთ-იქით გადაგვყარა. დიუკმა მოახერხა და გვერდზე გადახტა, აი, მე კი ფანჯარასთან მივფრინდი და მუშტებით შუშას მივეჭახე. ერთ წამში, გონებამახვილი, ყოველთვის მართალი ბავშვების ხროვა სასადილოდან ლეჭვა-ლეჭვით გამოვარდა და გარს შემომეხვია. თითს ყველა ჩემკენ იშვერდა და დამცინოდა. დიუკი და ალბი გაიპარნენ, უნამუსო ნაბიჭვრები! ეს ხროვაც მანამდე არ დაუბრუნდა შეწყვეტილ ლანჩს, ვიდრე თეთრ გახამებულ ხალათში გამოკვართული ვეებერთელა, ვარიკუბულვენებიანი სასადილოს გამგე არ გამოვიდა და ექიმის კაბინეტში ხელებიდან ნამსხვრევების ამოსაღებად არ წამიყვანა. ამის შემდეგ კი პირველად და უკანასკნელად, სკოლის დირექტორთან, მისტერ უენდელთან გამომიძახეს.

მას შემდეგ თხუთმეტი წელი გავიდა და დღემდე აზრზე არ ვარ, რა ბედი ეწია ალბი პელაგუტის. თუ ის დღეს მაფიის

წევრია, მაშინ არც ისეთი ცნობილი უნდა იყოს, რომ მისით კიფოვერის კომიტეტი დაინტერესდეს. როდესაც კომიტეტმა ნიუ-ჯერსის შტატში გამოძიება დაიწყო, გაფაცვიცებით ვუსმენდი ახალ ამბებს, მაგრამ არც ალბერტო პელაგუტი და არც დიუკ სკარპა არ უხსენებიათ, თუმცა, ვინ იცის, ახლა რა სახელით ცხოვრობს დიუკი.

სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, რა ბედი ეწია პროფ.ორიენტაციის მასწავლებელს – მოგვიანებით, როდესაც სენატის სხვა კომიტეტი ხალხს ამონმებდა, აღმოჩნდა, რომ კარგა ხნით ადრე, სადღაც 1935 წელს, პედაგოგიური კოლეჯის სტუდენტობისას, რობერტ რუსო (სხვებთან ერთად) მარქსისტი ყოფილა. რუსომ უარი განაცხადა პასუხი გაეცა სენატის მთელ რიგ შეკითხვებზე, რის გამოც, განათლების საბჭო შეიკრიბა, იმსჯელა, ცეცხლშიც გაატარა და სამსახურიდანაც დაითხოვა. დროდადრო ნიუარკის გაზეთებში მხვდება სტატიები, რომ სამოქალაქო თავისუფლების კავშირი მსგავსი გადაწყვეტილებების გასაჩივრებას ცდილობს. მეც რამდენჯერ მივწერე კომიტეტს, ავუხსენი, რომ თუ ვინმემ ჩემზე უარყოფითი გავლენა მოახდინა, ეს ჩემი ყოფილი მასწავლებელი მისტერ რუსო ნამდვილად არ ყოფილა; შეიძლება ის კომუნისტი იყო, მაგრამ ჩვენთან ეს არასოდეს გამოუმჟღავნებია. ვერასოდეს გავბედე, წერილში სიმღერის შესახებ ეპიზოდი ჩამერთო. აბა რა ვიცოდი, იმ ჭირვეულ ქალბატონებსა და ქსელური მაღაზიების მეპატრონე ბატონებს, განათლების საბჭოს სხდომებზე რომ კვდებიან, ეს დეტალი რას დაუმტკიცებდა ან არ დაუმტკიცებდა?

და თუ ვიტყვით (ანტიკური გამონათქვამის პერიფრაზია), რომ ადამიანის ხასიათი მისი ბედისწერაა, მიიღებენ კი ჩემს წერილს მხედველობაში? სხვა სიტყვებით რომ ვთქვა,

გადაფარა ამ 15 წელმა ის დღე, როდესაც დირექტორთან გამომიძახეს?

* * *

...როდესაც მაღალი, კეთილშობილი გარეგნობის ჯენტლმენი ოთახში შემოვიდა, ფეხზე წამოვდექი. მან ხელი გამომიწოდა.

იგივე მზე, რომელიც დიუკის გველებივით დაკლაკნილ თმას ანათებდა, ახლა მისტერ უენდელის დარაბებს შორის შემოდოდა და მწვანე ხალიჩას ათბობდა.

– აბა, როგორ ბრძანდებით? – მკითხა.

– დიახ. – უაზროდ წამომცდა და შეხვეული ხელი ჯანსაღი ხელის ქვეშ დავმალე.

მან თავაზიანად განაგრძო:

– დაბრძანდით.

შეშინებული და გამოუცდელი ვიყავი, თავი დავუქნიე და დავჯექი. მისტერ უენდელი რკინის კარადასთან მივიდა, უჯრა გამოაღო, დიდი თეთრი ბარათი ამოიღო, მაგიდაზე დადო და თავისთან მიხმო. ბარათზე დიდი ასოებით ჩემი სახელი და გვარი, ხოლო ქვემოთ კი რომაული რიცხვი ერთი ეწერა. მის გასწვრივ წავიკითხე: „იჩხუბა დერეფანში, ჩაამსხვრია ფანჯარა. (19/3/42).“ უკვე ოფიციალური ჩანაწერი არსებობდა. იქ კიდევ დიდი ადგილი იყო შემდგომი ჩანაწერებისთვის.

ჩემს სკამთან დავბრუნდი და დავჯექი, მისტერ უენდელმა კი მითხრა, რომ ეს ბარათი მთელი ჩემი ცხოვრება გამყვებოდა. თავიდან დაძაბული ვუსმენდი, თანდათან დავმშვიდდი, სიტუაცია ნაკლებად დრამატული მეჩვენა და ყურადღება მის კარტოთეკაზე გადავიტანე. ყველა ბარათი

ერთბაშად წარმოვიდგინე, ალბის, დიუკის ბარათები... და მაშინ მიხვდი – (და თითქმის ვაპატიე კიდევ) თუ რატომ აორთქლდა ორივე და რატომ მომიწია მარტო მე მეგობრების ჩამტვრეული ფანჯრის გამო. ხომ მიხვდით, ალბიმ ყოველთვის იცოდა იმ ბარათების არსებობა; მე აზრზე არ ვიყავი; აი, რუსომ კი, საბრალო რუსომ, ძალიან გვიან გაიგო.

იტალო კალვინო

ერთი ცოლის ამბავი

იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაბელიძემ



ქალბ
ატონ
ი
სტეფ
ანია
რ.
სახლ
ში
დილ
ის
ექვს

საათზე დაბრუნდა. პირველად მოხდა ასეთი რამ მის ცხოვრებაში. მანქანა სახლის წინ კი არ გააჩერებინა, არამედ ცოტა იქით, კუთხეში. თვითონ სთხოვა ფორნეროს, ასე მოქცეულიყო, რადგან არ უნდოდა კარისქალს დაენახა, მეუღლის არყოფნის დროს, გამთენიისას რომ დაბრუნდა შინ, თანაც ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად.

ფორნერომ როგორც კი გამორთო ძრავა, მისი ჩახუტება მოინდომა, მაგრამ ქალმა უარით მოიშორა, თითქოს სახლთან ახლოს ყოფნა ამის გაკეთებას უკრძალავდა. ჩქარა გადმოვიდა მანქანიდან და ბიჭსაც ანიშნა, დროზე წასულიყო. მერე პალტოს საყელოში ჩაჰყო სახე და ასეთივე სწრაფი ნაბიჯებით გაეშურა ბინისაკენ.

ღალატს ჰქონდა ადგილი?

სტეფანიას ბინის კარი დაკეტილი დახვდა; არ ელოდა, გასაღებიც კი არ ჰქონდა. ჰოდა, რომ არ ჰქონდა, ამიტომ

გაატარა ღამე სხვაგან – ასე იტყოდა, ან უამრავი სხვა მიზეზის გამოგონებაც შეეძლო, კარისქალთან თავი რომ გაემართლებინა, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, დილა რომ არ ყოფილიყო, ახლა კი ნამდვილად ველარაფერს იტყოდა. ისე გამოდიოდა, თითქოს ჩაფიქრებული ჰქონდა მსგავსი რამის გაკეთება. შუადღისას, გასაღების გარეშე სახლიდან იმიტომ გავიდა, რომ საღამოს, ვახშმისთვის დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ დიდი ხნის უნახავ მეგობარ გოგოებსა და მათ მეგობარ ბიჭებს აჰყვა, რომლებთან ერთადაც, ჯერ ერთ-ერთის სახლში ივახშმეს, მერე კი დასალევად და საცეკვაოდ მეორესთან გადავიდნენ. ღამის ორი საათისთვის რაღა მნიშვნელობა ჰქონდა იმის გახსენებას, ედო თუ არა გასაღები ჩანთაში?! ამ დროს ვიღას ახსოვდა გასაღები?! ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ცოტა არ იყოს, ის ბიჭი შეუყვარდა. შეყვარებული იყო? ჰო, ცოტა შეყვარებული. მათი განზომილებებიდან უნდა აგერჩია შესაბამისი ტერმინები: ანუ, არც მეტი და არც ნაკლები. მართალია, ღამე ფორნეროსთან ერთად გაატარა, მაგრამ ეს მხოლოდ დიდი ემოცია იყო, მეტი არაფერი, და არც ღირდა ამაზე ლაპარაკი. იმ ბიჭთან ერთად უფრო იმიტომ იყო, რომ კარის გაღებას ელოდა; იცოდა, ექვს საათზე რომ გააღებდნენ და ამიტომაც იჩქარა დაბრუნება ამ დროისთვის. დამლაგებელი ქალიც შვიდ საათზე უნდა მოსულიყო და ასე ვერც გაიგებდა, სტეფანიამ ღამე გარეთ გაატარა თუ არა. მეუღლეს ამ დღეს აპირებდა დაბრუნებას.

მოკლედ, კარი დაკეტილი დახვდა და ახლა მარტო იდგა გარეთ, ცარიელ ქუჩაზე, სისხამ დილით. უცებ, ძალიან მოუნდა ლოგინში მეუღლესთან ჩახუტება და მის მკლავებში ღრმად ჩაძინება, დაცულად ყოფნა, მაგრამ მისი ეს სურვილი მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა, უფრო ნაკლებიც; ალბათ, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი არასოდეს

განუცდია. კარი ღიად რომ არ დახვდა, კი იყო მისთვის საწყენი, ძალიანაც, მაგრამ ამ სისხამ დილით მარტო რომ იმყოფებოდა ბინის წინ, მაინც მოსწონდა, სისხლს უჩქროლებდა რაღაცნაირად. არც კი უნანია, ფორნერო რომ გაუშვა. მასთან ერთად ყოფნისას, ამხელა ემოცია არ წარმოექმნებოდა. ახლა ტანში აჟრჟოლებდა ისე, როგორც ახალგაზრდობისას ემართებოდა, მაგრამ უფრო სხვანაირადაც, განსხვავებულად.

ნამდვილად შეიძლებოდა იმის თქმა, რომ არანაირად არ ნანობდა, ღამე გარეთ რომ გაატარა, პირიქით, შინაგანად თავს მშვიდად გრძნობდა, თანაც იმიტომ, რომ, როგორც იქნა, ცოლქმრული მოვალეობა გვერდზე გადადო, ამ ნაბიჯის გადადგმა მოახერხა, ან, თუნდაც, რომ გაუძლო ასეთ გამოცდას. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ითვლებოდა ერთგულად? სტეფანია საკუთარ თავს ეკითხებოდა ამას, მაგრამ პასუხში დარწმუნებული არ იყო, თანაც დილის ის ცივი ჰაერი და გასული ღამეც ტანში აჟრჟოლებდა. ერთი სიტყვით, უნდა ჩაეთვალა ეს ღალატად თუ არა? ხელები გრძელი პალტოს მკლავებში გაუყარა და აქეთ-იქით გაიარ-გამოიარა. სტეფანია რ. რამდენიმე წელია, რაც დაქორწინებულია და არასოდეს უფიქრია, მეუღლისთვის ეღალატა, მაგრამ იყო რაღაც, რაც მის ცხოვრებას ვერ ავსებდა, რაც აკლდა... თითქოს საკუთარი ახალგაზრდობიდან რაღაც კიდევ უნდა გაეგრძელებინა, თითქოს ის პერიოდი ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა და ახლა აპირებდა იქიდან გამოსვლას, ახლა დამდგარიყო დრო მეუღლისა და ყველას წინაშე თანასწორობისა. ღალატი იყო ეს? ღალატი იყო ფორნეროსთან ერთად გასეირნება?

საპირისპირო ტროტუარზე, ორი ბინის იქით, კაფე-ბარი გაეღოთ, დარაბები აენიათ. ქალს ცხელი ყავის დაღევა

მოუნდა და ბარისკენ გაემართა. ფორნერო ახალგაზრდა იყო და მასზე ფიქრი უაზრობად მიაჩნდა. მთელი ღამე ასეირნა მანქანით – მთაშიც იყვნენ, სანაპიროზეც გაიარეს, გარიჟრაჟამდე ისიამოვნეს; ბენზინის გარეშე რომ დარჩნენ, მანქანის მიწოლაც დასჭირდათ და ბენზინის ჩამსხმელი კაცის გაღვიძებაც. მოკლედ, ახალგაზრდული სეირნობა იყო, ახალგაზრდების მიერ გატარებული ღამესავით. სამჯერ თუ ოთხჯერ, ფორნერომ სახიფათოდაც კი იმოქმედა, მაგრამ გადარჩა... ერთხელ თავის ბინასთანაც მიიყვანა და დააჟინდა, ზევით ამომყევით, მაგრამ სტეფანია არ აჰყვა. კარგად მოიქცა? და ახლა? ახლა ფიქრიც არ უნდოდა ამაზე, მთელი ღამე ფეხზე გაატარა და ეძინებოდა; თუ პირიქით, ძილს ვერც კი გრძნობდა, ისეთ აფორიაქებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუმცა ლოგინში რომ ყოფილიყო, გათიშულივით დაიძინებდა; დამლაგებელს სამზარეულოს დაფაზე დაუწერდა, არ გამაღვიძოო, მაგრამ ქმარი მაინც გააღვიძებდა, როცა დაბრუნდებოდა, გვიანაც კი. კიდევ უყვარდა ქმარი? რა თქმა უნდა, უყვარდა. მერე? არაფერს ეკითხებოდა საკუთარ თავს. ისე, ფორნეროც კი უყვარდა ცოტა. ცოტა... მაგრამ ახლა, როდის გააღებდნენ იმ დაწყევლილ კარს?!

ბარში სკამები ერთმანეთზე იყო შეწყობილი. შიგ მხოლოდ ბარმენი იმყოფებოდა, დახლთან. სტეფანია გაბედულად მიუახლოვდა მას; არ ეუხერხულებოდა, იმ უჩვეულო დროს მარტო რომ იყო; თანაც ვის რა ეკითხებოდა?! იქნებ ახალი გაღვიძებული იყო და სადგურისკენ მიდიოდა ან იქნებ იმ წუთებში დაბრუნდა?! მერე იქ არც არავინ იყო ისეთი, მისი საქმის შესახებ რომ ეამბა. მას ასე სჭირდებოდა, ასეთი ნაბიჯის გადადგმას გრძნობდა და მთავარიც ეს იყო.

– ორმაგი ესპრესო, ცხელი! – ისეთი შინაურული ტონით მიმართა ბარმენს, თითქოს კარგა ხანია ერთმანეთს იცნობენო, თუმცა იმ ბარში არც კი შესულა ოდესმე.

– ახლავე, ქალბატონო! აპარატს გავახურებ და მოგართმევთ. – უპასუხა ბარმენმა, თან დაამატა: – მე უფრო მალე ვხურდები, ვიდრე ეს აპარატი დილაობით.

სტეფანიამ გაუღიმა, სახე საყელოში ჩაჰყო და სიცივისაგან წამოიძახა:

– ბრრრრ....

კიდევ იყო ერთი მამაკაცი ბარში – კლიენტი, რომელიც ვიტრინასთან იდგა და ქუჩისკენ იყურებოდა. სტეფანიამ მხოლოდ მაშინ შენიშნა ის, მის წამოძახილზე რომ შემობრუნდა. ამ ორი მამაკაცის ყოფნი, რაღაცნაირად შერცხვა ქალს, მოერიდა მათი და დახლის უკან, სარკეს გახედა ყურადღებით. არა, არ ეტყობოდა ღამე სახლის გარეთ რომ ჰქონდა გატარებული; მკრთალი ფერი ედო მხოლოდ. ამოიღო ხელჩანთიდან პუდრი და სახეზე გადაისვა.

კლიენტი კაცი დახლთან მივიდა. მუქი ფერის ქურთუკი ეცვა, ზედ თეთრი აბრეშუმის შარფი ეკეთა, ხოლო შიგნიდან ლურჯი ტანსაცმელი უჩანდა.

– ამ დროისთვის, – არავისთვის არ შეუხედავს, ისე დაიწყო საუბარი. – გაღვიძებულები ორ კატეგორიად იყოფიან: ძილღვიძილები და გაღვიძებულები.

სტეფანიას, მისთვის არც კი შეუხედავს, ისე გაეღიმა, თუმცა უკვე კარგადაც ჰყავდა შეთვალიერებული. კაცს რაღაცნაირი, პათეტიკური და ბანალური გამომეტყველება

ჰქონდა; აი, ისეთი, მამაკაცი სიბერეში შეუსვლელად სიბრძნისა და სისულელის ზღვარზე რომ ადგას.

– ... როგორც კი ლამაზ ქალს დაინახავ და „დილა მშვიდობისას“ ეტყვი... – დაიხარა სტეფანიას წინ, სიგარეტი პირიდან გამოიღო და მიესალმა.

– დილა მშვიდობისა! – უპასუხა სტეფანიამაც, ცოტა ირონიულად, მაგრამ არა სიბრაზით.

– ...მერე საკუთარ თავს ეკითხები, ისევ? უკვე? კიდევ? აი, ესაა სასწაული სწორედ!

– როგორ? – ისე ჰკითხა სტეფანიამ, თითქოს ვერ გაეგო მისი ნათქვამი, მაგრამ საქმე ის იყო, რომ არ უნდოდა საუბარში აჰყოლოდა.

კაცი მოურიდებლად უყურებდა, ათვალეერებდა, უსმენდა, მაგრამ სტეფანიას არ აინტერესებდა, კარგა ხნის გაღვიძებულების სიაში ჩაითვლებოდა თუ არა.

– და თქვენ? – ორაზროვნად ჰკითხა ქალმა, თუმცა მიხვდა, ეს ღამის ცხოვრებას მიჩვეული კაცი რიტორიკული საუბრით რომ უდგებოდა მას, მაგრამ არ შეიმჩნია, ერთი შეხედვითაც რომ მიუხვდა.

– მე... ისევ და ისევ! – თქვა კაცმა და ჩაფიქრდა... – არა, ხომ მიხვდით? – ღიმილით უთხრა ქალს. მერე ისევ ჩაფიქრდა და ცოტა ხანს ასე დარჩა, ნერწყვის ყლაპვით, თითქოს ყელს ინმენდსო, თანაც საკუთარ თავზე გაღიზიანებული... – დღის სინათლე მე არ მიზიდავს, ღამურასავით საპირისპირო მხარეს მაგდებს. – ისე წარმოთქვა ეს სიტყვები, გეგონებოდათ, რამე სპექტაკლში მონაწილეობსო.

– ეს რძე თქვენ, ქალბატონს კი – ესპრესო. – მოვიდა ბარმენი და შეკვეთილი მიაართვა ორთავეს.

კაცმა ცხელ რძეს ჯერ სულის ბერვა დაუწყო და მერე კი ცოტ-ცოტა მოსვა.

– კარგია? – ჰკითხა სტეფანიამ.

– საზიზღრობაა! დეზინფექციისთვისაა კარგიო, ამბობენ, მაგრამ მე რაღა დეზინფექცია მჭირდება უკვე?! გველმა რომ მიკბინოს, ის თუ მოინამლება.

– ჯანმრთელობა სანამ არის! – თქვა სტეფანიამ. წაიხუმრა ალბათ ცოტა.

– ჰო, რა თქმა უნდა. ერთადერთი ანტიდოტი ვიცი, და თუ გინდათ გითხრათ... – ვინ იცის, რის თქმას აპირებდა.

– რამდენი უნდა გადავიხადო? – ჰკითხა სტეფანიამ ბარმენს.

– ...ის ქალი, სულ რომ ვეძებდი... – აგრძელებდა ღამისმთეველი.

სტეფანია გარეთ გამოვიდა. უნდოდა გაეგო, კარი თუ იყო ღია; ტროტუარს გაჰყვა და ბინისკენ გაემართა, მაგრამ კარი ისევ დაკეტილი დახვდა. ამასობაში, კაციც გამოსულიყო ბარიდან, მას რომ გაჰყოლოდა, მაგრამ სტეფანია მობრუნდა და ისევ ბარში შევიდა. კაცი არ მოელოდა ამას; შეჩერდა, დაფიქრდა და მერე ისიც მობრუნდა ბარისკენ, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა და სხვა მხარისკენ გაუყვა გზას ხველებ-ხველებით.

– სიგარეტი გაქვთ? – ჰკითხა ბარმენს ქალმა.

თვითონ გათავებოდა; და ისე ძალიან უნდოდა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, სახლში შესვლისთანავე მოენია

ერთი ღერი. სიგარეტის მაღაზია ჯერ კიდევ დაკეტილი იყო.

ბარმენმა ერთი კოლოფი მიაწოდა. მან გამოართვა და თანხაც გადაუხადა. მერე ბარის შემოსასვლელისკენ გაემართა მოსაწევად. მოულოდნელად წინ ძალღი შემოეფეთა; ყელზე მობმული ქამრით პატრონს ექაჩებოდა, რომელსაც მხარზე თოფი გადაეკიდა და წელზე ვაზნები შემოერთყა, ნანადირევის ჩასაწყობი ჩანთაც თან ჰქონდა.

– დაჯექი, ფრიზეტე. – უბრძანა მონადირემ, მერე ბარმენს მიმართა: – ერთი ყავა!

– ლამაზია! – უთხრა სტეფანიამ და ძალღს თავზე ხელის გადასმით მოეფერა. – სეტერია?

– ეპანეულ ბრეტონია. – უპასუხა მონადირემ. – მდედრი.

ახალგაზრდა კაცი იყო, მულუშული სახე ჰქონდა ალბათ მორცხვობის გამო, სხვა მიზეზი არ ექნებოდა.

– რა ხნისაა?

– ათი თვის იქნება. დაჯექი, ფრიზეტე და ჭკუით იყავი!

– ეს ჩამოკიდებული ჩიტები? – ჰკითხა ბარმენმა.

– ოჰ, არაფერი. მივდივარ, ძალღი რომ ვარბენინო ცოტა.

– შორს? – ჰკითხა სტეფანიამ.

მონადირემ ერთი ადგილი დაასახელა. არ იყო შორს.

– მანქანით რამდენიმე წუთია. ათი საათისთვის დაბრუნებას ვაპირებ, სამსახურში უნდა გამოვცხადდე.

– კარგია. ლამაზია იქ. – უთხრა ქალმა.

არც კი უნდოდა საუბრის შეწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვან თემაზე არ ლაპარაკობდნენ.

– ხევია, მაგრამ ნათელი და სუფთა ადგილია, დაბალი ბუჩქებით. დილაობით ნისლმა ჩამოწოლა არ იცის, სუფთად ჩანს ყველაფერი და არ იბურება. ძაღლს ვხედავ, საითაც იყნოსავს და გაიქცევა.

– ათ საათზე რომ მენყებოდეს სამსახური, კარგა ხანს ვიძინებდი, რამდენიმე წუთით ადრე ავდგებოდი მხოლოდ.
– ჩაერია ბარმენი.

– ჰო... ძილი მეც მიყვარს, – უპასუხა მონადირემ. – მაგრამ იქ ყოფნა დილით, როცა ყველას სძინავს, უფრო მიზიდავს. ესაა ჩემი გატაცება.

სტეფანია გრძნობდა, რომ ამ ახალგაზრდა კაცის სიტყვებში დიდი სიამაყე იმალებოდა, მიძინებული ქალაქის წინააღმდეგ ყოფნა რომ სიამოვნებდა და ყველასგან გამორჩეულს ხდიდა.

– არ გენყინოთ, მაგრამ, ჩემი აზრით, თქვენ, მონადირეები, გიჟები ხართ. – უთხრა ბარმენმა. – არა, სხვა რამისთვის კი არა... აი, დილით ადრე რომ დგებით, ამიტომ.

– მე კი მესმის მათი. – თქვა სტეფანიამ.

– ჰო, რა ვიცი... – თქვა მონადირემ. – ესეც გატაცებაა.

კაცი სტეფანიას უყურებდა და ის თავდაჯერებულობა, რომელიც მანამდე ნადირობაზე საუბარში გამოხატა, თანდათან უქრებოდა; ხვდებოდა, რომ ბედნიერების პოვნა სხვაგანაც შეუძლებოდა და არა მარტო იქ, სადაც დღემდე ეძებდა.

– არა, მე მართლა მესმის თქვენი. წარმომიდგენია, ასეთ დილას... – უთხრა სტეფანიამ.

მონადირე შეყოვნდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო,
მაგრამ არ იცოდა, რა ეთქვა.

– როცა ასეთი მშრალი და გრილი ამინდია, ძალღი უფრო
კარგად მუშაობს, უკეთ ყნოსავს. – თქვა ბოლოს.

მონადირემ ყავა დალია და თანხაც გადაიხადა. ძალღმა
გარეთ დაუნყო ქაჩვა, მაგრამ ის რატომღაც აყოვნებდა
გასვლას.

– ხომ არ წამოხვიდოდით თქვენც, ქალბატონო? – წაეხუმრა
სტეფანიას.

– სხვა დროს რომ შევხვდებით ერთმანეთს, აი, მაშინ
ვინადიროთ კარგად! – გაუღიმა ქალმა.

– ეჰ... – მიმოიხედა აქეთ-იქით კაცმა, სალაპარაკო თემა
რომ ეპოვა რამე, მაგრამ მერე თქვა: – კარგი, წავედი.
სასიამოვნო დღეს გისურვებთ! – შებრუნდა და ძალღს
მინებდა, გარეთ გაჰყვა.

ახლა ერთი მუშა შემოვიდა და არაყი შეუკვეთა.

– ყველა ადრიანად გაღვიძებულს გაუმარჯოს! – თქვა და
ჭიქა ხელში ასწია. – განსაკუთრებით, ქალბატონებს.

ახალგაზრდა კაცი იყო, მხიარული.

– გაუმარჯოს! – უპასუხა სტეფანიამ.

– დილაობით ქვეყნის დამყრობლები გვგონია თავი. – თქვა
მუშამ.

– და საღამოობით არა?

– საღამოობით ძალიან დაღლილები ვართ და გვეძინება;
ფიქრის თავიც არ გვაქვს.

- მე კი დილით რას არ ვფიქრობ, ჯერ – ერთს, მერე – მეორეს... – ჩაერია ისევ ბარმენი.
- იმიტომ რომ სამსახურში წასვლამდე ერთი კარგი ვარჯიშია საჭირო, სირბილი. აბა, ჩემსავით ჰქენით, ქარხანაში მოტორიანი ველოსიპედით რომ დავდივარ და დილის სუსხი სახეში მეცემა!..
- ჰაერი ფიქრებს აგდებს თავიდან. – თქვა სტეფანია.
- ჰო. აი, ამ ქალბატონს ესმის ჩემი. – თქვა მუშამ. – და თუ ესმის, ჩემთან ერთად არაყიც უნდა დალიოს.
- არა, გმადლობთ! არ ვსვამ, მართლა.
- დილით სწორედ ესაა საჭირო. ორი არაყი, მაესტრო!
- არ ვსვამ. სერიოზულად გეუბნებით. თქვენ დალიეთ ჩემ მაგივრად, ჩემი სადღეგრძელო შესვით და უფრო მასიამოვნებთ.
- არასდროს არ სვამთ?
- როგორ გითხრათ... საღამოს, ზოგჯერ.
- ხედავთ? აი, ესაა შეცდომა.
- შეცდომებს, კი, საკმაოდ ვუშვებთ.
- გაგვიმარჯოს! – თქვა მუშამ და გადაუშვა პირში ჯერ ერთი, მერე მეორე ჭიქა. – ერთი და ერთი ორია. ახლავე აგიხსნით...

სტეფანია მართო საუბრობდა ამ უცხო კაცებში, მაგრამ საკმაოდ მშვიდად იყო და თავის თავში დარწმუნებული, არც არაფერი აწუხებდა. პირველი შემთხვევა იყო ეს მის ცხოვრებაში.

ბარიდან გამოვიდა, რომ გაეგო, კარი გაეღოთ თუ არა. მუშაც გამოვიდა, დაჯდა მოტორიან ველოსიპედზე და ხელთათმანები ჩაიცვა.

– არ გცივათ? – ჰკითხა სტეფანიამ.

– ჯავშანი მაქვს მაგარი. – თქვა და მკერდზე მიირტყა ხელები, საიდანაც გაზეთების ხმა გაისმა. მერე დიალექტით წარმოთქვა: – მშვიდობით, ქალბატონო!

ქალიც დიალექტით გამოემშვიდობა და მუშაც წავიდა.

სტეფანია მიხვდა, რომ რაღაც მოხდა მის ცხოვრებაში, რისი შეცვლაც უკვე შეუძლებელი იყო. დღევანდელი მისი ქცევა – უცხო მამაკაცებს შორის ყოფნა, რაღაცნაირ გავლენას ახდენდა მასზე. ღამისმთეველმა, მონადირემ, მუშამ, ბარმენმა, სუყველამ ერთად სტეფანიას მსოფლმხედველობა შეუცვალეს. დღეიდან ის სულ სხვანაირი იყო, განსხვავებული. სწორედ ეს წარმოადგენდა ღალატს, ანუ ამ უცხო ადამიანების თანასწორად რომ თვლიდა თავს. ფორნერო აღარც კი ახსოვდა უკვე.

ბინის კარი ღიად დახვდა. სტეფანია ისე ჩქარა შევიდა სახლში, რომ კარისქალმა ვერც კი დაინახა.

აკირა მიკიტო

ქარი და ტოტი და ჩიტი

(ლოგიკურ-კომბინატორული

თარგმნა ბეჟა ბარქაიამ



მართალია, კომპიუტერული პროგრამების მიერ შექმნილი პოეზია აღარავის უკვირს

და ერთმანეთისგან სულ უფრო რთული გასარჩევი ხდება ადამიანის მიერ დაწერილი და კომპიუტერული პროგრამით გენერირებული ლექსები, მაგრამ არიან პოეტები, რომლებიც ინტენსიურად ექსპერიმენტირებენ არა მაინცდამაინც პოეტური შთაგონების პირობითობის ან მისი დასასრულის ხაზგასასმელად, არამედ – ახალი ტექნოლოგიების ზეგავლენით შექმნილ ახალ კონტექსტში პოეტური ტექსტის აქამდე ნაკლებად აქცენტირებული

შესაძლებლობების წარმოსაჩენად. მათ შორის არის იაპონური პოეზიის ახალი თაობის წარმომადგენელი აკირა მიკიტო (დ. 1984), რომელიც თავის თავს იაპონური პოეზიის კლასიკოსთა, ტანიკავა შუნტაროსა (რომელიც ტარიელ ჭანტურიაშვილი გასული საუკუნის 80-იან წლებში თარგმნა ქართულად) და მაკოტო ოოკას მოწაფედ მიიჩნევს. ის ჰაიკუს არაორთოდოქსული, თავისუფალი ფორმის მიმდევარია, იმავდროულად კი ტრადიციული ესთეტიკისა და ლოგიკური ენის შეერთებას ცდილობს. მიკიტოს პოეზია, ავტორის თანახმად, ხელოვნური ინტელექტის კონტექსტში, მაგრამ აუცილებლად ხელით იწერება, ანუ ეს არ არის კომპიუტერული პოეზია გავრცელებული გაგებით, არამედ ტრადიციულ პოეზიაში ლოგიკურ-მათემატიკური ინსტრუმენტების ინტეგრირებით და კომპიუტერული პროგრამების ეპოქის გათვალისწინებით შექმნილი ლირიკაა. აქ საქმე ეხება არა კომპიუტერის მიერ გენერირებულ, ლოგიკურად საზრისიან და შინაარსობრივად უსაზრისო ტროპებს, არამედ – შინაარსობრივადაც და ფორმალურადაც გასაზრისიანებულ ტექსტებს. საქმე ის არის, თუ რა მექანიზმით ხდება მათი ამუშავდება. მიკიტოს ხელოვნების ფუნქციონირების სწორედ ეს ასპექტი აინტერესებს. მისთვის ნებისმიერი პოეტური ტექსტი მკითხველში ინდივიდუალური საზრისის მწარმოებელი არაინდივიდუალური მანქანაა, რომელიც გვიბიძგებს, ყურადღება გავამახვილოთ ლექსის ინსტრუმენტულ დანიშნულებაზე. თვით პოეტი, მიკიტოს აზრით, მხოლოდ კარგი ხელოსანი უნდა იყოს, რომელიც მკითხველში ემოციური და ინტელექტუალური ტკბობის გამომწვევ პოეტურ-მუსიკალურ ბარდახშებს ამზადებს. ავტორის ასეთი ფილოსოფია საქმეში ჩახედულ მკითხველს, ცხადია, ედგარ პოს „ყორნის“ ავტოანალიზს, ფრანგი

სიმბოლისტების ესთეტიკას, მაიაკოვსკის ლექსის კეთების აპოლოგიას, მაქს ბენზეს და შტუტგარტის სკოლის ძიებებს, ექსპერიმენტული პოეზიის უკვე გახალხურებულ ვარიანტებს და უამრავ სხვა მსგავს ტრადიციას გაახსენებს, საჭადრაკო კომბინატორიკაზე რომ აღარაფერი ითქვას. როგორც ამ ტრადიციის ადრეულ ნიმუშებში, იაპონელი ავტორის პოეზიაშიც შთაგონების ფსიქოლოგიასა და ლექსის კეთების ლოგიკას შორის მარადიული კონფლიქტი პროგრამულად შიშვლდება თვით პოეტური არტეფაქტის რეპრეზენტირების პროცესში.

ჰაიკუების წინამდებარე ციკლი თარგმნილია გერმანულიდან, გამომცემლობა “ანგკორის” თავაზიანი ნებართვით (აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ტექსტი, ავტორის სხვა ლექსებთან ერთად, მხოლოდ მომავალ წელს გამოიცემა გერმანიაში). თარგმანში ნაცადია ყველა იმ პოეტური ნიუანსის შენარჩუნება (ზოგჯერ გაქართულებაც კი), რომელზეც ჩემმა მეგობარმა იაპონელმა გერმანისტებმა მიმითითეს. მათვე ვუხდი მაღლობას ამ ავტორის პოეზიით ჩემი დაინტერესებისთვის.

მთარგმნელი

1.

ქარის სასწორზე ჩამომსხდარან
ტოტი და ჩიტი,
ულიმიან ერთმანეთს და ქარს აჯავრებენ.

2.

სულელი ჩიტი ხის ტოტზე ზის,
ირწევა და ასე ფიქრობს:
“ქარის ფიქრი ვარ”.

3.

ქარის წყალობით
ტოტმა ჩიტი
მოინადირა.

4.

ტოტზე ირწევა ჩიტის თვალი,
ეშმაკურად იღება და იხუჭება,
ქარს აქებებს ხის დასარბევად.

5.

ქარი,
რომელიც ტოტისთვის ქრის,
ჩიტისთვისაც ქრის.

6.

ჩიტი ტოტს სადღაც მიაქროლებს,
აფრასავით იბერება,
ქარი ზურგის ქარი ჰგონია.

7.

ქარი მასპინძლობს
ჩიტს, რომელიც
ხის ტოტს მასპინძლობს.

8.

ჩიტი და ტოტი
ერთმანეთთან ეიშპობენ და
ქარს უღიმიან.

9.

ქარი და ჩიტი
შეთქმულან და წელში ხრიან

გაზაფხულის ტოტს.

10.

ჩიტს უკვირს,
ტოტი როგორ ხედავს
ქარს, რომელსაც თავად ვერ ხედავს.

11.

ჩიტი და ტოტი
თვალს ქარისკენ აპარებენ:
თითქოს ერთურთს შეხვდნენ ფარულად.
12.

დაღლილ ჩიტს
სანდო ტოტს უწვდის
ქარი.

13.

დასკუპებულა ტოტზე ჩიტი,
სუნთქვას იკრავს აფრასავით,
თითქოს ქარი გადაუყლაპავს.

14.

ჩიტს და ტოტს შორის
ქარი ჩადგა,
მათი ვნების გასამძაფრებლად.

15.

ქარი იცინის
ჩიტის ფრთებში,
როცა ტოტი წელში იხრება.

16.

საბრალო ჩიტი,
ტოტს რომ სძლიოს,
თავში ქარს იცემს.

17.

ტოტს ჩიტი სტუმრობს,
მაგრამ ქარი
არა და არ ჩანს.

18.

ხეს ესიზმრა:
დამფრთხალმა ჩიტმა
ქარს სახეში ტოტი გააწნა.

19.

ქარის ალერსით დაბანგულ ტოტზე
ფებს ვერ იკიდებს
დაღლილი ჩიტი.

20.

ქარის სასწორზე
ტოტი და ჩიტი
ერთმანეთს მტრობენ.

21.

რა წამსაც ჩიტმა ფრთა გაშალა,
ტოტს სახეზე შეეყინა
ქარის ღიმილი.

22.

ქარი,
რომელიც ტოტისთვის ქრის,
არ ქრის ჩიტისთვის.

23.

ტოტი მასპინძლობს
ჩიტს, რომელსაც
ქარი მასპინძლობს.

24.

რა თავში იხლის
ტოტი ამ ჩიტს,
ქარი თუ ჩადგა?!

25.

ჩიტს
ტოტისკენ ააჩქარებს
ქარის გულისთქმა.

26.

ჩიტის წყალობით
ტოტმა ქარი
მოინადირა.

27.

ქარმა არ იცის,
რა უდევს გულში
ჩიტს, რომელიც ტოტზე ირწევა.

28.

აბა, ჩიტს და ტოტს
ერთმანეთი როგორ უყვარდეთ,
ქარმა ისინი ერთმანეთს თუ არ გადაჰკიდა?!

29.

ტოტს უკვირს,
ჩიტი როგორ ხედავს

ქარს, რომელსაც თავად ვერ ხედავს.

30.

ჩიტთან და ტოტთან
მოაღერსე ქარმა იგრძნო,
რომ თავს კარგავდა.

31.

ტოტი ირწევა ჩიტის თვალში,
რომელიც არ თმობს:
ხამხამებს და უკუაგდებს გაზაფხულის ქარს.

32.

ჩიტის გაშლილ ფრთას
შეაფარა ქარმა თავი,
ტოტი როცა წელში გასწორდა.

33.

ჩიტის ხსოვნა და ტოტის ხსოვნა
ქარის ხსოვნას
კრძალვით არწევენ.

34.

ხეს ესიზმრა:
ტოტზე მერწევ ჩიტს
ქარი თვალში ნაცარს აყრიდა.

35.

სულელი ჩიტი
ტოტს არწევს და ასე ფიქრობს:
“ქარის აფრა ვარ”.

36.

დარწეულ ტოტზე
ერთურთს ადგილი მოუნაცვლეს
ქარმა და ჩიტმა.

37.

ჩიტი მაშინ ქრის
ქარის ფიქრში,
ტოტი როცა ქრის.

38.

ტოტი და ქარი
შეთქმულან და ჩიტს ერჩიან:
თავბრუს ახვევენ.

39.

ქარი იცინის
ჩიტის ფრთებში,
როცა ტოტი წელში სწორდება.

40.

ჩიტი მასპინძლობს
ქარს, რომელსაც
ტოტი მასპინძლობს.

41.

როცა გაშალა ჩიტმა ფრთები,
თითქოს ხეს ტოტი
ქართან ერთად დაემშვიდობა.

42.

გაზაფხულის ტოტს
წელში ხრის და
ქარს არწევს ჩიტი.

43.

მაშ, ჩიტმა
ქარი აიკრიფა
და ტოტზე დაჯდა?

44.

ხეს ესიზმრა:
ტოტს უმხელდა ჩიტი უცნობ დარდს,
ხოლო ცრემლებს ქარში მალავდა.

45.

ქარის სასწორზე აწონილა იმ ჩიტის თვალი,
ტოტზე რომელიც ირწევა და
მზერით ზღვას სუნთქავს.

46.

ტოტის სასწორზე
ქარი და ჩიტი
ერთმანეთს მტრობენ.

47.

რა თავში იხლის
ჩიტი ამ ტოტს,
ქარი თუ ჩადგა?!

48.

ჩიტმა არ იცის,
რა უღევს გულში
ქარს, რომელიც ტოტზე ირწევა.

49.

ჩიტმა ქარს
ტოტი შესთავაზა,

რომელზეც იჯდა.

50.

ქარის ტოტზე დასკუპებულმა
ჩიტმა კვლავ იგრძნო,
რომ თავს კარგავდა.

51.

ჩიტი მაშინ ქრის
ტოტის ფიქრში,
ქარი როცა ქრის.

52.

ტოტი ჩიტს უხმობს,
რათა ამ ქარს
მადლობა უძღვნას.

53.

ხეს ესიზმრა:
ქარმა როცა ამოისუნთქა,
მისი სიზმარი მიითვისეს ტოტმა და ჩიტმა.

54.

ქარი და ჩიტი
გაზაფხულის
ერთ ტოტზე სხედან.

55.

ქარმა იჩქარა
და ტოტს ამცნო
ჩიტის გულისთქმა.

56.

ქარს და ტოტს შორის
ჩიტი ჩადგა
მათი ქიშპის გასამწვავებლად.

57.

ქარი არ ტუქსავს
ტოტს, რომელიც გაფრენილ ჩიტს
რწევა-რწევით ასდევნებია.

58.

აი, ქარს და ჩიტს საუბარი გაუხანგრძლივდათ,
ვერ გამართულა ტოტი წელში
და ჩუმად ოხრავს.

59.

ვისი სიზმარი მიითვისეს
ქარმა და ჩიტმა,
ტოტი როცა წელში გასწორდა?

60.

ქართან და ჩიტთან
მოაღერსე ტოტმა იგრძნო,
რომ თავს კარგავდა.

61.

მწუხარე ქარი
ტოტს არწევს და ასე ფიქრობს:
“ჩიტის სული ვარ”.

62.

ტოტი და ქარი
თვალს ჩიტისკენ აპარებენ:
თითქოს ერთურთს შეხვდნენ ფარულად.

63.


შორიდან არწევს
ჩიტის თვალი
ქარით დაღლილ ტოტს.

64.

და
ასე
შემდეგ.

ვლადას ბრაზიუნასი

ლექსები ლიტერვიურიდან თარგმნეს ნანა დევიძემ და მარიამ წიკლაურმა



ლიეტუველი პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი და ფოტოხელოვანი. ცხოვრობს და მოღვაწეობს ვილნიუსში. დაიბადა 1952 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ვილნიუსის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და ფილოლოგიის ფაკულტეტებზე. მუშაობდა უნივერსიტეტის ლიტერატურული გაზეთის რედაქციაში. თხუთმეტი წლის მანძილზე იყო გაზეთ

„ლიტერატურა და ხელოვნების“

მთავარი რედაქტორი. არის ერთ-ერთი დამფუძნებელი უნივერსიტეტის ფოლკლორული ექსპედიციისა, ლიტუველ მთარგმნელთა ასოციაციისა, დამფუძნებელი და ორგანიზატორია საერთაშორისო სახელოვნებო საზოგადოება „Magnus Ducatus Poesis“-ისა (magnusducatuspoesis.lt). 1996 წლიდან თავისუფალ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. დაახლოებით 32 ლიტერატურული პრემიის ლაურეატია სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთ. მათგან უმნიშვნელოვანესია 2013 წლის ეროვნული კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო პრემია, ხოლო 2017 წელს – ბალტიის ასამბლეის ლიტერატურული პრემია.

ვლადას ბრაზიუნასი ოცდაერთი პოეტური კრებულის ავტორი და მრავალი ნაწარმოების მთარგმნელია. 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში ის იყო ერთადერთი პოეტი, რომელიც ეწეოდა ქართული პოეზიის პოპულარიზაციას. თარგმნიდა როგორც ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს, ასევე თანამედროვე პოეტებსაც.

მოგონებები, მხოლოდ ჩემთვის რომაა ნაღდი

მბრწყინავ-მწკეპარი შოშიები
წითლად მღუარ ვაშლის ხეზე რომ
პანანინა კიბეებით ადი-ჩადიან,
სიზმრისეულ ანგელოსებს როგორ მიჰგვანან,
ძველი წმინდანის, იაკობის ძილიდან – მთაში,
შიშველ ქვაზე თავმიდებულის.

ობობებივით ადი-ჩადიან,
უჩინარი საბელებით ხან ცას სწვდებიან,
ხან სკნელთა ფესვებს.

სამყაროში, მამამ რომ დარგო დედამინის ღერძის გარშემო
საკუთარი ხელით, რომელიც ახალგაზრდულად ძლიერი
იყო,
ვიდრე ჩემი ხელია ახლა,

დავბრუნდი და დაძენძილი ახალწვეულის უნიფორმით
შემოვეხეტე.

ეგებ კიდეც სადმე ვიხილო, თუ შევძელი ამ შოშიებთან
ერთად აფრენა,
რომლებიც უკვე ანგელოსთა გუნდს შერეულან.

აღარაფერი არ დარჩენილა ზროსგან, ტოტისგან,
ფოთლებისაგან,
ერთადერთი, მიტოვებულ ბოსტანში ხედავ,
სისხლი რომ დასდის ძელს ობობისას.
წითელია, ალბათ კიდეც დიდხანს გაძლებდა.

არც კიბე მოსჩანს პანანინა საფეხურებით, არც ჭვარედი და
ხარიხები,
არც იუდასი, არც რეკრუტის ჩაჩაჩული შარვალი არ ჩანს,

არც რომ ენდო, რომ დაეყრდნო, ასეთი ვინმე:
მოგონებები მხოლოდ ჩემთვის არის ნამდვილი.

რეგისტრი

გუშინდელი დღე ცხოვრებას ჩემსას კვალში მორჩილად მიჰყვება განა?!

აქ – ცენზორთა ცეზურები თუ მეტრორითმული პაუზების უწყვეტი გამა.

იქ – ღაღღის ორ მწყობრ მოძახილს შორის კრიტიკოსის ჩხავილი ავად,

რომ თურმე ბევრს წერს ბრაზიუნასი, რომ არ უთანხმებს არავის ამას.

რომ საიდუმლო პოეტური ალქიმიისაა ქვეყანას მოსდო სალაყბო ამბად.

მათთვის ჭორები უმჯობესია, ვერც გრძნობენ, ბნკარი ცას სწვდება გვარლად,

ფეხშიშველი რომ დგას ფანჯარასთან და სარეკლამო ფოტოებს ფარავს,

ცდილობს, მთვრალ გულთან რითმა უპოვოს, თან უზუსტესი – პეგასის ბალანს.

რა შემიძლია, მხოლოდ სტრიქონებს თუ გადავხაზავ, ვუპოვი საბაბს,

რომ ვერ გავიგო, რომ გავიდა დღე გუშინდელი, და გასცდა სამანს,

უცნობი ბავშვის საჩხაკუნო აცოცხლებს დამჭკნარ ტოტებში თამამ

აზრს, რომ დამთავრდა სულყველაფერი,

ამართლებს კიდევ ბრმა ცხოვრების ავანს და ჩავანს.

* * * (ფეთქვა...)

ფეთქვა

შენია თუ უკანასკნელ შემოდგომისა.

შედგა

აყალო ფესვში და გრძნობ, ღრღნის უკვე თოში.

ცურავს

ტყიდან დაბლა და დაბლა ცოფიანი ღრუბელი სველი.

წკურავს

და უფრო მეტად ხრის თვალებს ტბისპირა ლელი.

პენტავს

ობობა და ამსხვილებს სამსხვერპლოდ ბადეს.

შეკვრა

შეტოკდა, სასაუბროდ აენყო ბაგე.

ბურდავს

ელვა ცეცხლს სპილენძის მსგავს ფიჭვების მაღლა.

უნდა

ყველაფერს გაეცალო, ის დროა ახლა.

სიტყვები ნუ შეგაშინებენ

ნესტიანი და გრძელი ღამის ჟამს,
ან დღისით, გულს რომ ჟანგი გამიჭამს,
როცა არც წმინდა ტყუილის მჯერა,
მაქვს ხოლმე ასე დუმილი ჩვევად.
მაგრამ სიტყვებო, გვერდს ნუ ამივლით,
ნუ გაჭიქდებით. ჟინის სამხილით,
ღელვით შფოთავენ, არ ოკდებიან: არ სურთ მაცალონ,
თავს დამძახიან: დაუთესავო მუჭა მარცვალო!

და მეც მზეს გავცქერ, წითელს და მაღალს,
ფურნის პურივით გამომცხვარ საგზალს.

ყველაზე ჩუმები

ასე აღმოჩნდა კაცში სიკვდილი,
აღმდგენელი ადამიანის, ღონემიხდილი,
სიფრიფანა და ყრუ ტიხარი,
სადაც სიტყვაზე ძალადობენ ლოთები ხოლმე,

შუაგულში კი იმ ვარდნარისა
უჩუმრად ოხრავს ადამიანი,
ქურდივით ფრთხილად, თითქოს უცხო სახლის კარს აღებს,
ტილოს ფლასები იმჩნევენ ნახევს

და ფუთავს ისიც ველზე თავმოყრილ
თუთიის ჯავშნით დაცულს, მოღობავს,
ძნელია ამის წარმოსახვაც, თქმაც და მოყოლაც.

დეფისი ძეგლზე –
არც ერთობის, არც გამოყოფის დასტური მყარი,
ცხადყოფს კი როგორ ინთქმება სიტყვა საგნებში ჟამით.

თავსხმა

რასაც ვწერ – სატროფოს სისხლით ვწერ,
სამშობლოს სუფთა აურით.

თითქოს ჯანზეა,
სიმართლეს

თუმც გვერდს ვერაფრით ავუვლი –
წვიმებმა დააბეჩავეს
მიწა, წაიღეს ლიებმა.

თავდაღმართებში მიცურავს,
ღვარს ღვარი სადაც მიება.

მუნჯივით ვდგავართ ორთავე,

თუმცა გუმანით ვიცით,
საით წაიყვანს ამ მიწას

წვიმის უტეხი ფიცი.

იქნება ხედავს ხეებსაც, სამოსს რომ იგრუშნიან,
ზროს იფარავენ ქარისგან, არასდროს იმრუშებენ.

შევხიდეებით, თავსხმათა მსხვერპლს და ვერასგზით
გამძლეს.

ასე ცოფდება აგვისტო, გაგიჟებული დაგვდევს.

არ იცის, უფრო მეტადღა, როგორ დაგვასხას თავბრუ.

ჩვენია, ჩვენი საგლოვი იმისი ყველა ტაბუ.

ორი ფრანგული საჭადრაკო ნოველა

ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ჩაბრაძემ



მჭიდროა კავშირი ჭადრაკსა და ხელოვნებას შორის. მათში ვხვდებით მსგავს სამოქმედო მექანიზმებს, რომლებიც წარმოსახვის თავისუფლებას ეფუძნება. მეტიც, ჭადრაკი თავადაა ქმნადობის მეტაფორა. ხელოვნებაში მისი ასახვის სიუხვეც ამას მოწმობს. ჭადრაკის თემას ვხვდებით მხატვრობაში, თეატრში, კინოში, მუსიკაში, ბალეტში... და ლიტერატურაში.

ლიტერატურისა და ჭადრაკის

წყვილზე, ყველაზე ხშირად, უთუოდ ცვაიგის “მოჭადრაკე” გვახსენდება, თუმცა თამაშთა მეფემ უამრავი ავტორი შთააგონა და ბევრი ნაწარმოების ცენტრშიც აღმოჩნდა. მწერალს მასში წარმოსახვის სიმდიდრე, სიმბოლოთა სიმძლავრე, მისტიციზმი, პოლიტიკური ქვეტექსტები და კომბინაციური დინამიკა იზიდავს, რასაც სიცოცხლის უსასრულო ვარიანტებთან მივყავართ.

რას ემსახურება ხელოვნება? “თამაშს, ფიქრობდა მალარმე, არაფრისგან ახალი სამყაროს შექმნას”. განა ჭადრაკიც ეს არ არის?! აქ მოყვანილი ავტორებიც თამაშობენ. თამაშობენ განსხვავებულად, ნამდვილითა თუ წარმოსახვითით, განსხვავებული სტრატეგიითა თუ

ტაქტიკით, განსხვავებულ სტილში, თუმცა ეს ისევ და ისევ ერთი და იმავე თეორიის ორი სხვადასხვა ვარიანტია.

ნიკოლა დელესალი (Nicolas Delesalle) 1972 წელს დაიბადა. იგი ყოველკვირეული ფრანგული ჟურნალის “ტელერამა” გრან-რეპორტიორი და გაზეთის “ებდო” მთავარი რედაქტორია. 2013 წელს მან საკუთარი ნოველებისთვის “ციფრული წიგნის მკვითხველთა” პრემია მიიღო. პირველი რომანი “მოთიბული ბალახის სურნელი” 2015 წელს გამოსცა. მეორე, “შუა ზღვაში” – 2016 წელს, ხოლო მესამე “ათასი მზე” – 2018 წელს. ჭადრაკის თემაზე მას არაერთი ნოველა აქვს დაწერილი. “ლასკერი-შლახტერი” ისტორიული რეალობის მხატვრულად გადაწერისა და წარსულის ჩემპიონთა პროფილის დახატვის მცდელობაა.



კარიმ მირაუი (Karim Miraoui) 1971 წელს დაიბადა, ქალაქ ნანტში. ამავე ქალაქის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მან მასწავლებლის საქმიანობას მიჰყო ხელი. იგი არის ნოველებისა და მოთხრობების ავტორი (ამჟამად მუშაობს

რომანზე, რომელშიც, როგორც თავად განაცხადა, რამდენიმე პასაჟს საქართველოს მიუძღვნის), რომელთა თემები ხშირად ფიქციურია. თავად პროფესიონალი მოჭადრაკე, მირაუი ხშირად იყენებს ამ თამაშს, როგორც მხატვრულ ხერხს. საინტერესოა, რომ მან დაიცვა დისერტაცია “მოჭადრაკის ტიპი ლიტერატურაში”. “ვაი შამათისგან” ტოტალიტარიზმის თემას ავითარებს, რომელშიც ჭადრაკი სახელმწიფოს ინსტრუმენტია.

მთარგმნელი

ნიკოლა დელესალი – „ლასკერი-შლახტერი“



1910
წლის
სუსხი
ანი
ბამთ
არია.
ვენას
ა და
ბერ
ლინშ

ი, ჭადრაკის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩი მიმდინარეობს. ერთმანეთს უპირისპირდებიან გერმანელი ემანუელ ლასკერი და ავსტრიელი კარლ შლახტერი. ჭადრაკი ჯერ კიდევ ისეთ მოსაწყენ თამაშად ითვლება, როგორც ფილატელიის კონკურსი. „სსრკ“ ჯერ არ არსებობს და არც თამაშთა მეფე ქცეულა „მასების ალბრდის“ მეთოდად.

16 წელია, რაც ლასკერი ჩემპიონია. პროფესიით მათემატიკოსსა და ფილოსოფოსს, ჭადრაკში „მკვლელის“ რეპუტაცია აქვს. იგი ცნობილია თამაშის ბრუტალური სტილით, თამამი შეტევებითა და მდულარე ტემპერამენტით.

კარლ შლახტერი კი, მასთან შედარებით, კრავს ჰგავს. ავსტრიელი მოჭადრაკე თავდაცვითი სტრატეგიების დიდი მიმდევარია, მშვიდად და განონასწორებულად თამაშობს, ერთ მანევრსაც არ ასრულებს დაუფიქრებლად. დელიკატური კაცია, რბილი, თავაზიანი და უბრალო. პარტიის წინ, მისი მოკრძალებული იერი თითქოს

მოწინააღმდეგეს ეუბნება: “მომიგე, თუ შეძლებ”. იგი ერთ-ერთი საუკეთესო თავდამცველია მსოფლიოში. პარტიების უმრავლესობას ყაიმით ამთავრებს. თითქმის არასდროს იგებს, მაგრამ ძალიან ძნელია მისი დამარცხება. სახე ფერმკრთალი აქვს, ნეკნები – ჩავარდნილი. 36 წლისაა და დედასთან და დასთან ერთად ცხოვრობს. გულუხვი, არასდროს სთხოვს მევალეს ვალის გასტუმრებას, მაშინაც კი, როცა ჯიბეში გროში არ უდევს. სამიდან ორ სადილს ტოვებს. საკუთარი არსებობისთვისაც კი ბოდიშს იხდის. ყველგან ჩრდილივით დადის. არ სურს, ვინმე შეაწუხოს. არც ეს მატჩი ყოფილა მისი სურვილი, ვენის კლუბმა სთხოვა და კარლიც მათი ხათრით დათანხმდა. მოგება არ აინტერესებს, ყაიმიც ჰყოფნის, თუმცა წაგების იდეას ვერ ეგუება. წაგება მას კიდევ უფრო აქრობს ამ სამყაროდან, ამ ისედაც ნახევრადარსებულ, ბარის ალკოჰოლიკი მევიოლინის შვილს.

მატჩი 10 პარტიად ტარდება. ფრის შემთხვევაში, ლასკერი ტიტულს ინარჩუნებს. პირველი პარტია ვენის კლუბში იმართება. ლასკერი სიგარას ეწევა, მასიური სახე და გამჭოლი მზერა აქვს. ეტყობა, რომ შემცბარია მოწინააღმდეგის იდუმალი პიროვნებით, ცხოვრებაში მისი ასეთი ეფემერული და ჭადრაკის დაფასთან ზედმიწევნით თავდაჯერებული ქცევით. თამაშისას, შლახტერი სულ სხვა კაცია: გამჭვირვალე, ფარფატა სხეული უეცრად მთლიანად მობილიზდება ერთადერთი მიზნისთვის – იხსნას საკუთარი მეფე. თამაშობს, არა მხოლოდ ტვინით, მთელი არსებით.

პირველი პარტია, ოთხსაათიანი ბრძოლის შემდეგ, მეორე დღისთვის იდება. ლასკერი პრესასთან მჭერმეტყველებს, შლახტერი ქრება. მეორე დღეს, 2 პაიკის გადამწყვეტი უპირატესობით, ავსტრიელი დიდხანს ფიქრობს. დარბაზში,

სიგარეტის კვამლის ღრუბლებში მოტივტივე დამსწრეთა სიჩუმე მეფობს. მხოლოდ ყავის მორევის ხმა ისმის. საბოლოოდ, ყველას გასაკვირად, შლექტერი ლასკერს ყაიმს სთავაზობს. გერმანელი მაშინვე იღებს ამ გულუხვ შეთავაზებას.

შემდეგი სამი პარტიაც ყაიმებით სრულდება. ლასკერი კვლავ დაუმარცხებელია.

მეხუთე პარტია ძალიან დაძაბულ ატმოსფეროში იწყება. მაყურებლები მარიენბრუკეს კაფეს გარს ეხვევიან. შლექტერი გზას ძლივს იკაფავს, დაფასთან ჯდება და... გონს ჰკარგავს: იგი საკუთარ სიღარიბეს მალავს. ექიმმა არ იცის, რომ მის პაციენტს, რამდენიმე კვირაა, თითქმის არაფერი უჭამია. მატჩი 3 დღით იდება. კარლი საავადმყოფოშია და ამჯერად საკვებზე უარს არ ამბობს. მატჩს ძალმოკრებილი უბრუნდება და ლასკერის შეტევებს კიდევ უფრო დიდი ენთუზიაზმით იგერიებს. მაყურებლები აღტაცებას ვერ მალავენ ამ გმირული თავდაცვის მიმართ.

და აჰა, ლასკერი უხეშ შეცდომას უშვებს და შლექტერი იგებს მეხუთე პარტიას! ეს პირველი შემთხვევაა, როცა ლასკერი არახელსაყრელ მდგომარეობაშია მსოფლიოს ჩემპიონატზე. ბუკმეიკერები მოთამაშეების კოეფიციენტს ცვლიან. ლასკერს ასეთი მოწინააღმდეგე ჯერ არ ჰყოლია.

გერმანელს შეუდარებელი სტილი აქვს. რისკზე მიდის, გაურკვეველ პოზიციებს ქმნის. მის სვლებს დაუფიქრებლის ელფერი დაჰკრავს, მაგრამ ყველაფერი მოფიქრებულია. ლასკერი მოწინააღმდეგეებს დანაღმულ ველში იტყუებს, რათა უკეთ გაანადგუროს ისინი. ისე არავის ხელენიფება ქაოსისგან მოგების შექმნა, როგორც ლასკერს. მან იცის, როგორ მიუდგეს თითოეულ მოწინააღმდეგეს: “ეს სვლა, ტარაშის წინააღმდეგ კარგია,

მაგრამ ცუდია იანოვსკისთან”. ლასკერი მათ ალყას არტყამს, ბოლომდე არავის ესმის მისი თამაშის ფილოსოფია.

მაგრამ შლახტერი მაგრად დგას. თავმდაბალი ყაიმების კაცი არ მიჰყვება პროვოკაციების ტალღას.

შემდეგი ოთხი პარტია ბერლინში იმართება და აქაც მხოლოდ ყაიმებია. შლახტერს ანგარიში ერთი ქულით მიჰყავს. ლასკერი ვერაფერს ახერხებს.

რჩება მეათე, ბოლო პარტია, გადამწყვეტი. თუ ესეც ყაიმით დამთავრდა, პრეტენდენტი შლახტერი მსოფლიოს ჩემპიონად გამოცხადდება.

უცნაური რამ ხდება ამ პარტიის მეათე სვლაზე: კარლ შლახტერი, პირველად თავის სიცოცხლეში, უტევს! 10...b4:



სწორედ ეს სვლა, მეათე პარტიის მეათე სვლა დარჩება ყველაზე აგრესიულ სვლად შლახტერის საჭადრაკო კარიერაში. ლასკერი, ასისტენტები და მაყურებლები გაოცებას ვერ მალავენ. შლახტერი საკუთარი ტყავიდან გამოძვრა, და ეს მაშინ, როცა ტიტულის მოსაპოვებლად ყაიმიც ჰყოფნის, ყაიმი, რაც მას

ასე ეხერხება. მაგრამ არა, იგი უტევს... მეთხუთმეტე სვლაზე, ლასკერი შეცდომას უშვებს. შლახტერი უპირატესობას იღებს. ბუკმეიკერები კვლავ ცვლიან კოეფიციენტს. პოზიცია ისეთი ტაქტიკურია, ყაიმი წარმოუდგენელი ხდება. ეს იყო, ალბათ, ყველაზე

მართალი მომენტი შლესტერის ცხოვრებაში: იგი გაეცა იმას, რასაც მუდამ წარმოადგენდა. მან მიისაჯა: “ან მოგება, ან წაგება”.

ოცდამეთხუთმეტე სვლაზე, ლასკერის ეc4-ის შემდეგ, შლესტერი 40 წუთს ფიქრობს:



დარბაზში ჩურჩულებენ, რომ, თუ იგი ეტლს d8-ზე ითამაშებს, იგებს^[5]. ავსტრიელი უთუოდ ხედავს ამ სვლას. მას ხომ ყველა ხედავს. მაგრამ კარლი არა და არ თამაშობს. კარლი ფიქრობს. ბოლოს, ერთსათიანი ფიქრის შემდეგ, როგორც იქნა, თამაშობს ეტლს...

...f4-ზე.

ლასკერი ქორის თვალებს ახელს, უღვაშიან ნისკარტს იქექს და სულ რამდენიმე სვლაში ანადგურებს შლესტერს.

გერმანელი ტიტულს ინარჩუნებს.

არადა, როგორ ჯობდა შლესტერის თამაში, ამ დღეს, ლასკერისას!

ემანუელ ლასკერი

კარლ შლესტერი

ლასკერი, ამ მატჩიდან 11 წლის მანძილზე, ჩემპიონად რჩება.

კარლ შლესტერი კი სამუდამოდ ეშვება ანონიმურობასა და სიღარიბეში... და კვდება მატჩიდან 7 წლის შემდეგ, 44 წლისა, შიმშილისგან. მის სხეულს ქუჩაში პოულობენ.

კარიმ მირაუი – ვაი შამათისგან

ტალს და 64 უჯრის
სხვა გენიოსებს

მებღვაურმა დუელის კოლოფი ჩართო და მოწინააღმდეგის დაბნევის იმედით, მედგრად ითამაშა b4. ეს წინასწარვე მარცხისთვის იყო განწირული.

ანტონოვიჩმა ზუსტად არ იცოდა, როდიდან მოქმედებდა ეს საშინელი კანონები, კატეგორიულად რომ კრძალავდა ძალადობის მცირე შესტსაც კი. იგი “შამათის თაობისა” გახლდათ და შესაბამისად, არასდროს სცოდნია კონფლიქტის მოგვარების სხვა საშუალება, ჭადრაკის გარდა. მეტიც, მასწავლებლობამდე, ჭადრაკის დიპლომიც კი ჰქონდა აღებული. რასაკვირველია, ეს არ ჩანდა მის ფუნჩულა ლოყებზე და აბურძგნულ წაბლისფერ თმაზე. მას არ ჰქონდა თანამოძმეთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელი, ჩამომდნარი სახე და გაშეშებული ნაკვთები. სათვალესაც კი არ ატარებდა – საჭადრაკო დაბრიყვებისთვის აუცილებელ გარეგნულ ინსტრუმენტს. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო ესხმოდნენ მას თავს უნიჭო ვიგინდარები. ცხადია, შეხლა დიდხანს არ გრძელდებოდა, იგი შეუდარებლად ძლიერი იყო, მაგრამ ძალიან განიცდიდა, როცა მოწინააღმდეგის თავისუფლების, სხეულის ხელშეუხებლობისა და ზოგჯერ სიცოცხლისთვისაც კი წერტილის დასმა უწევდა, აცხადებდა რა გარდაუვალ “ქიშსა და შამათს”.

“ზღვა ყარს! როგორ ატარებს ეს საბრალო თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს ამ წუმპებზე?” – გაიფიქრა ანტონოვიჩმა და b4-ს d5-ით უპასუხა.

მოთამაშეები პარტიის დანყების შემდეგ არ განძრეულან. ფეხმორთხმულნი ისხდნენ პორტის სველ ქვაფენილზე, ორ უშველებელ ყუთს შორის. ამას კანონი ითხოვდა. მეზღვაური თავს დაესხა ანტონოვიჩს და ფული მოსთხოვა. შესაბამისად, ისინი თავდასხმის ადგილზევე ჩამოჯდნენ სათამაშოდ. ჭადრაკი მეზღვაურმა გაშალა, რომელიც მუდამ შეიარაღებული გადაადგილდებოდა, როგორც მოქალაქეების უმრავლესობა. თავდამსხმელს, წესის თანახმად, თეთრებით უნდა ეთამაშა, რადგან იგი მოულოდნელობის უპირატესობას ფლობდა. მოთამაშეებს პარტიის პირობები დუელის კოლოფში დაერეგისტრირებინათ, რომელიც შვიდი წლის ასაკიდან, თედოში ჰქონდათ ჩანერგილი: თავდამსხმელის გამარჯვების შემთხვევაში, მეზღვაური ფულს წაართმევდა ანტონოვიჩს, რომელიც წყალში უნდა გადავარდნილიყო. ხოლო თუ ანტონოვიჩი მოიგებდა, მილიცია დააკავებდა მეზღვაურს და ორი კვირით სატუსალოში მიაბრძანებდა. სხვათაშორის, მილიცია, რომელიც სასიგნალო შეტყობინებებს კოლოფებიდან იღებდა, უკვე აქ იყო და დუელის წესების ფარგლებში ჩატარებას უზრუნველყოფდა. თითოეული მოქალაქე, კანონის თანახმად, მსგავსი კოლოფით იყო აღჭურვილი, რომელიც თავის მხრივ, ცენტრალურ გამრიგებელზე იყო მიერთებული. ეს უკანასკნელი მოქალაქეთა გულისცემას ამოწმებდა, რათა წინასწარ გამოეცნო მოსალოდნელი ძალადობრივი ქმედება და ეს მილიციისთვის ეცნობებინა.

“ყოველ ინდივიდს, რომელიც ძალისმიერი საშუალებით, მოქალაქის სხეულის ხელშეუხებლობას დაარღვევს, დაუყოვნებლივ დააკავებს მილიცია – ერთადერთი ორგანო, რომელსაც დამნაშავისგან დაუმორჩილებლობის

შემთხვევაში, აქვს ძალის გამოყენების უფლება...” – ამბობდა კანონი.

ასეთ შემთხვევებში, მილიციას ჰაერის ბუშტი შეჰყავდა შფოთის ამტების სხეულში და მას გულისცემას უჩერებდა. ეს უკიდურესი მეთოდი, მიუხედავად რამდენიმე სრულიად გასაგები უარყოფითი ინტერპრეტაციისა, წარმატებით მუშაობდა. დროსთან ერთად, სხეულებრივი ძალადობაც აღმოიფხვრა, უფრო სწორად, გარდაიქმნა, რაზეც მეტყველებდა მრავალრიცხოვანი საჭადრაკო დაპირისპირება და “არახელსაყრელ” უბნებში გამეფებული შიშის კლიმატი.

მებღვაურმა ჯერ ეტლი დაკარგა, შემდეგ კი მხედარი. ოცდამესამე სვლაზე, ანტონოვიჩმა პაიკი გ1-ზე წასწია, მეორე ლაზიერი გააცოცხლა და საბოლოოდ გამოუტანა განაჩენი მოწინააღმდეგეს, გამოუცხადა რა მას ყოველგვარი სიამაყისგან დაცლილი:

– ქიში და შამათი!

შემდეგ წამოდგა, ნოტიო საჯდომი შეიმშრალა და გზა ისე განაგრძო, რომ არც კი უდარდია მისი საბრალო მსხვერპლის ბედ-იღბალზე. მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ დაგვიანების გამო, პროვიზორთან თავი უნდა ემართლა.

რამდენიმე დღის შემდეგ, “ახალი ენციკლოპედიის” ფურცვლისას, ანტონოვიჩმა აღმოაჩინა, რომ სიტყვები “მკვლელობა” და “ბოროტმოქმედება” არქაიზმებად განიხილებოდა. “აი, კარგი თემა სამოქალაქო განათლების ხვალინდელი გაკვეთილისთვის!” – გაიფიქრა მან და უბნის ბიბლიოთეკაში წასვლა გადაწყვიტა. ორმოცდაათიოდე ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ აქოშინებული, გულის ასარევად

შეჩერდა და გვარიანადაც შეუკურთხა 2042-ე განკარგულებას, რომელიც აირსაწინააღმდეგო ნიღბის ტარებას კრძალავდა. “ბუნებრივი შერჩევა!” – უთითებდა ხელისუფლება. “არადა გარემოს დაბინძურებაში არაფერია ბუნებრივი.” – ფიქრობდა ანტონოვიჩი. მართლაც, მხოლოდ გულუბრყვილოს თუ გამოეპარებოდა აღნიშნული განკარგულების ორმაგი მიზანი: სიკვდილიანობის გაზრდა, რაც საუკუნის ბოროტებას – ჭარბმოსახლეობას აღმოფხვრიდა; და უსაფრთხოებისა და გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლის მოტივით, მოქალაქეებისთვის სახლში გამოკეტვის იძულება. თუ პირველი მიზანი იოლად მიიღწა, მეორე ჯერ კიდევ შორეულ პერსპექტივად რჩებოდა. ამას მოწმობდა მრავალრიცხოვანი საჭადრაკო ორთაბრძოლა, ქუჩებში რომ ყოველდღიურად გადაეყრებოდით, და “სახურავივით დაბალი და მძიმე ცარგვალი^[6]“, შუადღის ქალაქს რომ ბინდ-ბუნდში სძირავდა. საუკუნის დასაწყისის გაშმაგებული ინდივიდუალიზმის მარცხით იმედგაცრუებულ ხალხს აღარ შერჩენოდა წარსულის შეცდომების გამეორების სურვილი.

ანტონოვიჩმა გაპარტახებულ და უკაცრიელ ბიბლიოთეკაში შეაბიჯა. მსგავს მდგომარეობაში იყო ქვეყნის კულტურული დაწესებულებების უმრავლესობა. მთავრობას “მცირე სახსრები და სხვა პრიორიტეტები” ჰქონდა. მასწავლებელმა XVIII ს-ით დათარიღებული ნაშრომი, “კანონთა გონი” გადმოიღო, პატარა მაგიდას მიუჯდა და კითხვას შეუდგა. “ამ “გონმა” დღეს სახე იცვალა. დემოკრატებს კი ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ხალხის სასიკეთოდ იღწვოდნენ... როგორი შორსმჭვრეტელები იყვნენ ჩვენი წინაპრები!” – გაიფიქრა მან ოცდამესამე თავის კითხვისას:

“მოსახლეობა და კანონმდებლობა: როგორც წესი, სახელმწიფოს სიმცირე ხელს უწყობს დემოგრაფიულ ზრდას, სიდიდე კი, პირიქით, აფერხებს მას. ამგვარად, პატარა ბერძნული ქალაქების კანონმდებლობა ეფუძნებოდა შობადობის კონტროლს.”

მან უბრალოდ არ იცოდა, რომ მომავლში, მხოლოდ სახელმწიფო კი აღარ იქნებოდა ვინრო, არამედ თავად დედამინა. მხოლოდ ყველაზე თამამი ან ყველაზე პესიმისტი დემოგრაფები თუ იწინასწარმეტყველებდნენ, რომ ამ საუკუნის დასასრულს, პლანეტას ოთხმოცი მილიარდი ინდივიდის ატანა მოუწევდა.

ბიბლიოთეკიდან გამოსვლისას, ანტონოვიჩი ზედმეტი თავაზიანობის გარეშე დაემშვიდობა ბიბლიოთეკარს, რომელსაც “რადიკალად” იცნობდა და რომელიც მზად იყო, მილიციისთვის ეცნობებინა მისი დაწესებულებით ზედმეტად ხშირად დაინტერესებული “მეამბოხე სულების” შესახებ. “დისიდენტი მასწავლებელი” – ეს “ცუდ ტონად” ითვლებოდა!.. ანტონოვიჩი ბიბლიოთეკართან საუბარს ერიდებოდა. სახელმწიფოს არაოფიციალური წარმომადგენელი, ძალიან მოკლე დროში, ყველაზე უარესი სისულელეებისა და გულშემომყრელი ბანალურობების ციტირებას ახერხებდა. ანტონოვიჩი რომ განათლების მინისტრი ყოფილიყო, უთუოდ რიტორიკის სწავლებას აღადგენდა. იგი მხოლოდ ფორმას აქცევდა ყურადღებას, როცა მსგავსი არსება ელაპარაკებოდა. მან იცოდა, რომ ქვეყანა ჯამბაზებითაა სავსე, რომელთა ძაფები სახელმწიფოს უჭირავს... თუმცა იძულებული იყო, ნდობა მაინც შეენარჩუნებინა. დემოკრატია მეტისმეტად მყიფე იყო, რომ მისთვის სახალხოდ გაელაშქრა...

ანტონოვიჩს მღვრიე ფიქრები კიდევ უფრო აემღვრა, როცა მისკენ მომავალი დეკადენტების ჯგუფი შეამჩნია. ეს ახალგაზრდები ყოველთვის ჯგუფ-ჯგუფად დაყიალებდნენ, რათა მსხვერპლს მათთან ერთდროულ სეანსში შებრძოლება ვერ გაეებდა. საკმარისი იყო, დეკადენტებს მრავალი პარტიიდან ერთ-ერთი მოეგოთ, რომ მთელი ნადავლი მათ რჩებოდათ. შესაბამისად, მსხვერპლი ხშირად, უბრძოლველად უთმობდა მათ მთელს თავის ავლადიდებას. თუმცა ერთ-ერთმა, რომელიც ჯგუფის თავი ჩანდა, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, დანარჩენებს ანიშნა, რომ თავს გზის მეორე მხარეს მოსიარულე მოხუცს უნდა დასხმოდნენ. “დარწმუნებული ვარ, მიცნო. – გაიფიქრა ანტონოვიჩმა – სიიოლის გზას დამდგარი, ჩემი ერთ-ერთი ყოფილი მოსწავლე იქნებოდა.” ქუჩაში გასვლა დღითიდღე სახიფათო ხდებოდა. ამას მოწმობდა მიწაზე განრთხმული სხეული მოხუცისა, რომელიც იმ დროის კაცი იყო, ჭადრაკი რომ მხოლოდ თამაში გახლდათ.

მასწავლებელმა უახლოეს კაფეს მიაშურა, უკანასკნელ თავისუფალ სივრცეს, რომელიც ძირითადად ახალგაზრდებისთვის იყო განკუთვნილი. ზოგადად კი, მთავრობა მოქლაქეებს არ ურჩევდა “ამ მეტად საშიშ დაწესებულებაში” სიარულს. ანტონოვიჩს სული შეეხუთა პატარა, გაკვამლულ კაფეში შესვლისას, თუმცა მაინც შეერია ახალგაზრდებს, ძირითადად სტუდენტებს, თავისუფალი მაგიდა იპოვა და ვისკი-ლუდიც შეუკვთა. “ო, ეს სიქორფე, ეს თავისთავადობა! იქნებ ესაა ბედნიერება? საამო სასმელი! ახალგაზრდების ჟრიამული!.. სულაც არ ვარ იძულებული, იმ ბოროტებაზე ვიფიქრო, რაც გარეთ სუფევს...” – ნებივრად გაიშხლართა სავარძელში ანტონოვიჩი და თავი ურბანულ ნირვანას მისცა.

პიროვნება, რომელიც დაუპატიუებლად, მის წინ ჩამოჭდა, სხვა კლიენტებისგან გამოირჩეოდა. მუქი ფერის კოსტიუმი, მენამული ჰალსტუხი, სწორი ნაკვთები, წონოლა თვალები და მრუდე ცხვირი მას უასაკოს ხდიდა. მხოლოდ მსუბუქი სიქაჩლე უაშკარავებდა ორმოციოდე წელს. მან ჯერ პომიდვრის წვენი შეუკვეთა და მხოლოდ შემდეგ ინება გაოცებულ მასწავლებელთან ლაპარაკი:

– ჩვენს სიცოცხლებს ვდებ ამ პარტიაში.

– უკაცრავად? არ მესმის რას გულისხმობთ...

უცნობს ფიგურები უკვე ამოელო და ოლიმპიელის სიმშვიდით ალაგებდა იმ ოცდათორმეტ უჯრაზე, სადაც მათი საწყისი ადგილია.

– და რატომ სასიკვდილო დუელი? რა სისულელეა...

ანტონოვიჩი წუთიერი სამოთხიდან კვლავ უმოწყალო ჯოჯოხეთში ეშვებოდა, სადაც სიკვდილს თავისი უფლებები აქვს. უცნობი საუბარს არ აპირებდა, მას კი სურდა, სცოდნოდა... კიდევ ერთხელ... ვინ იცის, ბოლოჯერ... თუმცა დუელის კოლოფი უკვე აჩვენებდა პარტიის პირობებს. უცნობმა მეფის პაიკი დაძრა და დარბაზში მილიციაც გამოჩნდა. მოწინააღმდეგის პიროვნებისა და დუელის პირობების გათვალისწინებით, ანტონოვიჩმა უარი თქვა ჩვეულ სიცილიურ დაცვაზე და მეტოქეს სიმეტრიული სვლით უპასუხა. მესამე სვლაზე, f4-ზე პაიკის შეწირვით, უცნობმა გეზი სახიფათო ვენური პარტიისკენ აიღო. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ დუელი მალევე დასრულდებოდა, თანაც აუცილებელი სიკვდილით. უცნობს სრულყოფილად უნდა ეთამაშა, რომ ამ დებიუტის მრავალრიცხოვანი მახე აეცილებინა.



მეჩვი
დმეტ
ე
სვლა
განსა
კუთრ
ებით
კრიტ
იკულ
ი
გამო
დგა.
ანტო
ნოვი

ჩმა მიიღო თეორიული შენირვა, მოსალოდნელი ახალი ხაფანგების მიუხედავად. უცნობმა, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, მეფის ფრთაზე სასტიკი შეტევა წამოიწყო. სიცხე აუტანელი ხდებოდა. კრინტს აღარავინ ძრავდა კაფეში, სადაც მილიციის ყოფნის მიუხედავად, უმაღლეს ხელოვნებაში გამობრძმედილი რამდენიმე სტუდენტი დარჩენილიყო და ტიტანთა შერკინებას უცქერდა. მართლაც, ორივე მებრძოლი საუკეთესო სვლებს აკეთებდა და ამით საკუთარ ოსტატობას უსვამდა ხაზს. ანტონოვიჩი, თითქოს პარტიამ შეისრუტაო, ისე იყო მთელი სხეულით დაფისკენ დახრილი. თუმცა მაინც ვერ გაეგო, ვინ იყო ეს კაცი, უცნობ მოთამაშესთან რომ სიცოცხლეს რისკავდა. საბოლოოდ, ყველაზე ნაკლებსავარაუდო ვერსიებში დაკარგულმა, მოწინააღმდეგის დაუინებული შეტევის მოეგერიების მიზნით, პაიკით ითამაშა. დარბაზს დამსწრეების ჩურჩულმა დაუარა: ამ სვლით, ანტონოვიჩი მოწინააღმდეგის თეთრ კუს დიდ დიაგონალს უხსნიდა. ამ სვლის სტრატეგიული სისუსტის გაცნობიერებამ

მასწავლებელს დღის ის არასასიამოვნო მომენტი გაახსენა, რის შემდეგაც იგი აქ გამოეშურა.

პროვიზორი ანტონოვიჩს ღიმილით უცქერდა. ეს პირველი შემთხვევა იყო მათი თანამშრომლობის შვიდი წლის მანძილზე. მაგიდის მეორე მხარეს, საკუთარი ბედისწერის პირისპირ მჯდარი მასწავლებელი დაანალვლიანა ამ პარადოქსმა: “უტიფრად ცილს მწამებენ; სახიფათო გადახრებში მადანაშაულებენ, რადგან მოსწავლეებს წარსულს ვასწავლი, ანმყო რომ გაიგონ; ამისთვის კონფისკაცია მემუქრება... ეს ნაძირალა კი კმაყოფილებისგან იკრიჭება! აქამდე, მისი ღიმილი არავის უნახავს. არადა, კარგად ვიცნობ, არ არის რაპორტის დამწერი! მაშ, რატომ – ეს ღრმული მის ცხიმთან ლოყაზე?”

უცნობს საპასუხო სვლის გაკეთება არ დაუყოვნებია. მან მხედარი მუქარას გამოარიდა და ანტონოვიჩის მორიგი თავდაცვითი სვლის შემდეგ, კუ ფიანკეტოდან განავითარა. ეს გადამწყვეტი შეტევის მზადებას ჰგავდა. შავების კონტრთამაში ძალიან მწირი იყო იმისთვის, რომ თეთრები შეტევის ხაზიდან მოებრუნებინა. ამგვარად, შეტევის შესაკავებლად, ანტონოვიჩმა მოგებული ფიგურა უკანვე დააბრუნა და მეტოქეს მიმართა:

– თქვენი სახელი არ გითქვამთ.

– ჩემი სახელი არაფერს გეტყვით. კაენი მქვია.

თუ მასწავლებელს, აქამდე, ის უკვირდა, რომ ასეთი დონის მოჭადრაკეს ფიზიკურად არ იცნობდა, მისი სახელის არცოდნამ მთლად სახტად დატოვა. თუმცა მისი კონტრშენირვის შემდეგ, უცნობის თავდაჯერებულობას სიმყიფე დაეტყო. პარტიის მდინარებაც კალაპოტს დაუბრუნდა. ასე გაგრძელდა მომდევნო რამდენიმე სვლის

მანძილზე, სანამ თეთრებმა მორიგი, ამჯერადაც კოზიციური უზუსტობა არ დაუშვეს. უთავბოლო ფიქრებში ჩაძირული ანტონოვიჩის ტვინი თუხთუხებდა და ერთმანეთში ურევდა ჭადრაკის დაფასა და გარესამყაროს. მარცხნივ, დაორთქლილ მინაზე, პროვიზორის უგვანო სახე გამოიკვეთა.

კაენმა მომდევნო სამი სვლა დემონური სიზუსტით ითამაშა და მოწინააღმდეგე მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა. რაც უფრო ეკვროდა მარწუხები ანტონოვიჩის მეფეს, მით უფრო გრძნობდა იგი ციებ-ციხელების შემოტევას, რომელიც მხედველობასა და ანალიზს უმღვრევდა. მცირე ხნის წინ, თითქოს, დარბაზის გაკვამლული სიღრმიდან მისკენ მომზირალი ბიბლიოთეკარი შეამჩნია, მაგრამ ახლა მას ვეღარ პოულობდა. ძალისხმევისგან შეჭმუხნილი შუბლიდან ოფლი მსხვილ მარგალიტებად ეღვრებოდა. მას შთაბეჭდილება დარჩა, რომ მოწინააღმდეგე წინასწარ იცნობდა პარტიის ბედ-იღბალს. “ის ხომ ასე დარწმუნებულია გამარჯვებაში! მას ხომ ნერვიც არ უტოკავს, თითქოს თავისი სიცოცხლისთვის არ თამაშობდეს!” – ამ აზრმა შეაძრწუნა ანტონოვიჩი, რომელიც ხედავდა, თუ თანდათან, როგორ ეხდებოდა ფარდა ჭადრაკის ამ პარტიას.

მეტოქის მიერ მისი ეტლის აყვანას ანტონოვიჩმა, ყველასათვის მოულოდნელად, ლაზიერის სვლით უპასუხა, რაც აშკარად წამგებიანი იყო. დარბაზში მკვდრის სიჩუმე ჩამოვარდა. სინამდვილეში, ანტონოვიჩი აღარ თამაშობდა. უკვე მანაც წინასწარ იცოდა დუელის შედეგი, ვინაიდან მიმხვდარიყო მეტოქის ნამდვილ ვინაობას! ეს გახლდათ... ერთდროულად, მისი ბიბლიოთეკარი, პროვიზორი, ბინის მესაკუთრე, მოსწავლეების

მშობლები...! სახელმწიფოს თავისი კოჭლი ჯამბაზის მოსპობა გადაეწყვიტა და მას სხვა ჯამბაზი მიუგზავნა, მისი ფლიდი ზრახვების აღმასრულებელი.

ანტონოვიჩმა თვალები დახუჭა და ხელები დაფისკენ დაუშვა. ყურების ბზუილის ფონზე, საბოლოო განაჩენად მოესმა დუელის კოლოფის მიერ სახელმწიფოს გამარჯვებულად გამოცხადება, სანამ უხმაუროდ, დაფაზე პირქვე განერთხმებოდა.

იატაკზე კუ^[7] დავარდა.

[1] კუპერთაუნი – ქალაქი, სადაც მდებარეობს ბეისბოლის ისტორიის მუზეუმი.

[2] „ნუ დაჯდები ვაშლის ხის ქვეშ...“ სიტყვები ამერიკაში მეორე მსოფლიო ომის დროს პოლულარული სიმღერიდან Don't Sit Under the Apple Tree („With Anyone Else but Me“ გლენ მილერისა და the Andrews Sisters შესრულებით.)

[3] *“Oh, say can you see, by the dawn's early light, what so proudly we hailed—” სიტყვები ამერიკის ეროვნული ჰიმნიდან.

[4] “the bombs bursting in air, gave proof” სიტყვები ამერიკის ეროვნული ჰიმნიდან.

[5] მიუხედავად მაშინდელი კომენტატორების ამ აზრისა, - ანალიზი აჩვენებს, რომ 35...ედ8 არ იგებდა.

[6] ბოდლერი, სპლინი LXXVIII

[7] ფიგურა “კუ”-ს (Le fou, ფრ.) სახელწოდება ფრანგულად ისმის, როგორც “ჯამბაზი”, “მასხარა”.